

ლიტერატურული გაზეთი

№66 20 იანვარი - 2 თებერვალი 2012

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

მამუკა ნიკლაური

გაუფილტრავი ფიქრები

სიყვარულის ძეგლი

ფასანაურთან, იქ, სადაც შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, ბუნების დიდი სილამაზე იშლება თვალწინ. აქვე, ამაღლებულ კლდეზე, ამ სილამაზის ნაწილივით აღმართულა ორი ირმის – ხარირმისა და ფურირმის ქანდაკება, რომლისთვისაც „ირმების სიყვარული“ უწოდებია მის ავტორს მოქანდაკე არჩილ აფციანურს. ორი არაგვისა არ იყოს, ორი ირმის სიყვარულიც აქ შეერთებულა და ერთად ასრულებენ სიყვარულის მთიულურ ჰიმნს:

„დღე-ღამე გამიცვითია ფიქრებში სიარულითა,

არც დავიღალე, არც მოვკვდი მე შენი სიყვარულითა...“

დიახ, ეს ძეგლი აქაურობის ნაწილია – აქ უნდა იდგეს და აქ დგას; სხვაგან რომ დადგა, ასე ვერ ილაღადებს სიყვარულზე და მის „დამპყრობლურ“ ძალაზე. ეს ძალა ხელოვანმა მიანიჭა თავის ქმნილებას, ხელოვანის სული სინათლის სხივივით გამონათდა ამ კლდეებში და თითქოს „ბუნებას მიეხმარა“, რომ ის უფრო ლამაზი და სრულყოფილი გამხდარიყო. აქ, ერთი გაფიქრება, ამასაც კი გაიფიქრებ: – ნეტავ, აქ „ნამონოლილი“ ლოდები, ეს „მოშინაურებული კლდეები და ცაში აფრენილი მთებიც „სიყვარულის ძეგლის“ ავტორმა ხომ არ გამოაქანდაკაო?!

სამწუხაროდ, ცოტა ვინმემ თუ იცის მოქანდაკის – არჩილ აფციანურის სახ-

ელი. ამის მიზეზი კი თვით მოქანდაკის ბედის სისასტიკესა და უღმობლობაში უნდა ვეძებოთ...

იგი ბავშვობაშივე გაიტაცა ქანდაკებისა და ხეზეკვეთის ხელოვნებამ და უპრობლემოდ ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე. აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ გამოფენებში... აკადემიის დასრულების შემდეგ იგი იქვე, სასწავლებელში დატოვეს პედაგოგად... თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და კარგი პერსპექტივაც ჩანდა, მაგრამ ბედის ბორბალი სხვა მიმართულებით დატრიალდა — 1991-1992 წლების მიჯნაზე ყოველივე აიშალ-დაიშალა და აინენ-დაინენა...

სხვა გზა არ ჩანდა და არჩილ აფციანური ფასანაურში, მშობლიურ კერაზე დაბრუნდა. დაიწყო და დიდხანს არ დასრულდა ეროვნული ძნელბედობის უმკაცრესი დრო – აღარც ხელოვნებას ეცალა არჩილისთვის და აღარც არჩილს – ხელოვნებისთვის. ასეთ ყოფაში მიიწურნენ წლები... ხოლო 2005 წლის შემოდგომაზე ყოველივე ტრაგედიით დასრულდა – სახლის კენ მიმავალი არჩილი შემთხვევით გზაზე გადაყრილმა ორმა ნაძირალამ მოკლა...

ეს ძეგლი კი სიყვარულად და სინანულად დარჩა.

II-III



გივი ალხაზიშვილი

ბელშატარის სიკვდილი

სასანთლის წინ,
კირით შეფეთებულ კედელზე ჩანს,
უცნობის ხელი როგორ წერს სიტყვებს;
გულის თვალი თუ ჩანვდება,
სათუთა, რაიმე რომ ამოიკითხოს,
გარდა შიშისა,
რომელიც ჩუმად უკითხავს მეფეს:
...გადართვალა ღმერთმა
შენი ქვეყნის დღეები,
ბოლო მოგიღო,
შეგსვა სასწორზე
და ბუმბულივით აგიტაცა სასწორის პინამ...

სადაა მეფე?!
ჯერ ისევ შიში აცახცახებს, ისე მჩატვა,
მუხლები ისე გაეყინა, რომ კუნძად იქცა.

მორჩა,
მისივე უმეცრებით გაიყოფა განუყოფელი,
მორჩა, მას სტიკივა გული,

რომელიც დღემდე არ ჰქონდა,
სასწორკვეთამ მოუძებნა,
და მისი ფიქრი —
გათიბული დროის ზვინი — ქარმა გაშალა
და ელვის ბაგემ აკოცა და
ცეცხლის ენამ გადაურბინა...

ღამის ცეცხლი მოედო ღამეს,
აღრჩოლდა ღამე —

იბადება ღამე ღამიდან
და ჩაიწვა მეფის დღენი თივის ცეცხლივით
და მიინავლა, მიიღია და ჩაიბჟუტა
და ისე ძლიერ ჩამობნელდა,
რომ ღამესაც აღარ ახსოვს
სიბნელის ასე შედედება — ჩანყვდიადება...

სასანთლის წინ,
კირით შეფეთებულ კედელზე
ისევ გამოჩნდა ხელი,
გრძელი თითები, მოძრავი მაჯა;
დაუნერულ სიტყვების სული მსჭვალავს ყველას,
მერე სიტყვები ჩნდება კედელზე,
ხმოვნები კი არ იწერება.

ხმოვნები მუდამ იგულისხმება
და გულისხმაში იარსებებენ —
დანერამდე, გაქვეყნებამდე
და სუნთქვას ჩვენში გააგრძელებენ.

ჩვენ დღემდე გვზარავს,
რაც კედელზე მიანერა უცნობის ხელმა:
მენე, მენე თეკელ, უფარსინ... *

ღია სარკმელში
კვიპაროსი ჩუმად ირწევა,
მაღალ კენწეროს შენს თვალეებში ანებს
ფუნჯივით
და სიზმარ-ცხადში შეყოვნებულ
მომავლის კადრებს
იმარსავ გულში და უენო ზარის სიმუნჯით
არავის უმხელ, აღარ გინდა თვალის შეველება
აღარაფერზე, არავიზე,
შენ ისიც გყოფნის,
სულის სიღრმეში უთქმელობა რომ გეცრემლება.

* დანიელი, თავი მეხუთე 4 — 5; 26 — 28.

დღიურიდან

ისევე ცოცხლობს პოეტური ფოლკლორი, გამუდმებით დასტურდება, რომ საქართველო ის ქვეყანაა, საიდანაც არასოდეს გადაჰქრება ხალხური ლექსი.

...ახლახან მიამბეს — ბერძენა ყორიაულს, დულაბის გარეშე, ე.წ. „მშრალი ქვით“ უშენებია კედელი. ურჩევით: ულამპიროდ ქვა ქვაზე არ გაჩერდება, ტყუილად წვალბო; მაგრამ ბერძენამ მრჩევლებს არ დაუჯერა და კედელმა, ნახევარზე რომ იყო ასული, ერთი იგრილა და დაიშალა. სიკვდილს ძლივს გადაურჩა ბერძენა და... ლექსმაც ბევრი არ დაახანა:

„სახლს აგებს ყორიაული, ყვავივით აზის ყორეხა, მალევე კი ჩამოშლებს, ეგ ქვას ვერ გაასწორებსა“.

ალბათ, დამეთანხმებით, მართლაც შთამბეჭდავდა დახატული შავტანსაცმლიანი „კალატოზი“, რომელიც ყვავივით ზის მშენებარე სახლის კედელზე. კარგია რითმა, კარგია ალიტერაცია; ლექსის ქსოვილი კი ხალხური იუმორითაა გაჟღერებული... ასეთი ლექსი იქმნება ჩვენს წრეში და აბა, როგორ უნდა დაუჯერო პატივცემულ მეცნიერებს, რომლებიც დიდი ხანია, რაც ფოლკლორის აღსასრულზე ლაპარაკობენ?!

მწერალი და მკითხველი

ვთქვათ პირდაპირ — დღეს ცუდი ამინდი უდგას ქართველ მწერალსა და ქართულ ლიტერატურას — თუკი მის ყოფას უკანასკნელი ოცი წლის კონტექსტში განვიხილავთ. ფაქტია, რომ ამ ოცნეულში „მწერლობამ“ თითქმის მთლიანად დათმო თავისი პოზიციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი „ელვარე ავტორიტეტი“.

ერთი სიტყვით, ქართველმა მწერალმა და ქართულმა ლიტერატურამ დაკარგეს ის, რაც ლიტერატურას უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ ყველა კულტურისან ქვეყანაში.

მე აქ არ ვლაპარაკობ იმ შეუთავსებლობასა და იმ უფსკრულზე, რომელიც ილია ჭავჭავაძის თაობასა და ე.წ. „საბჭოთა მწერლობას“ შორის გაჩნდა. ეს დიდი პრობლემაა და ამ პრობლემას, ალბათ, გამოიკვლივენ შესაბამისი ინსტიტუტები... მე ვლაპარაკობ იმ ოცნეულზე, როცა „ეროვნული მწერლობისთვის“ მიუღებელი აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობა და ეროვნული დამოუკიდებლობა, როცა „მწერალი“ ვერ მოსწყდა იმ ბაგას, რომელსაც მიაჩვიეს.

აქ ერთი მრავალსმთქმელი ციტატა მინდა მოვიტანო:

„რატომ უნდა იყოს ცუდი დამოკიდებულება მწერლობის მიმართ? თუ ვინმე გვიჭერს მხარს, გარდა 2-3 მწერლისა, სწორედ მწერლობა გვიჭერს მხარს. ისინი ამბობენ: გვიჭირს, გვიჭირს, ყველას შია, მაგრამ მაინც უნდა მოვითმინოთ იმიტომ რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ავაშენოთ და მაინც და მაინც მწერლობა უნდა გადავიკიდო?! — ამას დიდი ხელოვნება არ უნდა სხვათაშორის!“ ეს სიტყვები შევარდნაძემ თქვა მთავრობის ერთ სხდომაზე, რომელზეც „მწერლობისთვის“ ფულის გამოყოფის საკითხს განიხილავდნენ; და... ეს სიტყვები „მწერლობის“ კიდევ ერთხელ მოსათვინიერებლად ითქვა.

PS. გინახავთ, როგორ კლავენ ღორს? — ჯერ სასუსნავს ჩაუყრიან გეჯაში — მივა ღორი, თავს ჩაყოფს გეჯაში საჭმლისთვის... აი, სწორედ მაშინ სტაცებენ ხელს ფეხებში და გალესილი დანაც მზადაა...

გოლიათების თავდასხმა

მწერალთა კავშირის კლუბში კონსტანტინე გამსახურდიას ორი ისეთი კრიტიკოსი დაესხა თავს, რომელთაც ლიტერატურისა ბევრი არაფერი გაეგებოდათ და უფრო მეტად „იდეოლოგიური“ და ბუკვალური შენიშვნებით „ებრძოდნენ“ გამოჩენილ მწერალს. ასეთ კრიტიკოსებს თვით „ოფიციალი“ ახალისებდა და არ იშურებდა მათთვის ზეალმატებულ ხარისხებს...

...კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი

ერთ-ერთი საპასუხო სიტყვა ასე დაასრულა: — მომავალი თაობები შემიცოდებენ, ალბათ, რომ შალვასთანა და გიორგისთანა „გოლიათებთან“ ბრძოლაში ვხარჯავდი ძვირფას დროსო...

ცხადია, ხუმრობდა მწერალი, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ამგვარმა „გოლიათებმა“ ბევრი ცნობილი მწერალი გაუყენეს მოუსავლეთის გზას 30-იან წლებში.

„მენისქვილის ჭაღარა“

...ერთხელ, მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის სასახლის რკინის ჭიშკართან, კონსტანტინე გამსახურდიასა და გიორგი ლეონიძის შეხვედრას შევეცნარე. ერთმანეთი გულიანად მოიკითხეს. შემდეგ გამსახურდიამ ლეონიძეს დააკვირდა და ღიმილით უთხრა:

— შენც ჭაღარა მოგეძალა და სიბერე

მე დიდ მწერალს ლევ ტოლსტოის, მაგრამ თურმე ვერც ამ დიდ მწერალს ვერ გამოვყოფთ ჩვეულებრივი ლოთი და ბოროტი რუსებისაგან — აგერ, ლევ ტოლსტოის 1852 წლის დღიურში ჩაუნერია: „მთელი დღე კავკასიაზე და მის დაპყრობაზე ვფიქრობდი და ვოცნებობდი...“

მოკლედ, ისეა, როგორც ანდაზაში: „ეს ღვინო კარგია, მაგრამ ძაღლის გუდაში დგასო“.

„შპრობა“ თუ „მოპრობა“?!

რუსეთის იმპერიის ბოლო ოცნეულს „უძრობის წლები“ უწოდეს რუსმა პოლიტოლოგებმა და იდეოლოგებმა. ეს ტერმინი, ალბათ სწორია, თუკი რუსეთის იმპერიალიტური მიზნების ინტერესებით ვიმსჯელებთ — ამ პერიოდში მართლაც აშკარად გამოიკვეთა „ბოროტების იმპერიის“ პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური კრიზისი. შეწყდა ბოღვა „მსოფლიო

მამუკა ნიკლაური გაუფილტრავი ფიქრები



ხომ არ გაშინებო? — არა, არა! — ხელი გააქნია ლეონიძემ, — ეს მენისქვილის ჭაღარაა! მენისქვილის ჭაღარა კი ისაა, მენისქვილეს თავზე წისქვილის მტვერი რომ დაედებო. ასე, სიცილ-სიცილით გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

არ ვიცი, ქართულ სიტყვა-თქმათა ლექსიკონებში არსებობს თუ არა ეს გამოთქმა („მენისქვილის ჭაღარა“), თუ გიორგი ლეონიძემ შექმნა იმ წუთებში. მე, პირადად, ეს პირველად გავიგონე.

„რუსეთის ოკაანა“

— რა ბედნიერი იქნებოდა კაცობრიობა, რომ რუსეთის ნაცვლად, მხოლოდ რუსეთის ოკეანე იყოს და სხვა არაფერიო! — ნერს ერთი გულაგამოვლილი ებრაელი მწერალი...

როგორ უნდა გაგამწარონ! როგორ უნდა დაგრიოს ხელი სიძულვილმა, რომ ასეთი საშინელი წყევლა თქვა!.. მაგრამ რაღაც, დიდზე დიდი სიმართლე კია ჩაბუდეული ამ ნათქვამში! — აბა, ერთი დავფიქრედო, რამდენი უბედურება დაატეხეს რუსებმა მსოფლიოს! აბა, ერთი გავიხსენოთ საქართველოში შეჭრა, ფინეთში შეჭრა, ჩეხოსლოვაკიაში შეჭრა, ვიეტნამში შეჭრა, კორეაში შეჭრა, ავღანეთში შეჭრა!.. და წარმოვიდგინოთ, რა სისხლის ღვარი მოსდევდა ყველა ამ შეჭრას...

ერთ დროს იყო ლენინის „მტკიცებულება“ „ორი რუსეთის“ შესახებ. ამ „თეორიის“ მიხედვით, „კარგი რუსეთის“ შემადგენლობაში აუცილებლად შეიყვანდნენ ხოლ-

კომუნისტურ რევოლუციას, ძველმა პოლიტიკურმა ლოზუნგებმა დაკარგეს ძალა, კორუფციის ჭაობში ჩაეფლო მთელი ქვეყანა და კომუნისმი მსოფლიოს მთავარ ჭირად გამოცხადდა. აშკარად შეიზღუდა ამ ჭირის გავრცელების არეალი.

მეორეს მხრივ, თუკი პროგრესის პოზიციებიდან ვიმსჯელებთ, ეს წლები სწორედ იყო რომ დიდი მოძრაობის და მოძრაობების წლები — ესაა დრო კომუნისტური რეჟიმის ლპობისა და განადგურებისა; ესაა დრო ლენინიზმის და სტალინიზმის დასამარებისა; ესაა დრო ეროვნული მოძრაობებისა და ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა. ესაა დრო გაღმერთებული ნაძირალების ძეგლების მსხვერვისა და, ბოლოს, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ესაა დრო საქართველოს დიდი ეროვნული მოძრაობის დასაწყისისა, საქართველოში ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის გაუტყეველი სულის დაბრუნებისა; ეს იყო დრო ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გაუტყეველი ნებისყოფის აღზევებისა... მოძრაობა სამშობლოსკენ, მოძრაობა უფლისკენ, მოძრაობა გადარჩენისაკენ... ეს იყო დრო ილია ჭავჭავაძის აჩრდილის გამომხობისა: „დალოცა ღმერთმა თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თურგი... მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი...“

„ნიჭის საზომი“

მწერალთა კავშირის კლუბში სიტყვით გამოვიდა რაღაცაზე გაბრაზებულ-გალი-

ზიანებული ერთი მაღალ-მაღალი, ჯანიანი პოეტი და თავისი ომახიანი სიტყვა ასე დაიწყო:

— კაცო, ასე ჰაი-ჰარად რომ გვახარისხებენ და დარწმუნებით ამბობენ — ეს ნიჭიერია, ეს — არაო და ყველაფერს თავისი საზომებით ზომავენ, ეგრე არაა! კაცობრიობას ჯერ არ გამოუგონია ისეთი მანქანა, რომ თავზე მოარგო მწერლებს და დაადგინო, ეს ნიჭიერია და ეს უნიჭოო!..

— მერე, შენ მაგის იმედი გაქვს?! — რეპლიკა ესროლა ნოდარ ჩხეიძემ. ხალხი ახარხარდა. ჯანიანი წახდა — ერთი-ორი უკმეხი სიტყვა კიდევ ისროლა და დარბაზიდან გავიდა.

ტარნტი ბრანალი

„მისი ღიმილი არასოდეს არ ყოფილა მთლიანი. ამ ღიმილის ნახევარი მუდამ აშკარა სევდაში ინთქმებოდა და იკარგებოდა“ — დაუნერია ტერენტი გრანელზე მისსავე მეგობარსა და თანამოკალმეს კოტე გაჩეჩილაძეს (იგი ძირითადად კონსტანტინე ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებს).

მართლაც, ვერ გაიღიმა ტერენტი გრანელმა სრული გაღიმებით, ვერ აივსო სრული სიყვარულითა და სიხარულით, ვერ მოერია სიკვდილის შიშსა და სიკვდილს. მან ვერ გასცა პასუხი დანასავით გალესილ კითხვებს — საიდან მოვედით და საით მივდივართ; რატომ მოვედით და რატომ მივდივართ?! რისთვის ღირს სიცოცხლე და რატომ გვზადებს დაბადებულებს დამბადებელი?!

სწორედ ამ კითხვების საპასუხოდაა მოწოდებული ჩიტების ჟივილ-ხივილი, გათენების ზეიმი, ყვავილების ამოსვლის ჟამი, საყვარელი ადამიანის ღიმილი და ბოლოს და ბოლოს თვით უფალი და თვით პოეზია.

ვერ „მოიშინაურა“ ტერენტი გრანელმა სიკვდილი, ვერ მოერია, ვერც გზა აუქცია და პირდაპირ სახით შეეჯახა მას.

ქართულ პოეზიაში კი ტერენტი დარჩა, როგორც სიცოცხლის აჩრდილი, რადგან სიცარიელემ ვერ მოიცვა მთელი მისი არსება.

აი, ამაზე წერდა კონსტ. ნეველი.

ანდაზები

რამხელა პოეტური ენერგიაა ჩაქსოვილი ანდაზებში, მხატვრულ გამონათქვამებში, გამოცანებში ანდა თუნდაც გინებასა და წყევლაში... განსაკუთრებულ ალტაცებას მაინც ანდაზები იწვევს. საქართველოში რომ მართლა პოეზიის ქვეყანაა, ამის დასტურად ქართული ანდაზებიც კმარა... ამ ანდაზებში ხომ ჩვენი ერის მიერ ტანჯვითა და ბრძოლით გამოვლილი გზა არის ჩანსულ-ჩახლართული; ამ ანდაზებში ხომ წინაპართა სიბრძნეა დაკრისტალებული!..

სხვადასხვა დროს ჩამინერია ეს ანდაზები უბის ნივანკში:

„შემოდგომის ყვავილი თვალს ებრალებაო“.

„კაცის შესწავლად სიტყვის ნახევარიც კარგიაო“.

„ერთი კაცი კვერცხის გულში ბენვს ეძებდაო“.

„ყვირილის ოდენა მყვირალი ვერ იყოო“.

„გზისპირა წყაროს ბევრი სიკეთე აქვს დათესილი“.

„ცხენი თავის ფეხებს დაუკარგავსო“.

„ავი და კარგი ერთმანეთს არ მიემატებაო“.

„ბრძენთან იმგზავრე, ბევრ სიბრძენს იტყვისო“.

„უნიფხოს ნიფხავს ვერავინ გახდისო“.

„ბუმბულს ქარის დაქროლვამდე თავი მძიმე ეგონაო“.

„ძალად დასმული კრუხი წინილებს ვერ გამოჩეკავსო“.

„ცხრა კბილს რომ სიტყვა გადმოსცდება, მერე ცხრა მთას გადაივლისო“.

არა მარტო ფარი და ხმალი; არა მარტო ხარი და გუთანა; არა მარტო ნიგნი და კალამი... ეს ანდაზებიც მოდიოდნენ და მოჰქონდათ ქართლის ცხოვრება; მოჰქონდათ სიბრძნე, სიღამაზე და პოეზია...

მეზობელი, თუ...

1912 წელს, იმ დროს მოსკოვში მომუშავე კოტე მარჯანიშვილს „ქართული საღამო“ დაუდგამს ინგლისელი მაღალი სტუმრების საპატივცემლოდ. კონცერტი, ძირითადად, აგებული ყოფილა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებსზე და უდიდესი მონონება გამოუწვევია დამსწრე საზოგადოებაში. მოსკოვის მაშინდელ ქალაქის თავს გუჩკოვს კი უთქვამს: „ჩვენმა მეზობელმა საქართველომ დიდი ხელოვნება გვაჩვენაო...“

იმჟამინდელი იმპერიის ყრუ კედლებში ნათქვამი ეს სიტყვები უცებ გახმაურებულია და აღფრთოვანება გამოუწვევია მაშინდელ ქართველებში.

არა, ქალაქის თავის სიტყვებში საკვირველი თითქოს არაფერია! — ეს გუჩკოვი ეტყობა, ჭკვიანი კაცი იყო და, როგორც ყველა ჭკვიანი, ისიც ეჭვით უყურებდა „გარუსების“ იმპერიულ პოლიტიკას და ხელისუფალთა დასკვნას, რომ საქართველოს „ათვისება“ დამთავრდა...

საკვირველი სხვა რამაა — თითქმის ასი წელი გავიდა მას შემდეგ — საქართველომ დიდი ბრძოლებისა და ეროვნული დაუმორჩილებლობის შედეგად, როგორც იქნა, მოიპოვა თავისუფლება. რუსეთის დღევანდელ მესვეურებს კი დღესაც უჭირთ იმის აღიარება, რომ საქართველო მათი მეზობელია და არა მათი „გმირი წინაპრების“ იარაღით მოპოვებული მიწა...

რატომ ლეგენდა

ცოლი და ქმარი კერიის ცეცხლს მისხდომიან. ჭერიდან ჩამოშვებულ ჯაჭვზე ქვაბია ჩამოკიდებული. მამალი დაუკლავთ და ქვაბში იხარშება.

ეხლა რომ იესო ქრისტე გამოგვეცხადოს, რას იტყვიო? — ეკითხება ცოლი ქმარს.

ერთი ეს მამალი ამოხტება ამ ქვაბიდან ყვირილ-ყვილით და მეორე, იესო ქრისტე ჩამოივლის და ჩვენ გვესტუმრებაო, — თქვა ქმარმა.

ამისი თქმა იყო და უცებ ამოხტა მამალი ქვაბიდან და მორთო ყვირილ-ყვილი.

...ლეგენდაში, ალბათ, ადამიანის რწმენა იკითხება, რომ უფალი მუდამ ჩვენთანაა, ჩვენს ახლო-მახლო ტრიალებს და ჩვენც მუდმივად მზად უნდა ვიყოთ მასთან შესახვედრად.

„ქველი ავიბა...“

ახლახან ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ დაიბეჭდა როსტომ ჩხეიძის კეთილი იუმორით დაწერილი გახსენება შოთა ნიშნიანიძისა, რომელიც სიცოცხლის ბოლო ხანებში საკუთარი თავის ძეგლივით იდგა ხოლმე ე.წ. „ცეკას გამომცემლობის“ წინ... და ზანტი მზერით გაჰყურებდა ქუჩას.

მე კი აქ მინდა გავიხსენო კნუტ ჰამსუნის გამოჩინებული „გაძეგლებული“ მწერლების შესახებ:

„...ტოლსტოი მისთვის დამახასიათებელი თავშეუკავებლობით გადაეშვა რელიგიურ ფარისევლობაში. თავიდან ის ცოტას თამაშობდა კიდევ და საკმაოდ ძლიერი იყო იმისთვის, რომ დროულად დაემუხრუჭებინა, მაგრამ თამაში თანდათან ჩვევაში გადაეზარდა და, როგორც ჩანს, მის მეორე ბუნებად იქცა. თამაშის დაწყება ყოველთვის სახიფათოა. ჰენრიკ იბსენი თავისი თამაშით იქამდე მივიდა, რომ, ერთმანეთის მიყოლებით, რამდენიმე წელიწადი, სფინქსის გამომეტყველებით იჯდა ხოლმე მიუნჰენის ერთსა და იმავე კაფეში, ერთსა და იმავე მაგიდასთან, ერთსა და იმავე დროს... მეორე კი, სადაც არ უნდა წასულიყო, იქაც ამ თამაშის გაგრძელება უხდებოდა: იძულებული იყო, პუბლიკის დასანახად, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას მჯდარიყო, რადგან ხალხი მისგან სწორედ ამას ელოდა. შეიძლება, ეს მოსაზრებელიც იყო მისთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ჰყოფნიდა ძალა ამის ასატანად.

ორივე, იბსენიცა და ტოლსტოიც, ძლი-

ერი პიროვნებები იყვნენ. სხვებს საამისოდ დიდხანს არ ეყოფოდათ ძალები — დიდი, დიდი ერთი კვირა გაეძლოთ, მაგრამ იქნებ უფრო ძლიერი ნებისყოფა იყო საჭირო იმისთვის, რომ დროულად შეენწყვიტათ თამაში. სამწუხაროდ, ისინი დაცინვის საგნად იქცნენ ჩემთვისა და კიდევ ბევრი ადამიანისთვისაც. რა თქმა უნდა, ისინი იმდენად დიდები არიან, რომ ჩვენი დაცინვა ჩრდილს ვერ მიაყენებს. ოდესმე კი ჩვენი დროც მოვა და ახლა სხვები გაიცინებენ ჩვენზე... და მაინც, ოდნავ დიდები რომ ყოფილიყვნენ, ალბათ საკუთარ თავს ასეთი სერიოზულობით არ მოეკიდებოდნენ და პირველად დასცინებდნენ საკუთარ თავს და საკუთარ მრავალმნიშვნელოვან თამაშს...“

...ამ კონტექსტში რამდენიმე სიტყვა მინდოდა მეთქვა კონსტანტინე გამსახურდიას „თამაშზეც“, მაგრამ ბოლოს გადავიფიქრე...



„დაუნდობალი“ თომას მანი

ერთი საკვირველი წერილი

თითქოს ჩვენს „ინტელიგენციაზე“ — კომუნისტურ ინტელიგენციაზე უთქვამს თომას მანს: „ჩვენს პლანეტაზე არ დაძრწის იმაზე უფრო საშინელი მხეცი, ვიდრე განათლებული, მაგრამ უზნეო ადამიანი“.

ასეთი, მხეცზე უარესი „განათლებული უზნეობით“ აივსო მეოცე საუკუნის მსოფლიო და განსაკუთრებით კი მსოფლიოს ორი რეგიონი: ჩვენი „დიდი სამშობლო“ — საბჭოთა კავშირი და თომას მანის სამშობლო, გერმანია.

თომას მანი უფრო შეღავათიან მდგომარეობაში აღმოჩნდა — მან არ მიიღო ფაშისტების რეჟიმი და პროტესტის ნიშნად გერმანიიდან წავიდა. კომუნისტებმა კი ეს „ფუფუნებაც“ აკრძალეს და სიკვდილის კალოდ აქციეს დედამიწის ერთი მეექვსედი.

...მაგრამ ფაშისტებისა და კომუნისტების აღზევებით არ დასრულებულა „განათლებულ უზნეოთა“ პარადი. აგერ, ჩვენს თვალწინ „მხატვარ“ ჰიტლერისა და „პოეტ“ სტალინის კვალზე ჩაიარეს „მხატვარმა“ კიტოვანმა, „მწერალმა“ იოსელიანმა, „პროფესორმა“ სიგუამ, „ისტორიკოსმა“ შევარდნაძემ და მათ გვერდით მათმა თანამოაზრეებმა, რომელთაც კიდევ ერთხელ გაგვახსენეს თომას მანის გულის სიღრმე-დან ამოთქმული სიტყვები.

ამ დაუნდობლობითა და პირდაპირობითაა ფასეული თომას მანის მთელი შემოქმედება...

მწერალი და ქალაუფლება

კონსტანტინე გამსახურდია წერს, — ჩემი დაჭერა ერთ ჩია პოლიციელსაც შეუძლია, მაგრამ მორევა და დათრგუნვა — ნურას უკაცრავადო!..

ეს დაპირისპირებული ტანდემი, ძალაუფლება და მწერალი, შორიდან მოდის.

მათი სრული შერიგება და მორიგება არ ხერხდება: ძალაუფლება ხალხის უფლებების თავის ხელში მოქცევას ცდილობს, მწერალი კი ხალხის უფლებების დამცველის პრეტენზიით გამოდის.

„ძლიერი ამაქვეყნისანი“ განსხვავებული მეთოდებით მოქმედებენ: ერთნი ტყვიას ისვრიან, მეორენი — ქისას, მესამენი მწერლის და, საერთოდ, ლიტერატურის იგნორირებას ამჯობნიებენ..

„სიკვდილის მეთოდი“ ყველაზე აქტიურად „საბჭოელმა“ იდეოლოგებმა გამოიყენეს, მაგრამ არ გაუმართლათ — ტყვია ფიზიკურად კი სპობდა მწერლებს, მაგრამ მათ ნაწარმოებებს ვერაფერს უხერხებდა; ისევ ცოცხლობდნენ „ჯაყოს ხიზნები“, „დამპატიყე“; ისევ ხელიდან ხელში გადადიოდა ტიცინა ტაბიძის ლექსების ნიგნი... არც სახსევ ქისამ გაამართლა — ნამდვილი მწერლები სულს არ ჰყიდია...

„საპახმელიო“ მიირთვა „წერილი ჭიქებით“... ოთხ ოჯახში უარი უთხრეს ქოლგაზე — გქონდა, მაგრამ აქ არ დაგრჩენია, თან წაიღეო.

ქოლგა მესუთე ოჯახში აღმოჩნდა და „ორმაგად“ გაიხარა ბატონმა ალექსანდრემ: — მაღლობა ღმერთს, ერთი პატიოსანი ოჯახი კიდევ ყოფილა ამ ქვეყანაზეო!..

ესეც ქალაქის ისტორიაა.

ლუარსაბი და ეშმაკი

...მკითხავი რომ წავიდა, მისი „ყოველისმცოდნეობით“ გაცოცხლებული დარეჯანი ლუარსაბს ეკითხება: — ნეტავ, ეშმაკი ხომ არ იყო ეგ მკითხავიო?! ლუარსაბი არ დაეთანხმა და სანინააღმდეგოდ სათანადო არგუმენტები მოიტანა: „— შენგან არ მიკვირს?! ეშმაკი როგორ იქნებოდა, რქები არა ჰქონდა. ეშმაკს რქები უნდა ჰქონდესო“.

ეჰ, რა იცოდა სანყალმა ლუარსაბმა, რომ სულ რაღაც ერთი საუკუნის შემდეგ ურქებო ეშმაკების მთელი ლაშქარი შემოესეოდა ჩვენს ქვეყანას და ისინი ავბედითად წაიწილებოდნენ თბილის-მოსკოვის გზაზე?!

რა იცოდა სანყალმა ლუარსაბმა, რომ სწორედ ის ეშმაკია საშიში, რომელიც რქებს არ აჩენს, მაგრამ ეშმაკულ ბადეს კი წარმატებით ხლართავს...

სარტრის არბუმენტი

ჟან-პოლ სარტრმა უარი თქვა ნობელის პრემიის მიღებაზე. განმარტებით ბარათში მან ასე დაასაბუთა თავისი უარი: „არც ერთი ხელოვანი, არც ერთი მწერალი, არც ერთი ადამიანი არ შეიძლება უკვდავყოთ სიცოცხლეშივე, ვინაიდან მას შეუძლია და უფლებაცა აქვს, ყველაფერი შეცვალოს...“

რა კარგი იქნებოდა, რომ ეს სიტყვები ჩვენშიც გულისხმიერად წაეკითხათ და ეს აზრი ჩვენს „უკვდავების მიმნიჭებლებსაც“ გაეზიარებინათ! — ჩვენ ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი მონინავენი ვართ „ცოცხალი გენიოსებით“, „ცოცხალი კლასიკოსებით“, „ცოცხალი ვარსკვლავებით“?!

ქველი თბილისი

თბილისელი კინტო უნებურად ერთ ბნელ კაცს დაეჯახა. კინტომ მაშინვე მოუბოდიშა, მაგრამ იმ კაცმა მაინც უშვერი სიტყვები იკადრა. მაშინ კინტომ ჩაძიებით ჰკითხა:

— ძმობილო, ერთი ეს მითხარი, ვინაა შენი უფროსი?

— როგორ თუ ვინ არი! ჩემი თავის უფროსი მე ვარ!

— ვაა, — მიუგო კინტომ, — როგორ არა გრცხვენი, მშვენიერი კაცი ხარ და მაგისტრანსა სულელი უფროსი გყოლიაო...

ესეც ისტორიაა ქველი თბილისისა...



ლადო გუდიაშვილის ნახატი

ჯარჯი ფხოველი

მძიმა ავადმყოფობის შიშით
დავბრუნდი გაბრისციხეში...

დროს გაუზრდია აქ ბალახი,
ჩემზე მაღალი!

ვაზის ნაზარდმა
წნელის ღობეს გადააბიჯა
და მიესალმა მეზობლის ხეებს...

ვხედავ: გამხმარა ჯონჯოლის ბურქი:
ეტყობა, რომ დიდი წვიმა
ვერ აიტანა!..

და ფუტკრები მუშაკობენ კვლავ გააფთრებით:
ზოგი სკა უკვე შეესილა და
ეტყობა, რომ
აქ სულ მალე ნაყარს დახატავს!
ცარიელი სკის სამზადისი მომიწევს მალე!

ძალმა დამტოტნა:
სიხარულით სავსე თვალეში
აუგორდა ცრემლის კურცხალი!

ასეთი არის ძალის დიდი სიყვარული:
ამაზე ხომ პოეტები სიმღერებს წერენ!

ფართოდ გაიღო ჭიშკარი და
ყველა კარი, ყველა ფანჯარა!
მეზობელმაც ღიმილიდან გამოიხედა...

ჩემი ლექსებიც
ისევ ჩემს გულს დაუბრუნდნენ და
მიატოვეს წიგნის ყდები და თაროები!

და კარგად ვხედავ,
თომათ გორზე
რომ სიცოცხლის მზე ამოვიდა!

თითქოს საღვანე მივამზავრავი

ონკოლოგიური ოპერაციის შემდეგ ისე ვარ,
თითქოს შორეულ მგზავრობისთვის ვემზადებოდე!

ხელნაწერებს ვარჩევ...
ნივთებს ვალაგებ...
მონატრებულ მეგობარს ვურეკავ...
ხანაც იმ ქალს ვეხმინები,
ვინც თანახმაა ჩემს ცოლობაზე,
თუნდაც სულ მალე მას პოეტის ქვრივი დაერქვას!

მე კი ვფიქრობდი, არ მიკადრებსო!
და საკითხავი, მართლაც ეს არის:
როგორ უნდა გაჰყვე იმას,
ვინც სულ მალე
გალაქტიკის სივრცეებში მიემგზავრება!

ის, შესაძლოა,
სულაც არ დაბრუნდეს:
დასახლდეს მთვარის რომელიღაც გამოქვაბულში...
და დატყუდებს მთვარის გრძელ ღამეებში,
როცა მთვარის ცას გადაივლის
დედამინა: ღამის მნათობი
და გაანათებს მთვარის მთაგორებს
ანგელოზის ცისფერ ცრემლივით...

ყარალი

გოგია ნიკლაურის ხსოვნას

ლექსად იმღერა ყოფნა ყარალიმა:
დრო დაგმო, ავი და დამიშავი!
და ჩაეკიდა კლდეებს თავჩაღმა:
სადაც ელოდა ხალხი პირშავი!

ციმბირის ცერბერს მხარი აუბა
და, ვინც იმისთვის იყო ალალი,
არ მელოდო, ეს დაუბარა:
ცრემლებს აჩუქა ღვდლიანთ ქალაი!..

და ჩაიკარგა დროის ხარხარში...
ოლონდ: ყარალის დარდში ნახარში,
ჯავრში გამდნარი, ლექსად ნამღერი
სული დაბრუნდა გუდამაყარში!

ნაგავულ პოეტებს

ძვირფასო ედგარ!
კარტში წაგებულ იმ სტრიქონებს ვინ დაგიბრუნებს,
პირშავ ღამეებს რომ გამოსტაცე!..

პოეტობა ხომ წაგებული თამაშია:
აგერ, ჩემს თვალწინ
პოეტებმა ლებანიძემ და ჭანტურამ
წააგეს უთვალავი სტრიქონი:
და წააგეს დღეები
და წააგეს ღამეები...
და წააგეს უფულობა, ბედისწერული!

ესეც ხომ დიდი საქმე რამ არის,
უფულობა რომ წააგო:
ამის გამო შენ კამათელს არ გადაყლაპავ,
კბილით არ დაფშენი
გულბოროტ და დაღლილ კამათელს!
ამის გამო კარტს ფანჯრიდან არ გადააგდე!
უფულობა წააგე და:
მორჩა, გათავდა!..

ძვირფასო ედგარ!
კარტი, ფანჯრიდან რომ გადააგდე:
თან წაიყოლა უფულობა, ბედისწერული!
უფულობა წააგე და:
მორჩა, გათავდა!..

წააგე დღე და წააგე ღამე!
და წააგე ის სტრიქონები,
ჩვენამდე რო მოაღწია
და გულებს რო ეშხეფება
გაზაფხულის თბილ წვიმასავით...



და შავეთის შავ მინდორზე როცა ჩაივლი,
შავეთის მზის ქვეშ
დაინახავ მწვანე მაგიდას:
იქ წაგებული პოეტების
აჩრდილები მუსიაფობენ...

იქ უსათუოდ ედგარიც არის:
თამაშობს თამაშს,
წაგებული სტრიქონების დასაბრუნებლს!

და თამაში არა მთავრდება!..

წაგებულ პოეტებო,
ჩვენ ხომ ფული არ წაგვიგია...
ჩვენ წავაგეთ სტრიქონები,
ჩვენ წავაგეთ უფულობა, ბედისწერული!

მოდი, ვითამაშოთ ჩვენ თამაში,
წაგებული სტრიქონების დასაბრუნები!

შესვედრა

დიდხანს გელოდი და შენც მოხველი,
დარდში დაგხვდები დაცლილი ჭიქით...
ველარ გამყვება სული ოხერი
შორ ბილიკებზე: სამყაროს იქით...

სულდაკარგული ვივლი... მიქარვა
იყო ეს ყოფა!.. სისხლის ტბორები
დაახრჩობს ჩემ გზებს და, ვინც იქაა,
ვიცი, რომ იმას მოვენონები!..

გულში ჩამიკრავს, შემიშრობს თვალებს,
ო, წინაპარო, ეს გზები ვთვალე...
და, როგორც იქნა, აქ შევიყარეთ,
შორეთის კარად: სამყაროს გარეთ!..

მთაწმინდა: ვაჟა-ფშაველას საფლავთან
ვერბლანი

და ეს მეორე პანთეონია:
მეორე ცრემლი და მეორე სალოცავი,
უფლისავე მიმავალ გზაზე...

შენ ხომ პანთეონებს მალლიდან დაჰყურებდი:
სასვევეთთავის და დიდბორბალოს მწვერვალებიდან!..
ბედისწერა კი სიმაღლეებს არ ეპყუება:
ბედისწერა მოულოდნელობითაა სავსე!

შენ, აბა, როგორ იაზრებდი,
რომ ორივე პანთეონს მოივლიდი:
მთაწმინდისკე მიმავალი
მცირე ხანს რომ დიდუბეში შეისვენებდი...
ხოლო გულით ჩარგლის მიწა გენატრებოდა!

მაგრამ არავინ ეს არ გაღიროს!..
და არავინ არ წაგიძღვა შუბლშეკრული ქედებისაკენ...
არ დააღტო
ჩარგლელ დედის წმინდა ცრემლებმა
შენი კუბო...
და ჩარგლის ცა, უპირქუბო,
არ ატირა შენს სამარეზე!

აი, კაცი: ვინც სამშობლოს ენატრებოდა,
ვისაც არ უყვარს ტაშისცემა ამქვეყნიურ!

შენ ხომ მეტყვი, ვაჟა-ფშაველავ,
როცა შეგხვდები ლეთეს გადაღმა,
მისაყვედურებ და დამკოდავ სიტყვის ისრითა...

და ასე მეტყვი:
რატომ სიტყვა არ შეაშველე,
დიდი ქართველი რომ გამოჩნდა დროის ნისლიდან!..

ვიცი, არწივის ფრთას მომიქნევ:
ეს წარსულის სილა იყოს,
აქ დამეცეს საყვედური მალლით ცის რიდად!

არა, ჩემს ქებას ვერ მოისმენს,
ვერც ტაშის დაკვრას
ეს იმედი,
რომ გამოჩნდა დროის ნისლიდან!

შენ მაპატიე, წმინდა ვაჟავ, დარდით ნაფერი
ეს გამხელა და ეს საუბარი...
იმას ეკუთვნის ლექსიც, გულიც და ყველაფერი,
ვინც არის ერის ტკივილების ჭირისუფალი!

ვიცი, არ მოგწონს ეს ნახევართავისუფლება,
ეს ნახევარსიყვარული
და გულებში: ნახევარღმერთი...

ვიცი, ნახევარპოეზია ცხარე ცრემლებს
არ გაღვრევენებს.
და ისიც ვიცი, რომ გენატრება
ლექსის ამოთქმა არწივული...
და ჩვენი ცის სიმაღლეებში
ქართული სიტყვის ღვთაებრივი ანავარდება!

და ეს მეორე პანთეონი გულებს ირეკლავს
ფხიკლიანთ ქალის ცრემლივით...

და ეს ლოდი, გულზე რომ გადავს,
რაზიკაშვილთა ძველი ჯავრია:
მძიმე და მრავალწახნაგაიანი
საქართველოს დიდი დარდივით!


* * *

ფარმაციის წმინდა ანგელოზო,
მაჩუქე სტერილური ღრუბლები:
საქართველოს ჭრილობებში რომ დავუფიო!
რომ შევუხვიო ძველისძველი ნატყვიარები!

ფარმაციის წმინდა ანგელოზო,
მაჩუქე დარდის ღვთაებრივი წამალი რამე:
დარდნასვამ ხალხს რომ გავეუნანილო!

თუმცა უდარდოდ როგორ იცხოვრებს
კაცი
მწუხარე საქართველოში!





მარი თინაშვილი

ელფების სიმღერა

„მე ვგზავნი შენს წინაშე ჩემს ანგელოზს, რომელიც განამზადებს შენს გზას“ ... (ახალი აღთქმა, ლუკა.7.27)

დღის შვიდი საათი იქნებოდა, როცა სამგზავრო გემი „უქრეფი“ პორტიდან გავიდა. დანიელი ფანჯარასთან იდგა და უყურებდა, როგორ მიაცილებდნენ გემს საპატრონო კატარალები.

სასტუმრო, სადაც ის განთავსდა, ზემოდან გადაჰყურებდა საპორტო ქალაქს. დამე განსაკუთრებით ლამაზი იყო. მილიონი ციმციმა სინათლით სავსე ქალაქი, ყურადღებით თუ დააკვირდებოდი, ზღვაში გასული გემების შუქსაც გაარჩევდი სიბნელეში. გემები ძირითადად თევზჭერი და ტვირთმზიდი იყო, თუმცა ხანდახან ქალაქს სამგზავრო გემებიც სტუმრობდნენ. ამ დროს მაცხოვრებლები სანაპიროზე პატარა დახლებს დგამდნენ და ზედ მანათობელი ნიჟარების მძივებს აწყობდნენ. მანათობელი ნიჟარები დამე სუსტ შუქს გამოსცემდნენ, ზოგი იმასაც ამბობდა, რომ როცა მეთევზეები იძინებდნენ, ნიჟარები სიმღერას იწყებდნენ. სწორედ აქ ჩამოვიდა დანიელი. სასტუმროში მოთავსებისთანავე მის საყვარელ საქმიანობად გემების გაცილება იქცა. ყოველ დღით შვიდ საათზე იღვიძებდა და ფანჯრიდან უყურებდა, როგორ გადიოდნენ გემები ზღვაში. დღის დანარჩენ ნაწილს პორტში ატარებდა. ზოგჯერ მეთევზეებთან ერთად სანაპიროზე იჯდა და მათ საუბარს უსმენდა. მეთევზეები ცოტას ლაპარაკობდნენ, თუმცა მისთვის ესეც საკმარისი იყო.

— სად მიდიან ადამიანები? — ჰკითხა ერთხელ მეთევზეს, რომლის გვერდითაც რამდენიმე საათი იჯდა.

— ადამიანები ძირითადად წრეზე დადიან, ამიტომაც ზოგჯერ მათი გზა არ ემთხვევა ჩვენსას და გვერდით სხვაგან წავიდნენ, — მეთევზეს თვალი არ მოუშორებია წყლის ზედაპირისთვის, ისე უპასუხა.

— ნეტა, მეც ამცა ვინმე? — თავის თავს უფრო შეეკითხა დანიელი.

— მაგაზე დარდი არ ღირს. ადრე თუ გვიან მაინც მოხდება გზის დამთხვევა, ეს შენზე კარგად სამყარომ იცის, როდის უნდა მოხდეს.

დანიელმა პორტი მალევე დატოვა და სასტუმროს გზას გაუყვა. ცა ისე იყო მოღრუბლული, რომ მალე წვიმას დაიწყებდა. სასტუმროს ფოიეში მაგიდასთან მჯდარი პატარა ბიჭი დაინახა.

ბავშვს ხელში სათამაშო მანქანა ეჭირა და მაგიდის ზედაპირზე დაატარებდა. დანიელმა ნომრის გასაღები მოითხოვა და ის ის იყო კიბზე ფეხი შედგა, რომ ზურგსუკან ხმა მოესმა:

— იცი, ელფები კვდებიან კიდევ! ხმის პატრონი ბიჭი ისევე დააგორიალებდა მანქანას მაგიდის ზედაპირზე და თან კაცს უყურებდა.

— ალბათ იცოდი, მე კი ახლა გავიგე. გუშინ მითხრა ერთმა მგზავრმა, რომელიც ქალაქში გემს ჩამოყვავა.

— არა, არ ვიცოდი, — უპასუხა დანიმ — მაგრამ დღეიდან მეც ვიცი, — ბავშვს გაუღიმა და კიბზე ავიდა.

ნომერში შესულმა საშინელი დაღლილობა იგრძნო, სანოლზე მიწვა და ჩაეძინა.

მთელი დამე მკვდარი ელფები ესიზმრებოდა უცნაური, მშვიდი მელიოდის ფონზე. გამოღვიძებულმა გახსენება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. აივანზე გავიდა და ისევ ჰორიზონტს დაუწყო ყურება. მეთევზეები იწყებდნენ ღია ზღვაში გასვლას.

— რას აკეთებ? — მოესმა ნაცნობი ხმა. ეზოში ხის სკამზე ბიჭი იჯდა. ფეხებს ჰაერში აქანავებდა და დანის აივანს უყურებდა.

— გემებს ვაცილებ. რატომ არ გძინავს?

— მომწონს შენი თამაში. შეიძლება მეც გავაცილო?

— კი ბატონო, — გაუღიმა დანიელმა. ბიჭი ადგილიდან მოწყდა და რამდენიმე წუთში უკვე ერთად იდგნენ აივანზე.

— ცუდია, რომ ვერ ხედავენ, როგორ ვუქნევ ხელს. დიდი ხანია ამ თამაშს თამაშობ?

— რაც ამ ქალაქში ჩამოვედი. ასე ვეჩვენო.

— რას, გემების გაცილებას?

— არა, ადამიანების გაცილებას. ვდგავარ და ვუყურებ, სანამ თვალს არ მიეფარება გემი. ადამიანებთანაც ასევეა, დგახარ და უყურებ, როგორ მიდის შენგან. ამიტომ ისლა დაგრჩენია, შეეჩვიო.

— მგონი, სხვანაირად ჯობს. აი, მე, როცა ეზოდან სახლში ავდივარ, ჩემს მეგობრებს ცოტა ხნით ვემშვიდობები და მერე ისევ ვაგრძელებთ თამაშს.

— ზოგჯერ ასეც ხდება, დროებითი დამშვიდობებები.

საპორტო ქალაქში წვიმას იწყებდა.

— შენი სახელი რომ არ ვიცი? — ჰკითხა დანიელმა ბავშვს.

— ლენო, მაგრამ შენ თუ გინდა ელფი დამიძახე, — გაიცინა ბიჭმა.

— კარგი ელფო. არ გინდა ცხელი შოკოლადი დავლიოთ და გავთბეთ? — ბავშვმა თავი დაუქნია და ორივენი სასტუმროს რესტორნისკენ წავიდნენ.

— შენზე ამბობენ, რომ მწერალი ხარ. რა არის ეგ? — ჰკითხა ლენომ, მას შემდეგ, რაც ფინჯანი მოაცარიელა და ტუჩები მკლავით მოინწინდა.

— ესეც თამაშია. წარმოიდგინე, ბევრი მანქანა გყავს და ბევრი სათამაშო. შენ მათ

ამბობს, ისტორიებს უგონებ.

— მომწონს. მეც მინდა მწერალი ვიყო.

— ჰოო? რა უნდა დანერო, უკვე მოიფიქრე?

— კი. დავწერ, რომ ელფები სიკვდილის წინ მღერაინ და ასე ემშვიდობებიან ერთმანეთს.

— მგონი, ძალიან სევდიანი მწერალი იქნები, — გაუღიმა დანიელმა.

ლენოს არაფერი უთქვამს, ფეხსაცმელზე თასმის შეკვრით იყო უკვე დაკავებული.

რესტორნიდან პორტში წავიდნენ. ბავშვი ბორდიურებზე დადიოდა ასკინკილით. — ხუთამდე თუ დავითვლი და არ ჩამოვვარდი, ახალი მანქანა მექნება...

— ათამდე თუ დავითვლი და თვალებს არ გავახელ, გემით წავალ ამ ქალაქიდან... — თუ ოცამდე, დედას ვნახავ...

სანაპიროზე მეთევზეებთან ჩამოსხდნენ.

— ამაღამ ქალთევზები ამოვლენ ხმელეთზე, — ჩაილაპარაკა ერთმა მეთევზემ.

— მალე წასვლის დრო მოვა. ქალაქმა იცის, როდის გავვაცილო, — გაეპასუხა მეორე.

ლენო წამოდგა და სადღაც გაიქცა.

— იცნობთ ამ ბიჭს? — ჰკითხა დანიმ მეთევზეებს.

— ერთად ჩამოხვედით ქალაქში. ნაპირთან წყალში თამაშობდა, როცა ტალღამ დაარტყა... იქ კიდევ სჯერათ, რომ გადაარჩინენ...

დანიელი გაკვირვებული უყურებდა მეთევზეებს.

— აქ რა უნდა, თუ მკვდარია?

— ყველა აქ მოდის, ვინც იქიდან უკვე წამოვიდა. ცოტა ხნით ჩერდებიან და მერე ისევ აგრძელებენ გზას.

— მეც მკვდარი ვარ? — პასუხის მოლოდინში იგრძნო, რომ სისხლის ნაცვლად გაყინული მასა დაუდიოდა ძარღვებში.

— სადღაც შუაში ხარ. უფრო სწორად, ამ წამებშიც ცდილობენ, გადაგარჩინონ.

— კი, მაგრამ, გვირაბი? ხომ უნდა დამენახა რაღაც გვირაბი, რომელსაც ჩემი

სული გაივლიდა — ცდილობდა რაიმე ხავსს მოკიდებოდა.

მეთევზეები ახარხარდნენ.

— ყველა გადის თავისი სიკვდილის გვირაბს სიცოცხლეშივე. აქ კი უფრო დამსვენებლებივით ჩამოდიან. სიკვდილი სიცოცხლისგან დასვენებაა.

— მერე რა ხდება?

— ისვენებენ და უკან მიდიან. ახალი სახით და ცხოვრებით. მხოლოდ ერთეულს ახსოვთ, სად იყვნენ, უმეტესობას ავიწყდება.

— არ იცვლებიან?

— ადამიანები არ იცვლებიან. უბრალოდ, იმდენად კარგად თამაშობენ შეცვლას, რომ ბოლოს თვითონვე იჯერებენ.

მეთევზეებმა ანკესები წამოკრიფეს და ნაპირიდან გაუჩინარდნენ. დანიელი ადგილზე დარჩა. უყურებდა ჰორიზონტზე მოფანტულ გემებს და ფიქრობდა. არ აინტერესებდა, რისგან მოკვდა, უფრო გზის გაგრძელებაზე ფიქრობდა. რისთვის დაბრუნდეს? იმ სამყაროში კარგა ხანია ცოცხალი მკვდარი იყო. ცხოვრობდა რეფლექსების დონეზე, მორგებული ნიღბით და იმდენად კარგად შეეთვისებინა ეს ნიღბი, სახიდან აძრობაც კი უჭირდა. იტალიურ ეზოში, პირველი სართულის ნესტისგან დაბრუნებული ორიოდე წიგნი, გადასახადების რამდენიმე ქვითარი და ერთი-ორი ადამიანისთვის სამყოფი მოგონება — აი, რა დარჩებოდა მისგან.

ნელა წამოდგა და ნაპირს გაუყვა. გადაწყვიტა, რომელიმე მეთევზე ეპოვნა.

— მინდა ამაღამ გარდავიცვალო, — უთხრა ერთ-ერთს, რომელიც უკვე წასასვლელად ემზადებოდა.

— გემი დილის 7 საათზე გავა, პორტში იყავი.

დანიელი სასტუმროში დაბრუნდა. ზღვა ნელ-ნელა იწყებდა ნაპირზე ამოსვლას. მეთევზის ნათქვამი გაახსენდა ქალთევზებზე. აივანის კარი ღია დატოვა და ოთახში დაბრუნდა. თავის ცხოვრებას იხსენებდა და გული წყდებოდა. რამდენი გაფანტული დრო, დაკარგული ადამიანი, ხელიდან გაშვებული მომენტი იყო. გარდაცვალება ცხოვრების ხელახლა დაწყების ერთადერთ შანსს აძლევდა წამოიღო მესხერებში. იქნებ ეხლა მაინც მოეხერხებინა, ეცხოვრა და არა ინსტიტუტურად გაწყობილი დროის დინებას.

ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდევ. უსიზმროდ ეძინა, კარებზე კაკუნის ხმამ გამოაღვიძა.

კარის ზღურბლზე ლენო იდგა.

— მოდიხარ? ჰკითხა და თავი პორტისკენ გაიქნია.

კიბეები ჩაირბინეს და ცოტა ხანში უკვე გემის ზაქანზე იდგნენ.

— მოიფიქრე უკვე ვინ იქნები? — ჰკითხა ბავშვმა.

— არა, ჯერ არა, შენ? დანიელი ქალაქს უკვე გემიდან უყურებდა და ხედავდა, როგორ ბაცდებოდა თანდათან.

— შეხედე, ქალაქი ზღვაში ჩავიდა, — პასუხს თავი აარიდა ლენომ.

ქალთევზები ნაპირზე იხსდნენ, მეთევზეები ანკესებს ისროდნენ წყალში და უსმენდნენ, როგორ მოჰქონდა ნიავს შორიდან ელფების ბოლო სიმღერა.

— გვამი მორგში გადაასვენეთ, — ჩაიბურტყუნა რეანიმაციიდან გამოსულმა ექიმმა და კაბინეტში შევიდა.

— ის ბავშვიც დაიღუპა ამ დღით, რომლის გადარჩენასაც ეს უბედური ცდილობდა, — ექთნებმა საკაცზე დასვენებული გვამი ჭორობით გამოაგორეს ოთახიდან და მორგის გზას გაუყვნენ.



დასაწყისი №60-65


სმელ ერთი კი, იმათგანი, უდიადესი კიარა და მთლად რაღაც მეტი, შემოქმედი, ვის წვალეებთან რომელიერთი კატორღელისა ტანჯვანი მივა, მაგრამკი მისსა განდიდებას, სიცოცხლეშივე, ვინცხანაგინდა ჰერცოგაებთუმიფისაეთუ-მარკიზისა ცრუდ-ალზევება შეედრებოდა და დღევანდელი გაგებით კი მილიარდერიც თუ იყო იგი, დუკატებითაც, მაგრამ, ერთთავად, მუდამ ცარილადა პურსა და მხოლოდნაღვზე იჯდა, მხოლოდ, და ძილად სარდაფი რომ ჰქონოდა რა უჭირდა-ოს ვიტყვი, ზოგნი, მარგამ რა მალევი ხარაჩოებზე ერჩია ძილი თუკი უზომოდ გადაიღებოდა და, მთლად გაურანდავ ფიცრებზე იწვია, გამოტოლი თუ მოკუნტული - გაანდა, იმდელი, შექმნილს; ჩემის თვებით არგამხდელი ბრძანდებოდა და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ, რადგან, რათა არავითარი სხვა არამცთუ სიტკბო - ციციწაც შევბაც კი როარეგონო ამქვეყნიური ცხოვრებისაგან ოლონდაც მხოლოდ ხელოვნებისა - ის მერე რა რომ მისაღწევად ამა „დიადი ვერასოდეს“-ის, - გარდა, და ამ ურყევი შემეცნების, მთლად ბოლომდისინ წმიდასამებასეულისა კიდით, კიდემდე რა მადლიერი და აგრეთვე მუდამ თავისითავით რა ამრეხილად უკმაყოფილო ბრძანდებოდა მაგრამ სწორედ ამ დიად დამარცხებებისათვისაცკი როგორ ერთგულად, მაინც როგორი თავდადებით ეთაყვანებოდა, ღმერთს, მის წმიდანებს თავისი რარიგ მალაღი, მარხვითც და, მისით რა მკაცრად, უმკაცრესად შერჩეული შეგირდებისა გარდა რომლებიც წვრილწვრილ თანადგომას რა მონდომებით და როგორი დიდპასუხისმგებლური სიამაყით უსრულებდნენ და იმათ გარდა მტრებთან ერთად არც მოკეთედ უნდოდა, არცვინ, არც მლანძღავი და არცაც თავგადაკლულად მაქებარი - “მუშაობაში ყველანი ერთნაირად ხელს მიშლიან”ო და უკარება იყო, როგორი, და ძმებისა და იმბიძებ-მამის გარდა რომლებიცარომ ბავშვობაში ძალიან სცემდნენ იმისათვის რო-არ დავინახოთ შენს ხელში ფუნჯი და საჭრეთელი ეგენი აბა რა ფულისკეთების და საერთოდაც, საქმეაო და, - აიმათ გარდა, ვისთაც წყალობაა - სხვებისთვის კი გრომსაც ვერავინ გათავებინებდა და, რაღა თქმა უნდა აიისთა ძუნწად სთვლიდნენ მას, რომ, თან თავისთვისაც საქმლადაც არ ემეტებაო, ფულიო, ბრიყვთ და უნიჭოთ ხომ აკი დიდათუყვართ სხვათა და სხვათა შეფასებანი, იგი კი, რარიგ კატორღელი ერთსაც საქმეში ასევე დიდად მიუნვდომელი, გახლდათ, ცხოვრებისაგან მთლად გარიყული არ იყო, არა - სულაც უჩუმრად, დიდ-შენიღბულად ისე რომ სულ-სუ არვის გაეგო თავისი დიდად საიდუმლო დღიურის გარდა - სამზითვო ოქროს უგზავნიდა დარიბ ქალწულებს - ძუნწი კი არა,

რარიგ ნეტარი კატორღელი და წმიდასამების ვრცელ გაღერებზე გამოჩეული ჯაჭვით მიბმული მენიჩბე იყო და რა უღელში ცალად შებმული - უმტროდ, უმოყვროდ - გახლდათ, ოლონდაც, - თვით მისგან, ღვთისაგან და ამასაც ხომ, ემ მამინაცვალს, მხოლოდმოხილურგერიანა აბა როგორღა მიატოვებდა წმიდასამება და შიკრიკები, მისი - დიდუცნაური სიკეთეები და ჯილდოები, მათი - მთელისიცოცხლე რა უანგაროდ განვლილი ჰქონდათ ამა-ამეებ მამობილსდაგერს - ბავშვს და მამილოს, მისას, და ხოლო იმას, მთლად ზე-შიკრიკს, თვით სულიწმიდას, თვით, აიამათთვის მადლითწყალობა რა-რიგად მუდმივ ღვინა-გაღებდა, ჰქონდა რადგანაც? რადგან - სხვამ ვინ იცოდა ერისკაცთაგან სამი მთავარი, უუმთავრესი ისე ძალიან, რომ, თუ-არ იმ ერთმა რა სასიკეთოდ ნაღრძობმა, გერმაც - პირველი: „იცი თუ არა, ჩემო სანჩო, რომ თავისუფლება უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ზენამ მიჰმადლა ადამიანს? ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამინის ქვესკნელში დამარხული საუხვენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არსებობს“.

ხოლო თავად კი, ამისა-მთქმელი - ის მერე რა რომ, პანსა-სადმი რომლისა გვარი თუმც „ლიპი“,სა ჰნიწნამს, - რად-

განაც, ამის წარმომთქმელი, მთლად ყველაფერთან, თავიდათავი, - ერთად? - ჰეე, ქრისტიანე იყო, როგორი, და მაცხოვარ-ქრისტეს შედგომილი რაცმეტ მონურად? - ხომ აკი მეტად ჭეშმარიტად-თავისუფალი გახლავთა დიდად, ამით, - მთლადმონობითა, იგი, და-მაინც, მაინცდამაინც ხშირახშირა ნუ დაგვცდებოდა, ეს, განსაკუთრებით რეგვენებსა და ბოროტებთან - ერთნი გრძობენა, თავიანთს არსს, მეორენი კი მწარდებიან ამით დიდად და რა საჭიროა ერთნი რო კიდევაც-მეტად რომ გაყეყენდნენ რარიგ მითაში შეუპოვრობით ჰავტ.-ჰაზრებისანი და მეორენი კი მთლადაც თუხთუხა გესლად იქცნენ - განმსჯელიცა და საკეთილგზაოდ დამყენებელი ეს ჩვენ კი არა, - თვალშეუვლებლად მალევი, სხვაა, და მხოლოდ მისით მოვლენილთა საქმე გახლავთ, ეს, ჩვენ კი ის გვიჯობს ჩვენს თავს მივხედოთ და, მთლადაც ამისა, მიუხედავად, მქადაგებელი, გახლ-

გურამ დოჩანაშვილი



დათ მამილო-მამინაცვალი უთუოდ კარგი რადგანაც, იმას, ხოლო-მეორე ბედნიერება? - მეორე რა ღვთით დიდწყალობად კი, ის სიყვარული და შეყვარება რომელიცა-რომ რარიგ ბოძებდა აი-ის ჰქონდა გერს, რო - მათხოვეთ, ყური, საიდუმლოდ მოგაჩურჩულებთ... თუმც, რაღად გვინდა სხვა-შიადობანა - თავად თვით თვითონ რა სიამაყით აღტაცებულურულ-სხაპასხუპურად თუნდ თუცვინდ სახით მწუხარით გა-მომეტყველებითაა ბრძანებდა, ამას... არამცთუ თავისი უმეცნიერესს და უუტურფესს ეტრფოდა შორის არამედ მთლადც ზედაპირულსა კატორღელბთან - ოლონდ მიქლანჯელოებისთანებთან კი არა, კაცო, მთლად - რომ იტყვიან რე-ალურ-საო სა-გალერა-ოდ ძალისძალათი განმნესებულბთანაც კია როდი ჰმაღავედა, ამას - არ მალამდა, კი: როს მრავალთაგან ერთ-ერთსა გზაზედ ნაღდ ს.ს.რ.კ.-აელებს, ანუ ს.-ისხლის ს.-ამართლის რ.-ეგულარულად კ.-ავშირ-შიმყოფებს გადაეყრება, და როცა იმათ-გან ერთი თაღლითი მეორე თაღლითზე დიდ-თაღლითურად მიუგებს აცნობისნადილბულ რაინდს, რომ: „იმიტომ მოგ ზაურობს ასე შებოჭილი რომ შეყვარებული იყო“, - შეყვარებაში კი თანაშემოჭილისაგან მოზარული სარეცხის ფუთას გულისხმობს მაგრამ უკ.რ.-ს (-უკეთილმოხილეს რაინდს) ეს ერთი სიტყვა, „შეყვარებული“ ძალიან ეცა-ეტაკა, ყურთ, და, იმ სხვასაცა მინიშნულ პატი-მარზე? - რარიგი როგორ, ჭეშმარიტი კაბალიერო, სწორედაცა რომ დიდ-გაკვირვებასაა, სწორედ: „მხოლოდ მაგიტომ? - გაიოცა დონ კიხობმა, - თუ ყველა შეყვარებულს გაღერებზე გზავნიან, მაშინ ყველაზე უნინ მე უნდა გავგებავნეთ მენიჩბედ“ - და, სწორიც გახლდათ: შეყვარებული ბრძანდებოდა, უზომოდ დიდად, და რარიგ უმაგალითოდ მალაღს სიყვარულს, სწორედაცა-რომ სხვათაგან ყოვლად მიუნვდომელს შეყვარებულობანასა ფრიად ეძებდა, და, შესლო კიდევც, ეს, რადგანაც ისი მესამე დიდადდიადი მონყალები-ესი თვით ზენარიდას, ხომკი აკი ჰქონდა ჩამობოძებული და ხოლო ესლი

ზე-მადლითა დიდჩუქებაი ღვთისაგან ჰქონდა რა-რა გულუხვად გადმოლოცვილი რასაც აპროგორ უწყობდა გულსა და ხელს აის მესამე მთავარი ნიჭი რომელიც, ადრევე, ავად თუ კარგად მოსუმბუქოთე გვებოძებოდა ადამიანებს, ჩვენა ხოლო გულწრფელმობისას უხეტს-შთაესი ნობათი, ესე, როგორი III, დიადი ზენით სანიჭარი, მითო-უბრალო სიტყვით და რა ტყეადი, უტყეადესი ბგერათაშერწყმით აიი, ამრიგ გადმოცემა: ჯიღლო III, წინა ორივით დიდსაგან-ძური? - „წარმოდგენა“ა, „წარმოსახვა“ა, და თავად გერმა მამინაცვალთ როგორ მშვენივრად განგვისაზღვრა, ეს: როდესაც სანჩო, გვარად „პანსა“, მისი ისეთი საჭურველმტვირთველი რომელიც მთლადაც ერთდროულად რარიგ ერთგული და გაიძვრა თან ენამჭვერი და აყყი და თანკი ბრიყვი და თანაც ჭკვითასავსეც და შტერუკინც-ვინმ და, ჰამაცა დიდად

დიდ-საზრიანი რამეცა-ი, იყო? - ერთხელაც, კაცოვ: „რას ბრძანებთ(!)? - შეჰყვირა სანჩომ, - მაშეგ თქვენი დუღისინეა ტობოსელი (აგერას გლეხუჭა) ლორენსო კონჩელოსი და (აგერასვე გლეხუჭა) ალდონსა ნოგალესის ქალია? მას ხომ (მამამის დედამისით) ალდონსა ლორენსას ეახანან!“ - რაზეც, იმა-III, წინა I და წინა-II წყალობათ რა ღირსეულად თანატოლ-მადლით, დიდად მოსილმა? სისანუკვერთი ამ-სამთავეთი პირთამდ-ალსავსე კაბალიერო, და იმისთანა საგამოსაჩენო იდაღო რომ - დიდ-ვრცელ მეფეთა გინდაც სასიძო? „პანსა“ს მართლიად დაყაჭულზე? - ზნისდამიხედვით არ დაიხვეს და, ასე მიუგებს: „სწორედ ისაა და იმ ბედის ღირსიცაა, რომ მთელი ქვეყნიერების დედოფლად შეიქნას“.

აქა კი, სანჩო, ცბიერიკუნა და ერთგვარად მაინც პირშიმთქმელი, რა გაცევა-ბას გადაყრილი, აილებსა და მაინცაღ დიდად საგადასარეგო სინამდვილის... რაღაცა სიტყვა... არაქართულად, მგონი... - ჰოი! სინამდვილისა, „კონსტანტირება“ს, ახდენს... - არადა, თქვი-რაღა, „დაფიქსირება“ს ანუ გინდაც დასურათხატებას, ახდენს... მოკლევად, ებნევა განკვირვებული: „კარგად ვიცნობ, - უთხრა სანჩომ, - და უნდა მოგახსენოთ, რკინის პალოს ტყორცნაში (- ესპანელ გლეხუჭათა თავშესაქცევი თამაშია ეს, რომელიც ბლომა მუსკულატურულ-ძალას მოითხოვს...) ისეა გამოჯეჯგილი, რომ არც ერთ სოფელ ბიჭს არ ჩამოუყვარდება. ჩემმა მზემ, კარგა ჯანიანი გოგოა, ჯანსაღი, გონიერი“... და, თურმედა რატომ? „მერე რა ზორბა გულმკერდი აქვს“... და თანაც, ზედაც, თურმე: „ახლა, ხმა აქვს ისეთი, ერთ რამედა ღირს... ნახევარ მილზე გაგაგონებს... (- ვაჰ, იმეხმეხე-და-გამაძლიერებელი ედგა, ყროწქში?)... ყველას ეტილიკინება, ყველას უცინის“... - აიი, თვით იმა-მიზნედილსა და კდემა-მოსილზე, დუღისინაზე-დ, ტობოსოულ სახით მწყაზარსა და ტანად-ალვასა და ლერწმად კენარზე ასეთი, სიტყვა? სიტყურთი კალმით აუნერელებუ - სიტყვასეთი? უტიფარობით ასე-ბელებუ?

და თუმცა მაგრამ აქი-მაინც ენა ხომ უნდა ჩავარდნოდა რაგინდ ამტანსა ყოველ ყოვლადაც უშიშარ რაინდს ასეთ მწარეულ ცნობაზე, მაგრამ, - მაგრამ აკი-ხომ დონ კიხობი ხომ ყოველ-რიგითი კი არა და, რაინდი გახლდათ? - ჭეშმარიტი, და, აი სწორედ ის უპასუხა, რომ - აიი, სადაა ყოველივე დაფარული ჩვენთვის - რაღა თქმა უნდა მასზე რამდენად წარმომსახვ-წარმომდგენებისათვის, ფრიად გახსნილი: „იქნებ გგონია, ყბელო სანჩო, - ყველა ის ამარილსებო, დიანები, სილვიები, გალატეები და სხვა ამგვარი, რითაც სავესა ჩვენი წიგნები, რომანსები, თეატრები - ცოცხალი ძვალ-ხორციანი არსებებები რომ მათმაქებარ პოეტთა სატრფოები ყოფილიყვნენ. სულაც არა. ისინი, მხოლოდ პოეტთა წარმოსახვაში ცოცხლობენ... ამიტომ ჩემთვის სრულიად საკმარისია წარმოვიდგინო (!) და მჯეროდეს (!!), რომ ალდონსა ლორენსო ჭკვიანიც არის, მშვენიერიც და პატიოსანიც... ამასლა დავესძინ: ჩემი მიჯნური ქალი როგორღაც მსურდა ისეთად წარმოვიდგინე, ისეთი სიმშვენიერე და გარეგნობა მივეცი, რომ მასთან“... - ჰეე, სიყვარულო, სიყვარულეო და შეჰყვარებუო და მათში-კია წარმოსახვით-ხვითოო-ულო რამრუმეუბო - ჰეჰე-ჰეჰე! - რა ხარ, რანი ხართა-ხართო: მაინც როგორნო დაუოკებლუო რადგან ისეთნოო წარმოსახვებებიანოო, რომე: „რომ მასთან (ანუ დ. ტობოსელთან) ვერც ელენა მივა და ვერც ლუკრეცია ამაღლდებოდა, ვერც ვერავინ წარსულ ქალბატონთაგან - მის მსგავსს სხვას ვერავის მოიძებნი ვერც ბერძნებთან და ვერც ლათინებთან და ბარბაროსებთან, ესენი ყველანი ერთად ქებული ქალები (- ქალბატონები; მანდილოსნები; ბანოვანები; ნაშები-რაღა...) მისკენ (- დუღისინეა ტ.-საკენ) ფეხს ვერ გაიწვინებ“ - და, რარიგ რწმენით, ანდამატისებრ მიმზიდველით და აღმასივით შეუვალთ: „ხალგა კი, რაც უნდა ის ილაპარაკოს“... - აიი, შეყვარებული? შეყვარებული ამისთანა? - შესაყვარებელისა ასე-ვითარის ტრფობით-მსჭვალულით დამამზადებელ-მესეუერი? - აიი, მესამის. ... ,, ასეთი უნდა! რადგან, იმა-უფსკერო ხალასთაგან იმ-უძირო ნიჭით რასაც წარმოსახვა რომ რომკი ჰქვიან და ის ეგებ-ი კიარ გახლავთ არამედ სწორედაც რომ რა-სიცხადითე მთლად მაგნოლის ყვავილანეებდა-ს გადაციცოცხლებს რაცინდ გომბიოს და რაღა თქმა უნდა ამასთან ისა ალდონსა ლორენსაი ვინა გდია და ვიღღანად ეგდება, რომ - მთლად თვითონ თვით თავად ტობოსელ დუღისინეად არ გარდაესახა რაინდის ძალუმ წარმოსახვას, მის ჭკვა-გონებას ყოვლისშემძლედ დაუოკებელს, - ბარაქალა, მას. და, როგორ ჯიღლოდ, ქუეყანა-დ უფროდაც მყარი დგომისათვის თვით დუღისინეაც, ტობოსო-ელი ხომ დაუტოვა აკი-მეთუი, ბედნიერებად-სამუდამისოდ, მას, - ბრიყვთათვის ვითომც საჭკვიდანშემშლოს. - და არა პალოსტყორცნაში ახტაჯანურად გამოჯეჯგილი ა. ლორენსაი - ვრცელი რაინდის დიდ-აგდებულად შემეჩერებლებს (შემჰყურებლებსა) - ვაი იმათი, აყაყულ-შტერთა, ბრა-ლი... ... მაგრამ ახლა კი, იკითხეთ, ჩემიც. ერთისშეხედვით ეს ვრცლადწანართი მართლა ჩანართი კი არ გახლავთა, არა, არამედ ჩანართია-რამ - მგონია რომ, უცილობელი რადგან ნოეზე, თავად წარღვნას გადარჩენილზე გიყვებოთ, ვითომ, ჩემი ჭკუისად თუ წარმოსახვითს, ამბავს, და, არ გეგონოთ რომ თავდაც ძალზე არ ვფიქრობდე-რომ ვინ მომცა ამ-მეს, მე-ულირსსა და უზადრუქს-მე თითქმისდა მთელი კაცობრიობის წასაღებუდ რომ აგისნით-გისხნათ, რამი - თავად ბიბლია,

აგერეიგ თავმეკავებადბრძნულია და მოკლედ გადმოგვცემს რაცგინდ, მთლადმთავარს,ც, და ამიტომაც მისახვედრებმა ძაანაც უნდა კეთილგინებოთ და, ჩვენითაც უნდა წარმოვიდგინოთ, დაღუპვისაკენ მიდრეკილებმა თუ რატომ მოხდა, ყოვლისმოყვარულ მპატიებელისაგან, ეს, რადგან ამ წარღვნის შემამზადებელ-მესვეურები ისევეც ესჩვენ ვიყავითა და ვაითუუ, ვართც, და ჩემისთანა აქნამდისინ როგო-ღვარჭნილად მოსაუბრისაგან ეგებდაიქნებ კარგიცა და საჭიროცკია ეგებ გაფორთხილდეო – თუ რაცრამ,

გველის, რადგანაც ამჩვენ, ადამიანებმა გადავივინყეთ სრულიად, წარღვნა, და გინდ ასეთმაც მოუხეშავმა თხრობამდამბობამ ეგების ცოტათც შეგვახსენოს, ეს, რადგან ისევე, როგორც უნინ რომ გადაგვარდნენ ადამიანები და ეს თუ რატომ, რას ვწადიოდით და ჩავდივართ, რასაც; და უდიდესად ძნელ სინამდვილეს შევფარებოდი აქამდეცკი და ჩემი-ეეს ასეთი ტრანქი წარმოდგენა ოდნავ თუ მაინც დაემთხვევა სი-ნამდვილი-სას,

ეგებ აღმოვჩნდე ეს თავხედი-მე თუნდ მცირეოდენ არ-ზედმეტი, და, ისე კი, რალაც ზედმეტი-საჭიროდ ხომ არ გამომყავს ჩემი გინდაცდატლანქად უღირსითავი მაგრამ ის,

მშველის, რომ ეს – მე არ ვარ, რადგან, რალა თქმა უნდა თავად ბიბლიის „განმარტებანი“ს რა ხსნად, საშველად შევეხიზნები რომელიც დიდად მადგასა და მას რომ რა ხშირად, მოვიხსენიებ, სუმთლადაც ძალას კიარა და მზეს, ჰაერს, პურს საყრდენს როგორ მაძლევს და, ვბედავ ისევე,

და განვავარძნობ კიდეც, ნიადამძებნი:

- რად დაღონებულხარ, ნოე. – მოულოდნელად დაეკითხა, თ,და კითხული, ნოე შეკრთა... მიუგო, მერე:
- რომელი ერთი...
- მაინც რა, ნოე.
- რითი დაეწყო, დუმდნენ.
- მაგრამ დროებით:
- ძალიან დაეცა ქვეყანა,თ.
- უომებოდაც კი, არა?
- კი.

... და აგერ უკვე რამდენი ხანია, „ბიბლიის განმარტებანი“ს, არ შევკედლებივართ, – :

„ როდესაც ადამიანებმა გამრავლება იწყეს დედამიწაზე“... „დაინახეს ღვთისშვილებმა, რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები“... – „ეს ერთ-ერთი ძნელად განსამარტავი ადგილია ბიბლიაში. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმის დადგენაში, ვინ უნდა ვიგულისხმობთ „ღვთის შვილებში“.“

და, „ბიბლიის განმარტებანი“ ჯერ აღვიწერს რამდენიმე მცდარ შეხედულებას, მერე კი იმ ჭკუშმარტებას გვამცნობს რომ მათში, „ღვთის შვილები“ში უნდა ვიგულისხმობთ ღვთისმოსავი სიფიტები რომელ მოსაზრებასაც „უჭერს მხარს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალი წარმომადგენელი, რომელთაც სახელი გაითქვეს თავიანთი ეკზეგეტური ნაშრომებით (იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური, ნეტარი თეოდორიტი, იერონიმე, ავგუსტინე და სხვანი) და მთელი რიგი თანამედროვე მეცნიერები ეგზეგეტები (კეილის მეთაურობით). ეს მოსაზრება სავეებით მართლდება, ვინაიდან „ღვთის შვილებად“ წმიდა წერილში ორივე ალთქმაში ხშირად მოიხსენიებიან ღვთისმოსავი ადამიანები. ამასვე ადასტურებს წინამდებარე კონტექსტიც, რომელშიაც შეთის შთამომავლობის ჩამონათვალში მოცემულია ღმერთის სახელი, ამიტომაც სიფიტები წარმოდგენილი არიან როგორც მისი (ღმერთის) შვილები“, ეს განსაკუთრებით ხაზგასმულია იქ, რომ ენოქის (რომელიც „დადიოდა ღმერთთან ენოქი და აღარ იყო, რადგან წაიყვანა იგი ღმერთმა“) დღეებში სიფიტებმა დაიწყეს ღმერთის საზეიმო რიტუალით მოხმობა“,

- ღმერთი აღარავის ახსოვს,თ,
- შენ გახსოვს, ნოე.
- რა ხსომებაა თუ მისადმი მსხვერპლის შესანიშნავი ადგილიც არ მაქვს,
- მაგრამ ცოტათი, გაქვს.
- მაინც, რომელი,

— მინა.
...
— რომელი მინა, ასე ნაბილწული?
— არა. რომელზედაც დგახარ. შენს გარდა ამ კორომებში აღარავინ დაიარება.

ხოლო უფალმა ღმერთმა „ადამს უთხრა: რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე იმ ხის ნაყოფი რომლის ქამა აკრძალული მქონდა შენთვის, მინა დაინყველოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მიწღვინი ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროფლანი სჭამდე პურს, ვიდრე მინად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“.

მაგრამ, „უნოდა ადამმა თავის დედაკაცს „ევა“, რადგან ის გახდა ყოველივე ცოცხალის დედა“.

„მინა დაინყველოს“... ამის ზუსტი ახსნა მოცემულია თავად წმიდა წერილში წინასწარმეტყველ ესაიასთან, სადაც ვკითხულობთ: „...დაჭკნა დაღონდა სოფელი, დაჭკნენ ქვეყნიერთა დიდებულნი. ნაბილწა მინა მის მკვიდრთა ფეხქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა“ (- ესაია XXIV, 5-6). ამ სიტყვებში გადმოცემულია ზოგადბიბლიური აზრის კერძო გამოხატულება (იობთან, ეკლესიასტესთან, რომელთადამი). მინის მიმართ ღმერთის ეს რისხვა გამოიხატა მისი ნაყოფიერების დაკნინებაში, რაც თავის მხრივ, ყველაზე უფრო ადამიანის მდგომარეობაზე აისახება, რადგან იგი ამ შემთხვევაში განწირულია მძიმე შეუპოვარი შრომისათვის, რათა მოიპოვოს პური არსობისა“.

დახედა მინას, ნოემ. ირგვლივაც მოავლო თვალთ. ყანა-პურისა, რალაც უკეთეს ოქროსიფრად ლივლივებდა, კი.

— ეს ზეციური მანანაა, იმისი ნაშთი შენი ხელებითა და ოფლით აღმოცენებული, ნოე.

— მაგრამ ეს ხომ ლამექმა დამინესა,თ!, და ლამექი ხომ მძვინვარე ადამიანს, ომისა და ნგრევის კაცს ნიშნავს და აკი იმან შემოიღო ორცოლიანობაცა და მრავალქალიანობაც ატლანტიდაში და უღვთო იყო და მაშინ, როგორღა გავხდი მისი წყალობით მე მინის კაცი...
— ღვთით გახდი, ნოე რადგან გინდაც უღვთოთი მოგენოდა, იმისი გავლით აი ის შრომა, შრომა-ესი, გადამრჩენელი. ეს – უფალია.

სადღაც, ვილაცისაგან, თითქოს სმენოდა, ეს.
და არა-ლამექისაგან, რომელმაც თუმცა

„უნოდა მას სახელად ნოე. ასე თქვა: ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში მინაზე, რომელიც დასწყველა უფალმა“.

„ბოლო, წარღვნამდელი პატრიარქი იყო ლამექის შვილი – ნოე. ამ სახელის მნიშვნელობის განმარტება მოცემულია ბიბლიის ტექსტშივე, მინის სამუშაოებში და საერთოდ, შრომაში „დამშვიდების სახით“. ვარაუდობენ, რომ თავად ლამექს, რომელიც არ გამოირჩეოდა დიდი ღვთისმოსაობით, დაარქვა რა შვილს ეს სახელი, უნდოდა მასში ჩაედო ღმერთის სანინალმდეგო აზრი, კერძოდ, ამით გამოხატავდა იმედს, რომ ღმერთის მიერ მინის დაწყევლას მალე გამოეცხვებოდა ძალა, ბოლო მოეღებოდა მას კანონებისაგან გადმოღებული კულტურული წარმატებების (ეს ამ შემთხვევაში დღევანდელივით მართლაც უკანასკნელი ორი სიტყვა – „კულტურული წარმატებები“ – ალბათ ბრჭყალაში უნდა მოქცეულიყო... თუ, ისედაცაა მოქცეული – 2006წ.) მეშვეობითა, სურდა ამ წინსვლით პირველ მომტანად ეხილა თავისი ახალშობილი ვაჟიშვილი“...

— ეს შენ ხარ, ნოე. თვით უბადრუკი ლამექითაც კი სწორედ რომ ღმერთისაგან, გამორჩეული.

— რითი... შრომა ხომ ისედაც ხომ მთლად უჩემოდაც ხომ მთლად კეთილია...
ვილაცა რალაცას ეუბნებოდა... ჰო! დიდდობაში სით, რომ ღმერთმა ადრეულ ადამს დაუწესა ის ზომიერი შრომა რომელიც გააკეთილშობილებდა, მას, და გახარებულს უნდოდა ეთქვა ეს თ-სათვის მაგრამ იმ რალაც უმწეოდ გაუღიმა და, რა სიღონავრე, უთხრა:

— ვიცნ-დიდდომენსაც სწორედ უფალი ალაპარაკებდა შენთვის, ნოე.
— როგორ... ან რატომ... მე ვინ ვაგდევარ ისეთი რო...
აქ თმ უფრო გაუღიმა:
— სწორედაც ემაგ თავმდაბლობისათვის არ მიგატოვებს უფალი, ნოე. რადგან მიუხედავად იმისა რომ ბევრს რასმს შეგამთხვევს ადამიანებს, თქვენ (– და არა ჩვენ-ო... ეგებ იმიტომ რომ წარმოშობით ატლანტიდელი არ იყო, თ...), მაგრამ თავისუფალი არჩევანის ნებას მაინც გიტოვებს მიუხედავად სიყვარულისა-იმ რომლითაც თქვენ რომ მთლად წამდაუნუმ გიბიძგებთ მისი ანუ სიყვარულის დანახვისათვის და დიდდომენი უბრალოდ კიარ მიგანიშნებდა იმ სიკეთეზე რომლებიცაა ჰაერი, წყალი, ნიადაგი, მზე,
— და წვიმა!, თოვლი!!, – მთლადაც გაბავშვდა ანუ რაუკეთესი გახდა და იქცაუკეთესად გინდაც ჩავლილი ბავშვობისა მიმღები-როგორ, მკვიდრი ეს, ნოე.
— მაგრამ თვალები აქვთ და ვერ ხედვენ, ყურები აქვთ და ვერას ისმენენ სასიკეთოს, ფეხები აქვთ და სწორად ვერ ვლიან, და ენა კიაქვთ მაგრამ როგორებფრავებს ამბობენ მაგრამ შენ თვალები აგინილა და ყურში ჩაგყდენთა უფლის ნათელი სიბრძნეები დიდდომენმა, ნოე.
— რატომ... – დარცხვენით იკითხა ნოემ, ბედნიერმა, კი.
— ენოქთან ერთად, კიდევ რომელიმე ხომ უნდა გამოერჩია. ასე ჰსურდა, მას, და ჰსურსაც, ნოე.
„ ენოქი – ამ პატრიარქის სახელი ჯერ კიდევ კანონების გენეალოგიიდან ცნობილი, მიუთითებს მის მატარებელზე, როგორც მსაჯულზე, წამომწყებზე – ეს წამომწყებანი ღმერთთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ როგორც ადრეული სუსხვა ენოქი კანონიერი იყო მინიერი ძალაუფლებისა და კულტურული ბატონობის დამამკვიდრებელი (რაც გამოიხატება მის მიერ მისივე სახელობის ქალაქის აშენებაში), ენოქი-სიფიტელი პირიქით, პირველყოფილი რწმენის ღვთისმოსაობის, სასიფიტის, იმედის, მოკლედ ყოველივე იმის მატარებელთა ტიპ-

ლი ალაპარაკებდა შენთვის, ნოე.
— როგორ... ან რატომ... მე ვინ ვაგდევარ ისეთი რო...
აქ თმ უფრო გაუღიმა:
— სწორედაც ემაგ თავმდაბლობისათვის არ მიგატოვებს უფალი, ნოე. რადგან მიუხედავად იმისა რომ ბევრს რასმს შეგამთხვევს ადამიანებს, თქვენ (– და არა ჩვენ-ო... ეგებ იმიტომ რომ წარმოშობით ატლანტიდელი არ იყო, თ...), მაგრამ თავისუფალი არჩევანის ნებას მაინც გიტოვებს მიუხედავად სიყვარულისა-იმ რომლითაც თქვენ რომ მთლად წამდაუნუმ გიბიძგებთ მისი ანუ სიყვარულის დანახვისათვის და დიდდომენი უბრალოდ კიარ მიგანიშნებდა იმ სიკეთეზე რომლებიცაა ჰაერი, წყალი, ნიადაგი, მზე,
— და წვიმა!, თოვლი!!, – მთლადაც გაბავშვდა ანუ რაუკეთესი გახდა და იქცაუკეთესად გინდაც ჩავლილი ბავშვობისა მიმღები-როგორ, მკვიდრი ეს, ნოე.
— მაგრამ თვალები აქვთ და ვერ ხედვენ, ყურები აქვთ და ვერას ისმენენ სასიკეთოს, ფეხები აქვთ და სწორად ვერ ვლიან, და ენა კიაქვთ მაგრამ როგორებფრავებს ამბობენ მაგრამ შენ თვალები აგინილა და ყურში ჩაგყდენთა უფლის ნათელი სიბრძნეები დიდდომენმა, ნოე.
— რატომ... – დარცხვენით იკითხა ნოემ, ბედნიერმა, კი.
— ენოქთან ერთად, კიდევ რომელიმე ხომ უნდა გამოერჩია. ასე ჰსურდა, მას, და ჰსურსაც, ნოე.
„ ენოქი – ამ პატრიარქის სახელი ჯერ კიდევ კანონების გენეალოგიიდან ცნობილი, მიუთითებს მის მატარებელზე, როგორც მსაჯულზე, წამომწყებზე – ეს წამომწყებანი ღმერთთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ როგორც ადრეული სუსხვა ენოქი კანონიერი იყო მინიერი ძალაუფლებისა და კულტურული ბატონობის დამამკვიდრებელი (რაც გამოიხატება მის მიერ მისივე სახელობის ქალაქის აშენებაში), ენოქი-სიფიტელი პირიქით, პირველყოფილი რწმენის ღვთისმოსაობის, სასიფიტის, იმედის, მოკლედ ყოველივე იმის მატარებელთა ტიპ-

იური წარმომადგენელია, რომლებიც ძველი ალთქმის მცნებებს აერთიანებენ თავიანთ თავში და ამიტომაც ეწოდებოდათ „მართლნი“;

— შენ მართალი ხარ, ნოე, და როგორ სწორად მოიქეცი რომ ვითომც პირველი, ანუ პადრე, ამ შენი მინით ვითომცა და უკანასკნელი ანუ ვითო-უბრალო, გლეხი, გახდი. და ეს რომ არ გექნა, სწორედაც რიქმა ანუ ტვირთშიდი იმა-ბოროტი ძალის შენს მოწამვლას აპირებდა მაგრამ დღევანდელობაც კი არ იცის და ვერ ესმის და მიუთმეტეს აბა საიდან ეცოდინება, მომავალი, თვით ძველი ალთქმის ყველაზე მეტად რთული, იობის წიგნი ბოროტი რომ მამა-ღმერთისაგან ითხოვს ნებართვას თუ როგორ მოექცეს იობს და როგორი-ძნელად მისახვედრია რომ თვით იოვანე ოქროპირი სამაგალითოდ ხმარობს, ეე, იხმარს ამ გამოთქმას – იობის მოთინება, რომელ-იობსაც, ჩაესმება-რა თავად ღმერთისაგან გამოცხადება იმისა რომ სად იყო იგი, უკმაყოფილოობი მაშინ როდესაც ღმერთმა შექქმნა ვეშაპი, და მასთან კოლო, და რა ლამაზადაა აღწერილი... არა, იქნება აღწერილი ღვთის უკიდევანო ძალამოსილობა და ამ ერთგვარი საყვედურით რომ – რომ აბა სად იყო იობი მაშინ, ღმერთის ისეთი როგორ დიდად უუდიადესი შრომისაას რომ თვით ქვეყანა, უუთვალავი ფერით მორთულ-და-შემკულ-და-კაზმული და ორი არამცთუ ადამიანი ფოთოლიც კი არ არსებობს ერთნაირი, ქვეყნად, და ეს ქვეყანა როგორი დიდაა და ადამიანები კი – სავალალოდ თუ საბედნიეროდ როგორი სხვადასხვანაირები ანუ სუცოტა დასაკვირვებლად გამომწვევები არიან და ხოლო ეგრეთნოდებული არჩევანის უფლება კი კიდაგვიტოვა, ყველაზე, მაგრამ, იცის ყოველი რაც უნდა მოხდეს და მოხდაც, უკვე...
„დაარქვა ადამმა სახელი ყველა პირუტყვს, ცის ფრინველს და ველის ყველა ცხოველს, მაგრამ ადამს არ გამოუჩნდა შემწე მისი შესაფერი“;

გაგრძელება მე-10 გვერდზე



ლელა მეტრეველი

ღრუბლები და სხვა...

ნიფუნარი — თითქოს უცვლელი,
ბოძზე შემჯდარი არნივი,
ცაზე, თეთრ ფარდად, ღრუბელი
ზურმუხტისფერი არმიით.

დუმილით ვერას უშველი —
შემაქე, ანდა შემრისხე!
ჩანს ჰორიზონტზე ღრუბელი —
აყვავებული ტყემლის ხე.

მოუთოვია ნუხელის,
რომ ქვეყნის ქუჩები დაფაროს...
მთაზე გუმბათად ღრუბელი —
ირეალური სამყარო.

შენი ჭახტახი მალვიძებს, შაშვო!
ვდარდობ: ქვეყანას
ლომის ბრდღვინვაც
ვერ გააღვიძებს...

მეტ-ნაკლები დრო სჭირდება, თორემ
სუყველაფერი წარმავალია...
თუ ეს ასეა,
რალას ჰქვია მარადიული?!

ილუზია

მინაზე ყრია
სეტყვის მარცვლები,
თითქოს ხეებმა დაიყვავილეს...

მოლიპულია თითქოს
ზოგი ადამიანი:
ვერ დაეყრდნობი, ვერ დაენდობი,
ვერ შეიყვარებ.

როდესაც ბნელა


შვიდიც არ იყო. ჯერ ბნელადა.
ფანჯრის კუთხიდან
ულამაზესი ფერწერული
ტილო ვიხილე:
უფოთლო ხეზე
თვით მზე იყო დასკუპებული.
უკან, სხვა ხეზე თოვლი იდო,
ანდა ღრუბელი.
ფონი კი იყო მუქი ლურჯი...
და მე ვტკებოდი...
გამიცამტვერა გათენებამ
უმაღ ზღაპარი:
ჩაქრა მზე — ქურჩის ლამპიონი
(სადღაც შორს იყო!);
ფონი გაბაცდა;
თოვლი, ღრუბელი
ხის ფოთლები
აღმოჩნდა მხოლოდ;
უცვლელი დარჩა ერთადერთი —
ხე გაძარცვული.
ხედი ოქტომბრის,
სულ არაფრით გამორჩეული,
დღის სინათლეზე
მიყურებდა უკვე ფანჯრიდან.
... ..
რამდენი რამე გეჩვენება,
როდესაც ბნელა...

მწვანე კონცხთან

დიდი ხნის წინათ
აქ დაეკარგე ლექსი დაისხე.
მერე მოვედი, —
თოთხმეტი წლის შემდეგ დავწერე,
ოღონდ ეს არის,
ზამთრის იყო
უკვე დაისი.

როდესაც ვმგზავრობ,
სულაც არ მხიბლავს
გაშლილი ველი ან კლდე ფრიალო, —
მსურს დავრჩე ტყეში
და ხეებს შორის
ქანცგანყვეთამდე ვიხეტივლო.

თივის ზვინები. საღამო და
მერცხლები ცაში.
აღისფერიდან მუქ ლურჯამდე —
ღრუბლების ფერი.



ასი წლის წინათ რომ მეცხოვრა,
ახლა დავწერდი:
„ხორბალი მომკეს და ყანებში
გაყვითლდა ქერი“,
მაგრამ უნდა ვთქვა: „ნაყანარში
ხშირი ბუჩქნარი“.
ესაა რაჭა. ვწუხვარ, მაგრამ
ვერაფერს ვშველი.

უამინდობა

ცა ისეთია,
ყინულოვან ოკეანეს ჰგავს.
აკლია მხოლოდ
ჩრდილოეთის თეთრი დათვები.

რა ხდება ჩემს თავს? გამოიდარებს?
ბოლოს მომიღებს სასტიკი ჰავა?
დამიმეგობრდა ისე მოწყენა,
რომც ვანწყენინო,
ალარსად წავა.

რა ხდება ქვეყნად?!

ლოცვა ეკატერინეს თამაშისას

შენ დაიფარე, ღმერთო, ეს გოგო,
მზე ჩამოჰკიდე ყელზე თილისმად...
ჩვენს თამაშებში ეკატერინეს
ყოველთვის ჩემზე მეტი შვილი ჰყავს.

შენ შეენიე, ქართველია და
მძიმე ცხოვრება ერგო ისედაც...
ჩვენს თამაშებში ეკატერინე
აუცილებლად არის პრინცესა.

გზა გაუკვალე, სხვა თაობების
შეცდომებს ნულარ გაიმეორებს...
ჩვენს თამაშებში ეკატერინე
სულ პირველია, მე ვარ მეორე.

შენ დავხმარე, შეაძლებინე,
არ გადაცვალოს ოქრო ჩალაზე...
ჩვენს თამაშებში ეკატერინე
მუდამ იმარჯვებს ბოროტ ძალაზე.

შენ დაიფარე, ღმერთო, ეს გოგო...

მოვედი,
ვნახე,
დავწერე,
წავალ...
ნეტავ ვიცოდე:
ლექსად დავრჩები?!

ხელი

მთა, თავის თავზე
ეკლესიით
უფრო მაღალი.

ლექსებს, რომლებიც უკვე დავწერე,
არ ასცილდება ციცაბო გზები.
აქედან ცამდე რა მანძილია,
კარგად ვიცი და მშვენივრად ვხვდები.

გელით, შიგნიდან საიმედოა
სრულიად სადა ჩემი კარავი...
მაგრამ აქამდეც რამხელა გზაა,
მხოლოდ მე ვიცი და სხვამ არავინ.

სად ხარო, რომ მწერ,
იგრძენი, რომ
ალარსადა ვარ?!
სად უნდა ვიყო? —
მინა ფეხქვეშ გამომეცალა.
არსაით — ხელი გამონვდილი,
ალარსად — ხავსი...
წყალნალეზული (ჩემი ჩათვლით) —
რამდენიც გინდა.
ნეტავ ეს წყალი სამშობლოდან
ნაგვიღებს სადმე,
თუ დაგვიდობს და
მის ნაპირთან
მაინც გაგვრჩევს? —
ორად ორია არჩევანი
ჩემნაირთათვის,
ორივე მწარე,
გარდუვალი და დამლუპველი.
დრო მაინც გადის,
ისე გადის,
თითქოსდა ირგვლივ
საშინელი და ამაზრზენი
არც რამე ხდება.
მეც რა მანუხებს?
იქნებ ის და ისე ვაკეთო,
რასაც ჩემ ირგვლივ
საქმედ თვლიან, ანდა ჩათვლიან.
აი, მაშინ კი შემეძლება,
ვთქვა (ან ვიყვირო!):
— შემხედეთ, ხალხო,
სანიმუშო მოქალაქე ვარ!
სხვა არაფერი დამიკარგავს,
მე დავიკარგე!

ღრუბლიან ღამეს

არ მოეწონა რალაცა,
მინას ზემოდან დახედა,
დაბრძანდა მთვარე პირბადრი
შავი ღრუბლების ტახტზედა.
ზეცის ოთხივე კიდისკენ
ღრუბლისვე თმები გაშალა,
— არ გაგთვალონო, — ღრუბელმა
პირბადე ჩამოაფარა.
მერე ის შავი პირბადე
მთვარემ სხივებით დაჩითა,
მაინც იმძლავრა ღრუბელმა,
შეეფრქვა დაფხვნილ გრაფიტად.
დაღონდა მთვარე და სანამ
შავით ბოლომდე მორთავდნენ,
კვლავ დედამიწას დახედა:
— ღრუბლებში ვართო ორთავე...

გაორკება დასასრულის დასაწყისში

წყალდიდობამ ეს მიდამოც მოსრა,
ცალკე — ხიდი, ცალკე — ორი ნაპირი...
მოვალ, მაგრამ რა აზრი აქვს მოსვლას,
თუკი გული განშორებას აპირებს.

ვდარდობ, მაგრამ არცა ვდარდობ თითქოს,
საკუთარ თავს ვერ ვუდგები თავდებად,
როგორც დედა მიტოვებულ პირმშოს
შეგხედავ და შიგნით რალაც გათბება.

ირგვლივ უკვე სიჩუმეა სრული,
ტალღაც კი არ ეხეთქება ნაპირებს,
ტკივილებით გათანგული გული
გაცოცხლებას არა და არ აპირებს.



შალვა საბაშვილი

დისონანსები

რა მალლა დარჩა ბედის თამასა,
მე გახსენებაც მყინავს და მაზრობს:
რისთვის დავიწყეთ ასე ლამაზად
და დავამთავრეთ ასე უაზროდ?

დამივიწყებო? მერედა სული
ვით გამოვტაცო ფიქრთა აშართა,
როგორ დავიხსნა, თუ ცად ასული
ის სამუდამო ცეცხლმა დაშანთა?

ყველა ღრუბელი ერთად შეჰყარა
ცამ, გაჟღენთილმა უსაზღვრო გესლით.
შორს გადასტყორცნო, ვისაც შეჰხარი —
ნუთუ ეს არის ცხოვრების წესი?

შენ, მომღიმარი, ჰგავდი ცეცხლეულ
კოკრებს, სისხლისფრად ამოფეთქილებს,
რას ვაშავებდი, თუკი ტყვედქცეულს
სხვაგვარად ვერც კი წარმომედგინე?

ჩვენ ერთმანეთის სუნთქვა გვათრობდა,
ვიდრე სურნელი ცისფერ იათა.
რა დავაშავე, ასჯერ ნათხრობის
ერთხელ გამხელა თუ დავიანდა?

ო, გამიღიმე, ნისლს და ქარაფებს
ჩამოათალე მკაცრი სიცივე,
იმ ღიმილს მე ჩემს სახეს დავაფენ
და არასოდეს არ მოვიცილებ.

თორემ ჩაქრება ყველა იმედი,
ვით სალამური ულერწამობით,
და ვარსკვლავებით მოციმიციმეთი
ვინ აგაბრწყინებს ყოველწამობით?

რა მალლა დარჩა ბედის თამასა,
მე გახსენებაც მყინავს და მაზრობს:
რისთვის დავიწყეთ ასე ლამაზად
და დავამთავრეთ ასე უაზროდ?

მუსიკა

ბგერებს სული მისდით,
ცისკრებს მიეზნია,
რასაც სივრცე მისტირს...
ირგვლივ მძივებია...
კვლავ ავუხალისდი
ჰაერს იეზიანს:
რომ გაისმის, ლისტის
რაფსოდები...

ო, მუსიკა წლებით
დაჰქრის ალერსებად,
მრავალწერტილებით
სული ამევესება,
და აკორდნი ქარით
ირგვლივ მოანთებენ
სრული სიანკარის
სპეტაკ მოლანდებებს.

მწამს, ფიქრებით ჩემით
თუკი ავიწყებები,
მარად მივეცემი
ქარს თავდავიწყებით,
რადგან ტალღათ სრული,
უთვალავი წყებით
კვლავ აღდგება სული
გადანავიწყები.

რა ნატიფი ხმები
არეს მოჰყენია:
ეს ხომ ბახი არის!
ეს ხომ შოპენია!
ხმები წარმტაც გრძნებით,
ანაზვირთებ ნებით,
სივრცის გვირგვინებით
შემამკობენია!

ვხედავ მწვანე მოლებს
და ნაზ წრეებს ცაში,
ნეტავ რა გამოლევს
ამ ხმებს ბუნებაში!
ასგზის ანათროლი
სულს რომ სიზმრებს სტაცებს
და გზად ჩანაქროლი
თან რომ გაგვიტაცებს!

ჩქერებს სული მისდით,
ლაჟვარდს მიეზნია,
რასაც სივრცე მისტირს.
ირგვლივ მძივებია.



კვლავ ავუხალისდი
ჰაერს იეზიანს:
რომ გაისმის, ლისტის
რაფსოდები...

არსი, არსზე არსული

რითმა. რიტმი. საზომი.
ტერფი. მუხლი. მარცვალი.
სტრიქონები. ასონი.
ნაკვერჩხალი. ნაცარი.
მწკრივი: ქორე. დაქტილი.
ლოგადი. პეონი.
ხან ჭენება — აქტივი,
ხან ფიქრნი — უმზონი.
გრძნობა. ვნება. აზრები.
უფსკრულები. ხიდები.
აენთები. დაზრები.
იძარცვები. მდიდრდები.
მეტაფორა. სახენი.
შედარება. ძიება.
სივრცე ასასახველი.
ბუჩქი. სხივი. იები.
განცდა. აზრი. იდეა.
საწყისები. გავლენა.
სიტყვა თითქოს რიდეა,
თუმცა გამოსავლენად.
სილამაზე. სიცხადე.
სიმარტივე. სირთულე.
ყოვლის აღსარიცხავი.
უხვი. გადატვირთული.
რაა? სივრცე? სიმოკლე?
გარიჟრაჟი? ბინდები?
მიმოფანტავ. მიმოკრებ.
ჩაბნელები. ბრწყინდები.
საზომთ მტკიცე სამოსი?
ეგებ რიტმის დამსხვრევა?
დრო მნათობის ამოსვლის?
ხმა, რაც გულცივ ჟამს მიაქვს?
ამხელს? მალავს? თავად ჰქმნის?
ურჩევს? მოძღვრავს? უნათებს?
მხოლოდ სჭვრეტს თუ ქარად ჰქრის?
რას ჰგავს? კრედოს? სურათებს?
ნესრიგი თუ ქაოსი?

სიმშვიდე თუ აწყვეტა?
შორზე? სააქაოზე?
უროს ურტყამს? ანვეთავს?
დღეის დღეზე ნუხილი?
მარადულზე თარეში?
მჭვრეტი? თვალგაუხელი?
ქარში? სიმდუმარეში?
ქვეტექსტი თუ თავდასხმა?
ორლესული? მალამო?
ერთს უსმენს თუ ათას ხმას?
სახატე? საალამო?
ძველი ღვინო? მაჭარი?
შორეთს ქროლვა? ტყვედ ყოფა?
ხეთა გადანაჭერი —
ზედ წლები რომ ეტყობა?
აღტაცება? ჩაქრობა?
სიბრძნე? გრძნობათ დუღილი?
გულგრილობა? ჩაკრობა?
შთაგონება? უღელი?
რაა? ან რამ დაბადა?
როდის, რისთვის მოვიდა?
მიღმა სოფელ — დაბათა
სად, რას, რად იპოვიდა?
რას დაეძებს? რას ელის?

რა ხმობს? რა აქვს? რა უნდა
მახვილებით დასერილს,
ელვარს, მაგრამ დაუმდნარს?
სინამდვილე? ზმანება?
კვამლი? ფერფლი? ნაცარი?
ბურღოს სულ სხვა ქანები?
დატყბეს იმით, რაც არი?
წამიერი ტკობაა?
სამუდამო აზრია?
ცასთან მეგობრობაა?
ბლაგვი არის? ბასრია?
ყველას? მხოლოდ რჩეულებს?
რასაც სთხოვენ? რაც მას სურს?
ვინ ვის მიჰყევს, უსმინოს:
სულმა კაცს, თუ კაცმა სულს?
მასაც შევლა სჭირდება?
თუ წამალი თვით არი?
ყველა უკავშირდება
თუ ხმა არავითარი?

სტრიქონები? მუხლები?
იქნებ სტრიქონთშორისი?
უცხო და ხელუხლები?
მკრთალი და უშორესი?
ვინ მოუხმობ? ვინ ნახა?
ვინ დაბადა? ვინ ჰქსოვა?
ღრმად ვინ გადაინახა?
მარად ვინ დაიხსომა?
უმისობა ვის ძალუძს?
უმისობა ვით ითქვას?
უღვთოდ ვინ დაიცალოს —
ფიქრს ცა ავბედითი ნთქავს!
მინც რაა, არ ვიცი,
უცხოდ შემოგარსული,
მთავარი, უმთავრესი,
არსი, არსზე არსული.
ერთი, მარტოოდენი,
კართა, მძიმეთ მღებელი.
განძი, ვით მოლოდინი,
სხვა რამ შეუძლებელი.
დილის სხივი მკრთომარე,
სულის თრთოლვა ძლიერი,
ცაზე სცურავს მთოვარე,
დააქვს ფიქრი ციერი;
რაიც მზერას გვინათლებს
ხან ტყედ, ხან ზღვად, ხან ქარად,
არსებობის სიმართლე —
პოეზია ანკარა!

უცნაური გარდაცვალება

ფიქრმა, ძვირფასს რომ ელოდა ნობათს,
ბევრი იბორგა, ბევრი ინვალა;
ნულარ დაეძებ, ის ნაზი გრძნობა
დაბადებამდე გარდაიცვალა!

როცა ზამთარი თრთის მოცახცახე,
თუმცა მაშინაც ცხელი გზნება მღევს,
ნულარ დაეძებ — ის ტურფა სახე
გარდაიცვალა დაბადებამდე!

რამდენი გული, მძაფრად მღელვარე,
დაშრა, გაცივდა და დაიცალა,
ის კი, ვის ხილვას ელოდა მხარე,
დაბადებამდე გარდაიცვალა!

მრავალს გახსენებს წყნარი ზღვაური:
მიმწყდარს, შორეთში დანთქმულ წლებამდელს,
ის კი, ის ერთი და უცნაური,
გარდაიცვალა დაბადებამდე!

ჩაქრა ვარსკვლავი, დადუმდა მთვარე,
ფიქრმა, მბორგავმა დიდხანს ინვალა,
ის კი, საოცრად სხივმოელვარე,
დაბადებამდე გარდაიცვალა...



— ბაბაქო, მე ვარ!
 — ...შემოდო
 — რატომ ჩურჩულე?
 — ნეტავ რატომ?.. სძინავთ ჩემებს.
 — ჰო... გვიან მომივიდა, მაგრამ საპატიო...
 — ჩუუუმ...
 — ჰო, კარგი, ჰო!
 — ...
 — გვიანია, მაგრამ!..
 — ჩუუუმ... სამზარეულოში გავიდეთ.
 — გავიდეთ, გავიდეთ...
 — ჩაის დალევ, მამა?
 — არ შენუხდე... გაგაღვიძე ისედაც.
 — ...
 — გაგაღვიძე!
 — მე დავლევ... დაგისხა?
 — შენთვის თუ ადულტებს, დავლევ.
 — შაქარი?.. შაქარი ვიცი... ლიმონი?
 — შენ თუ გინდა, იყოს!
 — მამააა!
 — ჩააგდე კარგი!.. ისე უცნაური იყო!..
 ოლეანდრე გადავრგვე და...
 — მაგის სათქმელად გადმოხვედი?..
 ჩაი გამომართვი... ხელი რატომ გიკანკალებს?
 — გაგაღვიძე, მამატი, მაგრამ შუქი დავეინახე თქვენთან და... თან ხვალამდე ვეღარ მოვიტმინე!..
 — სამი დღე არ ჩანდი, ვეღარც დაგირეკე. ხომ კარგად იყავი?
 — მშვენივრად!
 — და ოლეანდრეს რაღა სჭირდა ასეთი?
 — ოლეანდრეს?.. არც არაფერი!.. ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის.
 — არ მეძინა, მამა, ნუ ჯავრობ... გემრიელი ჩაია, გასინჯე... კერძებს ვამზადებდი, ამათ ხელში დღისით ვერაფერს ვახერხებ... ხვალ ჩემი დაბადების დღეა, ხომ გახსოვს და ...
 — დღეს!
 — ჰოოო!.. უკვე დღეს!.. მერე, სად არის შენი ოლეანდრე?
 — სახლში!
 — უნდა მაჩუქო?.. ხომ იცი, როგორ არ გამომდის ყვავილების მოვლა...
 — ოლეანდრეს ჩუქება არც მიფიქრია... უბრალოდ ოლეანდრე... ოლეანდრე გჩუქნის!
 — ოლეანდრე მჩუქნის!.. აჰა, საინტერესოა.
 — დედას მერე სულ მაგ ქოთანშია... ამდენი წელია...
 — თხუთმეტი!
 — დაახლოებით.
 — მერე რას ერჩოდი?
 — აღარ ეტეოდა, მინაც გამოიფიტა. ახალი ქოთანი მოვიტანე, გადავრგვე და... აი!
 — მამააა?.. ეს რა არის?
 — გახსენი!
 — მამააა!



მაკა ლდოკონენი

ოლეანდრე NERIUM (ჩვეულებრივი)

— ჰო, შენია!.. სარჭი დაგიმზადე!.. მოგნონს?
 — ისევე დაუბრუნდი მინანქარს?.. მამააა!.. რა ლამაზიააა!.. კი მაგრამ, ამდენი ხანი არ გიკეთებია...
 — თხუთმეტი წელია!
 — როგორი ხასხასა ნითელია... ნარინჯისფერიც!.. ცისფერი როგორ უხდება და... რა ნაცნობი ნახატია... მამა?... ახალი არ უნდა იყოს!
 — ჰო, ძველია!.. თხუთმეტი წლისაა.
 — მინანქარი აშკარად ძველი გაკეთებულია, ფრაგმენტს გავს... არა?... ახალი ჩასმულია უბრალოდ!.. ხომ ასეა?
 — შენ არ უნდა გეცნობოდეს ეგ ფრაგმენტი, არასოდეს გინახავს... ის არავის უნახავს... თუმცა... არ ვიცი, არა... მართლა კარგი ჩაია!.. თუ არ შენუხდები, ცხელი წყალი ჩაამატე!
 — ახლავე!.. ლიმონი?
 — ლიმონი არა!.. არც ფერი და არც მაქარი!
 — მაქარი ხომ ვიცი... მოიცა!.. მამა და... რისი ფრაგმენტია?... ასე რატომ მიყურებ?
 — ... მართლა მოგნონს?
 — როგორ შეიძლება ეს არ მომნონდეს, ასეთი ლამაზი და თან შენი ნაკეთობა... არც კი ვიცი რა ვთქვა?... ჩაყლაპვა მინდა ისეთია!
 — მაგას ნუ იზამ!
 — არა, ეს ისე... მამააა!.. ასე ვამბობ ხოლმე, როდესაც უსაზღვროდ მომნონს!
 — ვიცი.
 — და... და თან ვიცანი!.. გამახსენდა!.. მამა, ეს ხომ სამკაულების შესანახი პატ-

არა ლუსკუმას ფრაგმენტი!.. სად იყო?
 — კი, ეგ არის, მაგრამ შენ საიდან?...
 — სად იყო?
 — ხომ გითხარი, რამდენიმე დღის წინ ოლეანდრე...
 — ჰო, ოლეანდრე, რა თქმა უნდა!
 — რა თქმა უნდა?... მოკლედ, ახალ ქოთანში ახალი მინა ჩავყარე, ძველი ქოთანი გავტეხე, ოლეანდრე ფრთხილად ამოვიღე და მის ფესვებთან დამარხული ნამსხვრევები ამოვფარინე.
 — დამარხული, აბა რა!..
 — ის ლუსკუმა გინახავს?... გხსომებია, როგორც ვაჭყობ!
 — დედას რომ აჩუქე.
 — დედას ვერ ვაჩუქე, საქმეც მაგაშია, რამდენიმე თვე ვუკეთებდი დაბადების დღისთვის, სახლში რომ მოვიტანე, სტუმრები დამხვდა და კომოდზე დავდე...
 — კომოდზე არა, სარკესთან!
 — ხო, სარკესთან!.. ეგეც გცოდნია... შვიდი წლისაც არ იყავი, უცნაური!.. მერე საღამოს ვეღარ მივაგენით... ათასი ეჭვი გაჩნდა მაშინ... შენ და შენი დებიც დაგკითხეთ... მერე დღეს კი აღარავის ახსოვდა... დედა წავიყვანეთ საავადმყოფოში და...
 — მე კი ავად გავხდი...
 — ავად გავხდი?...
 — ხო, მე ავად გავხდი, სიცხეს ვერ მიგდებდნენ. არ გეხსომება, დედას თავზე ადექი... მაშინ ვიფიქრე, დედა ამ ლუსკუმას გამო გახდა ცუდად... დიდხანს მეგონა, იმის გამო წაიყვანეს საავადმყოფოში, რომ შენი საჩუქრის დაკარგვის ამბავი გან-

იცადა...
 — რა სისულელეა!.. კარგი, აღარ გვინდა... დაბადების დღე გაქვს!.. შენი მაშინდელი სიცხეები გამომპარვია, თუმცა, სამი დღის წინ ისეთი დეტალები აღვიდგინე, თავადაც გავოცდი.
 — მაინც?
 — თუნდაც, შენი თვალები...
 — ჩემი დამნაშავე თვალები, მამა?
 — ჰო, და ... ტუჩი!
 — გაჭრილი ტუჩი, მართალია, და მინანი ფრჩხილები, მამა?
 — ხო, მინანი ფრჩხილებიც!
 — არც მე მახსოვდა... ამდენი წელი გავიდა, თითქოს სიზმარში მოხდა: ოთახში შევიპარე და შენი საჩუქარი გავხსენი. ახლაც თვალწინ მიდგას ის ლუსკუმა. როგორ მომეწონაა!.. ისეთი გემრიელი შესახედობა ჰქონდაა... ჩაკბერა მომინდა და ჩავკბიჩე კიდევ!.. პირში ჩამემსხვრააა!
 — მსუნავო!..
 — მიყვარხარ, მამა!.. შენთან მინდა!
 — მოიცა, ჩაი არ გადაგახსა!
 — ასე კარგია!.. ისევე კანკალებ.
 — ...
 — ...
 — იცი, სამი მოზრდილი ნატეხი იყო, გვერდები მოვუქლები, მოვამრგვალე, ფერსოვები ჩავსვი და შენს დებსაც გავუკეთე მსგავსი სარჭები. მაინტერესებდა, რომელი თქვენგანი იცნობდა მინანქარს.
 — დიდხანს ლოდინი არ დაგჭირდა...
 — ყურისძირში მყოფი ვერაგი თხუნელა!
 — ჰა, ჰააა!.. რა კარგიააა! ხვალ მოიტანე სარჭები!..
 — ჩუუუმ... გააღვიძე შენებს.
 — ჰოოო... ხვალ მოიტანე სარჭები, მამა, და ყველა მოვუყვებ მაგ თხუნელას ამბავი!.. ვერაგი თხუნელას და ოლეანდრეს ამბავი!
 — ო-ლე-ან-დ-რე ნე-რი-უმ!
 — ანუ?
 — ჩვეულებრივი!..
 — უცნაურია.
 — წავალ... გვიანია... ხვალ რომელზე გყავს სტუმრები?
 — ექვსისთვის გადმოდი და თუ გინდა ოლეანდრეს პატარა ტოტიც მაჩუქე, იქნებ გავახარო... მივხვდი, რატომ გავუბრბოდი მცენარეებს.
 — დარწმუნებული ხარ?
 — თითქმის!.. და რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ამდენი წლის შემდეგ, მამა, რას ფიქრობ?... დედას საჩუქარი ზუსტად სამად რომ გაიყო!.. ოლეანდრეც აქამდე რომ შემოგვრჩა!.. შენ რომ ისევე გააკეთე სამკ!..
 — ჩუუუმ!..
 — ...
 — გაკვირვებდა არ ღირს, მერწმუნე... ვცხოვრობთ... და რას უნდა ნიშნავდეს ამაზე არაჩვეულებრივს!..
 — და რომ, როგორის შვებით და იმედით, განსაკუთრებით კი გავიმეორებთ იმას, რომ:
 ევას შთამომავლები? – გველისადმი:
 „ის თავს გიჭყყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე“ –
 „ამ მტრობის პროცესი და ხასიათი თვალსაჩინოდაა ნარმოდგენილი სახვით ხელოვნებაში; ნარმოდგენილია ორი მტრულად განწყობილი მხარის დიდი ბრძოლა, რომელიც უნდა დამთავრდეს ერთი მათგანის სიკვდილით (თავში განგმირვა) და მეორისათვის ნაკლები ზიანის მიყენებით (ქუსლში დაგესვლა). ამ სურათის ალეგორიას ხშირად ვხვდებით წმიდა წერილის სხვა ადგილებშიც (რომაელთადმი, და სხვა), მონაკვეთში ქალსა და გველზე და მათ შთამომავლობაზე, თავში განგმირვისა და ფეხში დაგესვლაზე ნათქვამი ეს სიტყვები – სხვა არა არის რა, თუ არა მხატვრული სახეები, მაგრამ სახეები, რომლებიც ღრმა აზრის მატარებლები არიან. მათში ჩადებულია სინათლის, სიმართლისა და სიკეთის საუფლოს და წყვიადის, სიცრუისა და ყოველგვარი ბოროტების სამყაროს შორის ბრძოლის იდეა. ეს უდიდესი დრამატული, ბრძოლა, ინყება რა ჩვენს ნინაპრების ცოდვით დაცემით, ძალიან მკვეთრად გასდევს კაცობრიობის მთელ ისტორიას და დასრულდება სიკეთის სრული გამარჯვებით დიდების საუფლოში, როდესაც წმიდა წერილის სიტყვით რომ ვთქვათ, ღმერთი იქნება „ყველაფერი ყოველივეში““

გურამ დოჩანაშვილი
კაცი, სახელად ნოე

გაგრძელება

და,
 „უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დააძინა, გამოულო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო, შექმნა უფალმა ღმერთმა ნეკნისაგან, ადამს რომ გამოულო, დედაკაცად შექმნა უფალმა ღმერთმა და მიუყვანა ადამს“.
 თავდაღწეულს დიდ-ძილქუშისაგან, თვალმომგვრეტარეს, –
 „რაც შეეხება იმას, რომ მოცემული პროცესი თითქოსდა აშკარად არაბუნებრივია და შეუძლებელი, როდესაც საუბარია რაღაც ჩვეულებრივ ამბავზე, არამედ საოცარ ბუნებრივ მოვლენაზე, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად უადგილოა. კაცობრიობის დასაწყისი ექსტრაორდინარული ეპოქა იყო და მაშინ ბევრი რამ ხდებოდა განსხვავებულად: ევას არ შეიძლებოდა ჰყოლოდა დედა – ის, ცხადია, უნდა წარმოშობილიყო უჩვეულო, ზებუნებრივი გზით და განა არ შეეძლო შემოქმედს ზუსტად ისე შეექმნა იგი, როგორც ამას მოგვითხრობს წმინდა ტექსტი და ამ გზით დიდი გაკვეთილისათვის ვეზიარებინეთ? ძირითადი აზრი მტკიცდება წმიდა წერილის სხვა ადგილებშიც (კორინთელთადმი, ტიმოთესადმი,



ეფესელთადმი) სადაც გახსნილია მისი ღრმა მნიშვნელობა – სწორედ ქმრისა და ცოლის (– „ხორცი ხორცთაგანის და ძვალი ძვალთაგანის“) ერთიანობის ფაქტი, აქედან კი, მთელი კაცობრიობისა, მათი ორმხრივი ლტოლვის საფუძველი და მათი ურთიერთობის საჭიროება“,
 და,
 როგორ ყოვლად-მიუწვდენელი ადამ-იანის გონებისათვის უუდიადესი სიდიადის მიუხედავად როგორი ბინდით, ბინდემოსილი ადგილი ეს:

„ამიტომაც მიატოვეს კაცი დედ-მამას“... – ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს სიტყვები ადამს ეკუთვნოდეს, რადგანაც მას, ადამიანთა მოდგმის პირველ წინაპარს ნარმოდგენა არ ჰქონდა მშობლებზე, მას არც დასჭირდებოდა და ვერც ილაპარაკებდა მათზე. ამის გამო ეს სიტყვები ცოლქმრული კავშირის კანონმდებელს (გამოსვლა, მეორე რჯულთა) და „დაბადების“ ავტორს (– ნათელმხილველს თვით უფალისაგან, ღვთით-მოსეს, „მოსე“, – „წყალში გადარჩენილი“... .. გადარჩენილი, წყალში!) ან კიდევ უკეთესი იესო ქრისტეს აზრზე დაყრდნობით (მათე XIX, 5) – თავად ღმერთს ეკუთვნის. მან აკურთხა ქორწინების საიდუმლო“ –
 და ეს ჯერ კიდევ ევას შექმნამდეც, და, როდენ გასაკვირვი, საოცარი და გადასანცვიფრებელია თვით წინასწარმეტყველთაგანაც კი, ბოლომდე ახსნა, ამისი, რომ
 „გამრავლითო“? –
 ჯერ კიდევ როდის უთხრა, ადამს, და აკრძალული ხილისათვის კი რომ ისე მწარედ დატუქსა რომ,
 — საოცარია, არა, ნოე, გზანი უფლისანი,
 — ძალიან, დიახ...
 — და ფოთლებისა არ იყოს, ცილა და ყადა და ნაყამასთან გვერდით და ერთად შენ რომ შეეკმნა დიდედომენი, ნოე,
 — კი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ენ სექსტონი (ნამდვილი სახელი ენ გრეი ჰარვი, 1928, 9 ნოემბერი - 1974, 4 ოქტომბერი) - ამერიკელი კონფესიონალისტი პოეტი, პულიცერის პრემიის ლაურეატი, ცნობილი თავისი უსაზღვროდ გულახდილი და იდუმალი ლირიკით. დაიბადა ქ. ნიუტონში, მასაჩუსეტსის შტატი, აშშ. ბავშვობა პოსტონში გაატარა. 1945 წლიდან სწავლობდა როჯერს ჰოლის სკოლა-პანსიონში, ქალაქ ლოუელში, შემდეგ - გარლანდის სკოლაში. 1948 წელს ცოლად გაჰყვა ალფრედ სექსტონს, მათმა ქორწინებამ 1973 წლამდე გასტანა. შეეძინათ ორი შვილი: ლინდა გრეი და ჯოის ლადი.

წლების მანძილზე ენ სექსტონი ფსიქიკური აშლილობით იტანჯებოდა. პირველი შეტევა 1954 წელს დაემართა. სამკურნალოდ ექიმ მარტინ თეოდორ ორნს მიაკითხა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე დარჩა მის ფსიქოთერაპევტად. სექსტონმა სწორედ ორნის რჩევით დაიწყო წერა და მალე ჯონ პოლმსის პოეტურ სახელოსნოში სწავლას შეუდგა. აქვე გაიცნო მაქსინ კუმინი, რომელიც მისი საუკეთესო მეგობარი გახდა. ისინი ხშირად აკრიტიკებდნენ ერთმანეთის ლექსებს, ამას გარდა, მოგვიანებით ერთობლივად დაწერეს ოთხი საბავშვო წიგნი. პოლმსის სახელოსნოში სწავლის პერიოდში ენის პირველი ლექსები გამოქვეყნდა ისეთ გამოცემებში, როგორც იყო „ნიუ-იორკერი“, „პარპერს მეგეზინი“ და სხვა, რამაც წარმატება მოუტანა. მოგვიანებით სექსტონი პოსტონის უნივერსიტეტში, რობერტ ლოუელთან სწავლობდა, სადაც გაიცნო პოეტები: სილვია პლათი და ჯორჯ სტარბაკი.

1960-იან წლებში ენის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რაც მის პოეზიაზეც აისახა. თუმცა ის მაინც აქვეყნებდა ლექსებს, ამავდროულად თანამშრომლობდა მუსიკოსებთან - ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომელიც ჯაზ-როკს უკრავდა და კომპოზიციებს ენის ლექსებზე ქმნიდა.

პირველი პუბლიკაციიდან 12 წლის შემდეგ ენ სექსტონი ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ პოეტად იქცა. იყო წევრი სამეფო ლიტერატურული საზოგადოებისა, აგრეთვე ჰარვარდში არსებული საზოგადოების, „ფი ბეტა კაპას“ პირველი ქალი წევრი.

ენ სექსტონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა: 1974 წლის 4 ოქტომბერს, მეგობარ მაქსინ კუმინთან ლანჩის შემდეგ, სადაც მეგობრები ენის ხელნაწერის მომდევნო წლის მარტში წიგნად გამოცემაზე მსჯელობდნენ, შინ დაბრუნებულმა პოეტმა თავი ავტოფარეხში მოიკლა, მანქანის გამონაბოლქვით მონამვლის გზით.

ენ სექსტონის სიცოცხლე გამოიცა მისი 9 კრებული. პულიცერის პრემია მიენიჭა 1967 წელს წიგნისათვის „იცოცხლე ან მოკვდი“ (1966 წ.).

ენ სექსტონი

სიბიჟა

მე არ ვარ ზარმაცი.
მე ვარ სულის ამფეტამინზე.
მე, ყოველდღე,
ვბეჭდავ ღმერთს,
ჩემს საბეჭდ მანქანას სწამს მისი.
ვარ ძლიერ სწრაფი, ძალიან მძლავრი,
როგორც მგელი ცოცხალ გულში.
ზარმაცი - არა.
ამბობენ, როცა ზარმაცი ადამიანი
ცას შესცქერის,
ანგელოზები ფანჯრებს კეტავენ.

ო, ანგელოზებო,
დატოვეთ სარკმლები ღია,
ისე, რომ შევძლო, გადავწვდე ხელით
და მოვიპარო თითოეული საგანი,
საგნები, რომლებიც მეუბნებიან, რომ ზღვა არ კვდება,
საგნები, რომლებიც მეუბნებიან,
რომ ჭუჭყს სწყურია სიცოცხლე,
რომ ქრისტე, რომელმაც იარა ჩემ გამო,
იარა ნამდვილ მიწაზე
და რომ ეს სიგიჟე,
ფუტკრების მსგავსი, მთელი დილა რომ ნესტრავენ გულს,
დატოვებს ანგელოზებს
ღია ფანჯრებთან,
ფართესთან, როგორც ინგლისური აბაზანა.

სასონარკვეთა

ვინ არის ის?
რკინიგზა, ჯოჯოხეთისკენ მიმავალი?
ტკაცუნა, როგორც ავეჯზე კიდის ნამტკრვევისას?
იმედი, რომელიც მოულოდნელად
გადმოდინდა სალექარიდან?
სიყვარული, რომელიც იწრითება პირსაბანში,
როგორც ნახველი?
სიყვარული, რომელმაც თქვა - სამარადჟამოდ,
სამარადჟამოდ
და შემდეგ გადაგარა, როგორც სატვირთომ?
ხარ შენ მუდარა, რომელიც ლივლივებს
რადიო-რეკლამაში?
სასონარკვეთავ,
შენ მე გულზე არ მეხატები.
შენ არ უხდები ჩემს ტანსაცმელს ან სიგარეტებს.

რას დამდგარხარ აქ
დიდი ტანკვიით,
რომელიც მიზანში იღებს ნახევარ სიცოცხლეს?
არ შეგიძლია, გაცურო ხის სიახლოვეს
იმის ნაცვლად, რომ დაფუძნდე ჩემს ფესვებთან,
მაძალეებდე, ავცდე ცხოვრების იმ წესს,
რომელიც ასე დიდხანს იყო ჩემი საშვილო?

კარგი!
ნაგვიყვან სამოგზაუროდ იქ,
სადაც მრავალი წელი
უტყვად გალიეს ჩემმა ხელებმა.

საქმტაკლი

მე ვარ ერთადერთი მსახიობი.
რთულია ერთი ქალისთვის,
გაითამაშოს მთელი სცენა.
სპექტაკლი ჩემი ცხოვრებაა,
ჩემი სოლოაქტი.
ჩემი გადევნება ხელებისკენ
და ვერდაჭერა.
(ხელები მზერის მიღმა არიან -
ანუ, კულისებში).
ყველაფერი, რასაც სცენაზე ვაკეთებ, სირბილია,
რბენა, რომ დაგრჩე უწინდელი,
თუმცა ვერასდროს ვალწევ მიზანს.

უეცრად მე ვწყვეტ სირბილს.
(ეს სიუჟეტს ოდნავ ცვლის).
წარმოვთქვამ სიტყვას, ასეულობით,
ყველა ლოცვას, ყველა მონოლოგს.
მე ვამბობ აბსურდს, როგორიცაა:
კვერცხები არ უნდა ეკამათონ ქვებს,
ან, დამალეთ თქვენი მოტეხილი მკლავი სახელოში,
ან, მე ვდგავარ გამართულად,
მაგრამ ჩემი ჩრდილი მრუდეა.
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.
ბევრს მისტვენენ. ბევრს მისტვენენ.

მიუხედავად ყველაფრისა,
გადავდივარ ბოლო სტრიქონებზე:
ულმერთოდ ყოფნა ნიშნავს იყო გველი,
რომელსაც სურს, გადაყლაპოს სპილო.
ფარდა ეშვება.
აუდიტორია გარბის.
ეს იყო ცუდი პერფორმანსი.
ასეა, რადგან მე ერთადერთი მსახიობი ვარ
და ირგვლივ ცოტა ადამიანია,
ვის ცხოვრებაზეც საინტერესო სპექტაკლი აიგება.
არ მეთანხმებით?



ღმერთები

მის სექსტონი წავიდა ღმერთების საძებნად.
მან დაიწყო ცაში ცქერა -
მოლოდინით, რომ დაინახავდა დიდრონ
თეთრ ანგელოზს ცისფერი კავით.

არავინ.

მან კვლავ ჩაიხედა ყველა ნაკითხულ წიგნში
და ფურცლებმა მიაფურთხეს პასუხად.

არავინ.

მან იმოგზაურა უდიდესი პოეტის თაყვანსაცემად
და პოეტმა მიაჩნია სახეზე.

არავინ.

მან ილოცა მსოფლიოს ყველა ტაძარში
და ბევრი შეიტყო კულტურაზე.

არავინ.

ის გაემგზავრა ატლანტის ოკეანისკენ,
წყნარისკენ, ცხადია, ღმერთისთვის...

არავინ.

ის მივიდა ბუდასთან, ბრაჰმასთან, პირამიდებთან
და იპოვა ვეებერთელა ღია ბარათები.

არავინ.

მაშინ ის დაბრუნდა საკუთარ სახლში
და სამყაროს ყველა ღმერთი
საპირფარეშოში დამწყვედული აღმოჩნდა.

„როგორც იქნა!“ -
წამოიძახა მან
და ჩარაზა კარი.

მასხოვს

პირველი აგვისტოდან
უხილავმა ხოჭოებმა ამოუშვეს
ხვრინვა და ბალახი იყო
ისეთივე მტკიცე როგორც კანაფი და
უფერო - მეტად არა ვიდრე
ქვიშა იყო ფერი და
ჩვენ გვექონდა შიშველი ფეხები
გაშიშველებული ოცი
ივნისიდან და იყო დრო
ჩვენ გვაგინებდებოდა მოგვემართა შენი
მალვიძარა და ზოგიერთ ღამით
ვსვამდით ჩვენს თბილ და გაუზავებელ ჯინს
ფელეს ძველი ჭიქებიდან სანამ
მზე იფურჩქნებოდა ხედვის არის მიღმა
როგორც წითელი ნახატი ქუდი და
ერთ დღეს მე შევიკარი თმა უკან
ბაფთით და შენ თქვი
რომ ასე ვგავარ
პურიტან ლედის და რაც
მე შესანიშნავად მასხოვს არის ის რომ
კარი შენი ოთახისა იყო
კარი ჩემკენ.



აოჯი

მაია სარიშვილი

თბილისში, ვერაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში ლამაზი პოეტური ოჯახი ცხოვრობს. ზრდიან ოთხ შვილს, წერენ ლექსებს, გამოცემენ წიგნებს და მერე ამ წიგნებისთვის პრემიებს იღებენ. ამ ოჯახში სამი „საბა“ ინახება: ორი შოთა იათაშვილის და ერთი - მაია სარიშვილის, რომელთაც, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, ყოველდღე ფრთხილად აცლის მტვერს. ცხოვრების სტილიდან და პიროვნული მომენტებიდან გამომდინარე, საზოგადოება შოთას უფრო იცნობს. ლიტერატურულ წრეებში მაიას შემოქმედებაც არანაკლებ დაფასებულია. მის პოეზიას ყოველთვის მოიხსენიებენ მნიშვნელოვან თანამედროვე ავტორთა ჩამონათვაში, თუმცა თავად ამის მიმართ გულგრილია. საჯაროობასაც გაურბის. არ მოსწონს, მიკროსკოპით რომ აკვირდებიან, უფროსის ინტერვიუებს. ეს ყველაფერი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს - უყვარს სახლში ყოფნა, სიმყუდროვე. ამ მხრივ ლექსები ავტორს ჰგავს, მაგრამ სათქმელის სიმძაფრით და გროტესკულობით განსხვავდება მისგან. წერს უჩუბრად, სხვათა თვალისგან დაფარულად. მაინცდამაინც არც ლექსების გამოქვეყნების მომხრეა, თუმცა საბედნიეროდ ეს ლექსები მკითხველის სამსაჯავროზე მაინც ხვდება. როგორ აიღო ხელში კალამი და როგორ გაგრძელდა შემდეგ ეს ყველაფერი, თავად ავტორისგან შეიტყობთ.

— წერა ძალიან პატარამ დაიწყო, მას შემდეგ, რაც ასობის შემოხაზვა ვისწავლე. ყველაფერს ვწერდი - ზღაპრებს, რითმთან ლექსებს, ურითმობებს, თუმცა მაშინ არ ვიცოდი, რომ ასეთი არსებობდა. მთავარი იყო მწერა, რადგან მძაფრი შინაგანი ემოციების გამოხატვა სხვა საშუალებით არ შემეძლო. ჩაკეტილი ბავშვი ვიყავი და ერთადერთი შევება ფურცელთან ურთიერთობა იყო. პირველი ლექსიც მოზღვავებულმა ემოციამ დამანერინა. მივხვდი, რომ ეს ემოციები სადღაც უნდა წამელო, სხვანაირად არ შემეძლო. სწორედ ამან მიბიძგა, პირველად მივსულიყავი ფურცელთან და ლექსი დამეწერა. სამწუხაროდ, ეს ლექსი არ შემომრჩა.

— გამოქვეყნებამდე როგორ მიხვედით. ამას ხომ გარკვეული გამბედაობა სჭირდება?

— გამოქვეყნება აზრადაც არ მომსწონია. ყოველთვის სხვებს მიჰქონდათ, ძირითადად ჩემს მიუღწევს, თავად გამბედაობა არ მყოფნიდა.

— სად მიგქონდათ თქვენი ნაწერები, ყრიდით თუ ინახავდით?

— ძალიან ბევრი მაქვს გადაყრილი. დაუნანებლად, ყოველგვარი გულისწყვეტის გარეშე შემოიღია მათი განადგურება. არ მესმის, როცა ამბობენ, რომ შვილებივით უყვართ ლექსები. მე ეს სიყვარული არ გამაჩნია. ცოტა მიკვირს და მაინტერესებს კიდევ, რას ნიშნავს, გიყვარდეს შენი ლექსები. რომ მითხრან, ყველა ჩემი ლექსი შეიძლება უცებ აორთქლდეს, საერთოდ არ დაიწყებდა გული. ამას გულწრფელად ვამბობ, რადგან მიმაჩნია, რომ დანერვილი ოდნავადაც ვერ უახლოვდება იმას, რასაც ამ დროს შინაგანად ვგრძნობ.

— ალბათ ძალიან ძლიერი შინაგანი ემოციია.

— ძალიან. თუმცა წერის პროცესი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არასოდეს ვტოვებ ხელნაწერს გადაჩხაპნილს, გადაუნერვს. აუცილებლად უნდა გადავათეთრო. სულ ვფიქრობ, ამაღამ რამე რომ დამემართოს, ეს ლექსი არასწორად არ წაიკითხონ-მეთქი, თითქოს შედეგის შემექმნას. ჩემთვის მთავარია, ლექსი დასრულდეს, ბოლომდე მივიდეს. ასეთი მნიშვნელოვანი ქმნილება მერე ასევე ძლიერად მიუტყვობდა ხოლმე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დასაბუქდად მივიტანე. ვეღარც ვკითხულობ. ჩემი ლექსები ისე გამოვიდა, არ წამიკითხავს.

— როგორც ჩანს, ეს პროცესი იმდენად ფაქიზი და ინტიმურია, საჯარო სივრცეში გადასვლა და ბევრი უცხო თვალის შევლება გაუცხოების გრძობას იწვევს.

— შესაძლოა, ასეც იყოს. ძალიან ვიტანჯები, როდესაც მთხოვენ, ჩემი საყვარელი ლექსი წავიკითხო, რადგან ჩემთვის საყვარელი ლექსი არ არსებობს, ყველა გაუცხოებულია. მხოლოდ წერის პროცესშია ძალიან მნიშვნელოვანი. ლექსი წერა სასწაულს ჰგავს. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს სული მეხუთება. ვწერ სწრაფად, ამოუნთქვის გარეშე და შემდეგ ზედმეტი სიტყვებისგან ვათავისუფლებ. საშინლად მეშინია ზედმეტი სიტყვების. მეშინია, წყალწყალა სიტყვა არ გამეპაროს, ამიტომ შეკუმშული, დაწურული ლექსი გამოდის. ვცდილობ, მაქსიმალურად გამონურული იყოს ჰაერი, მასაც ზოგი პოეტი უშვებს და ძალიან ლამაზადაც გამოდის. შეუძლია დანეროს მსუბუქი ან უბრალო ფრაზა, რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას გაძლევს, ან სივრცის განცდა შემოაქვს. მე კი პირიქით, მეშინია ამ სივრ-

ცის, იმდენად, რომ სათაურსაც ვერ ვარქმევ. ასე მგონია, სათაური ფანჯარასავითაა ლექსისთვის, რომელიც იხსნება და შეიძლება გაფრინდეს. თითქოს ოთახებში ვკეტავ თავისი უსათაურობით, იმდენად მინდა მყუდრო და ჩაკეტილი იყოს.

— წყალწყალა სიტყვებს როგორ არჩევთ, როგორ ხვდებით, რომელია ზედმეტი?

— ზედმეტია ის, რაც არ გამოხატავს



ზუსტ ემოციას და არ არის მძაფრი. საშინლად მეშინია არ გამეპაროს სიტყვა, რომელიც დენს არ ატარებს. ჩემთვის უნდა იყოს ასეთი, თორემ სხვას შეიძლება ეს მუხტი ვერც გადასცეს.

— სხვათა შორის, თქვენს ლექსებს რომ კითხულობ, ჯერ მოდის მუსიკა, გესმის რიტმი და მერე უკვირდები სიტყვებს. ყურადღებას შინაარსს კი არ აქცევ, არამედ, მელოდიას.

— მეც ვგრძნობ ამ მუსიკას, როდესაც ვკითხულობ. ვგრძნობ ლექსის ძვრას და რიტმს, მაგრამ აქამდე ეს არავის აღუნიშნავს.

— შეიძლების თემა, ქალური მოტივები უხვადაა თქვენთან. ეს თემატიკა შეგნებულად შემოგაქვთ?

— საერთოდ, ჩემს ლექსებში შეგნებულად არაფერი ხდება, იმდენად სპონტანური და ემოციური. თუნდაც აბორტის თემაზე შექმნილი ლექსი — „სასტიკი პასუხი“, რომელიც მანიფესტად და არაღაცის მიმართ პროტესტად მიიჩნეის. არავის ვებრძვი და არანაირი ლოზუნგებით არ გამოვდივარ. ვერც შეკვეთებს ვაძლევ ჩემს თავს.

— ანუ, ლექსი-მანიფესტი ან ლექსი-პროტესტი თქვენთან ნაკლებადაა?

— დიახ. ამიტომაც არ მაქვს პატრიოტული ლექსები. ერთადერთია, რომელიც მიახლოებით იწვევს ამ ემოციას და იმასაც „ალბათ, სამშობლო“ დავარქვი, იმდენად ვერ გავბედე, სამშობლოზე ლექსი რქმეოდა.

— თქვით, რომ ლექსებს სპონტანურად წერთ, მაგრამ სანამ აქამდე მიხვალთ, ეს ყველაფერი ხომ გონებაში იხარება? თუ უცებ ჯდებათ და წერთ, რაც იმ წუთას თავში მოგივათ?

— ამ შეგრძნებას შინაგანად სულ ვატარებ და ვგრძნობ, რომ რაღაც მნიშვნელობა, მაგრამ ეს უცებ ხდება. ლექსზე ვერ ვმუშაობ, არ გამოდის. ჩემი მუშაობა იმაში გამოიხატება, რომ ძირითადად ღამე ვწერ. ჩემი დღე შუალამისას იწყება, თუმცა დღისითაც შემიძლია. მთავარია, არავინ მხედავდეს. ისიც კი მთრგუნავს, როცა ვიღაცამ იცის, რომ ლექსს ვწერ. ვწერ

სწრაფად, 5-10 წუთის განმავლობაში და შემდეგ ვაკლებ ფრაზებს და სიტყვებს. ჩამატება ძირითადად არ ხდება. თითოეულ სიტყვას ჩავკვირკვიებ. თუ არ მომეწონა ხომ გამოქვეყნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შოთას, მაგალითად, ლექსი არ დაუნერია, რომ არ გამოქვეყნებინოს. სუსტი ნაწერის აღიარებაც შეუძლია, მაგრამ ამის გამო დაუბეჭდავს არ დატოვებს, ჩემთვის ეს წარმოუდგენელია. ამის გამო მეუბნება, რომ მასზე გაცილებით ამბიციური ვარ.

— პირველი მკითხველიც ალბათ შოთაა?

— ძირითადად ასე ხდება ხოლმე.

— რთულია ორი პოეტის ერთ ოჯახში ცხოვრება, თუნდაც შემოქმედებითი თვალსაზრისით?

— ჩემთვის არ არის რთული, არ ვუშლით ერთმანეთს ხელს. შესაძლოა იმის გამო, რომ განსხვავებული ნატურები ვართ: შოთას პუბლიკა უყვარს, უფრო გახსნილი ადამიანია, ბედნიერია, როცა სადღაც მიდის. მე საპირისპირო ნატურა ვარ - მომწონს, როცა ჩემთვის ვარ, სახლში. ყურადღების ცენტრში ყოფნა დიდ დისკომფორტს მიქმნის. ბოლო დროს შევეციე ამის გადალახვას. ბევრად ჩაკეტილი ვიყავი და ეს თავდაცვ მიქმნიდა უხერხულობას, რადგან შეიძლება პოზიორის იარ-

„ ურითმო ლექსი უფრო ჩემია “

ლიყი მომწებობდა. მერე მივხვდი, რომ მოჩვენებითი გახსნილობა ბუნებრივ ჩაკეტილობას ვერ მართმევს, რადგან, რაც უნდა გულახდილად ილაპარაკო, გულის სიღრმეში მაინც გრჩება გამოკეტილი სივრცე, სადაც არავის უშვებ. ამან ცოტა იმედი მომცა — თუ საიდუმლო ოთახი არ იხსნება, რაღაც შეიძლება ილაპარაკო. ძალიან მიჭირს ურთიერთობა ტელევიზიასთან, ჟურნალისტიკასთან. თავს საინტერესო მოსაუბრედ არ მივიჩნევ და ძალიან მიკვირს ადამიანების, რომელთაც ყველაფერზე გამზადებული პასუხი აქვთ. ჩემში ისე ღრმადაა დაღუპილი სიტყვები და ემოციები, ვიდრე იქიდან ამოლაგებინა, დიდი დრო სჭირდებათ. თავს საინტერესო მოსაუბრედ არ მივიჩნევ და ძალიან მიკვირს ადამიანების, რომელთაც ყველაფერზე გამზადებული პასუხი აქვთ. ჩემში ისე ღრმადაა დაღუპილი სიტყვები და ემოციები, ვიდრე იქიდან ამოლაგებინა, დიდი დრო სჭირდებათ. თავს საინტერესო მოსაუბრედ არ მივიჩნევ და ძალიან მიკვირს ადამიანების, რომელთაც ყველაფერზე გამზადებული პასუხი აქვთ. ჩემში ისე ღრმადაა დაღუპილი სიტყვები და ემოციები, ვიდრე იქიდან ამოლაგებინა, დიდი დრო სჭირდებათ. თავს საინტერესო მოსაუბრედ არ მივიჩნევ და ძალიან მიკვირს ადამიანების, რომელთაც ყველაფერზე გამზადებული პასუხი აქვთ.

— თუმცა შინაგანად მაინც სასიამოვნო იქნებოდა.

— რა თქმა უნდა. ყველას გვაქვს პატარ-პატარა ამბიციკა, თუმცა ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ შეიძლება ეს პრემია მთლად სამართლიანი არ იყო. ძალიან კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს საკუთარი თავის მიმართ. მიმაჩნია, რომ ის, რასაც ვწერ, ჯერჯერობით შორსაა ნამდვილი, კარგი პოეზიისგან, მაგრამ ვერც ვერცხვები.

— როგორც ჩანს, ეს თქვენი მოწოდებაა. ნამდვილ, კარგ პოეზიად რა მიგაჩნიათ, გყავთ თქვენი ავტორები?

— კი, როგორ არა, ოღონდ იცვლებიან ხოლმე. ამ ეტაპზე ქრისტიანე ლავანტის პოეზიის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ეს იყო ავსტრიელი მწერალი ქალი, რომელიც ძალიან კარგად წერდა. პოეზიის გარდა

მისი ცხოვრებითაც დაინტერესდი და გატაცებით ვკითხულობ. საინტერესო ბიოგრაფია და ცხოვრების გზა აქვს.

— წლების წინ სილივია პლათს გადარებდნენ და მისი პოეზიის გავლენას მოგანერდნენ.

— პირდაპირი გავლენის რა მოგახსენოთ, მაგრამ ემოციურად სერიოზულად განვიცადე მისი ზეგავლენა. პლათის პოეზია ბევრ რამეში დამეხმარა. მისი ლექსების ნაკითხვის შემდეგ ჩემი ლექსები რაღაცით შეიცვალა. მეტი სითამამე მომცა და მანამდე დახშული არხები გამიხსნა. აღარ მეშინოდა გაგიჟების პოეზიაში, რადგან ამის მაგალითი უკვე იყო.

— მანამდე შინაგანი ცენზორი მაინც მოქმედებდა?

— უფრო შიშს დავარქმევდი. რომ მკითხონ, ლექსის წერის პროცესი რასთან იგივედება, ვუპასუხებ, რომ ეს არის შიში. იმდენად ძლიერია ემოციები, მგონია, რომ შეიძლება ვერცეი გავუძლო. ამ ემოციის სრულად გადმოცემას ლექსში ვერ ვახერხებ და სწორედ ეს მზაფრავს. სულ მეუბნებიან, რომ ჩემი ლექსები ძალიან რთულია, ზოგ შემთხვევაში — მიძიმე. მე კი მგონია, რომ წყალწყალა, სიმძაფრეც აკლია და სირთულეც. სირთულეს კენ იმიტომ არ ვისწრაფი, რომ მკითხველი დავაბნო, უბრალოდ, შეგრძნებები იმდენად მძაფრია, მინდა სრულად გადმოვცე, მაგრამ ვერ ვახერხებ.

— სტილურ და ჟანრობრივ ძიებებზე რას ფიქრობთ, საინტერესოა თქვენთვის ასეთი ექსპერიმენტები?

— შოთა სულ მეუბნება ხოლმე, მოდი, სხვანაირად დანერეო. მას უფრო უყვარს ცვლილებები, მრავალფეროვნება ლექსებში, ხან რითმიანს დანერს, ხან — ურითმოს, სივრცეში იშლება, მე კი უფრო სიღრმისკენ ვისწრაფი, ასფალტის სათხრელი მანქანასავით. მეჩვენება, რომ ერთი გზით მივდივარ, მაგრამ სიღრმეში. დამინერია რითმიანი ლექსებიც, მაგრამ ურითმო უფრო ჩემია. რითმიანში რაღაც მბოჭავს, არ ვიცი, რატომ. არ გამოვლავ ასეთი განცდა მაქვს, რომ რითმიანი ლექსი უფრო პრეტენზიულია. ამ დროს პირიქით მიიჩნევ. მეშინია რითმიანი ლექსების. არ მინდა პოეტის სახელი დავირქვა, რითმიანი ლექსები კი ამას თითქოს ხაზს უსვამს. ურითმოში თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობ. მქონდა პერიოდი, როდესაც სახლში გიჟივით დავდიოდი და ნაბიჯების რიტმზე მოდიოდა რითმები. მაშინ ასე ვწერდი, მაგრამ ახლა მწყობრი რითმი არანაირად არ მოდის. არეული ნაბიჯების ხმა მესმის და შესაბამის რითმებშიც გამოიხატება.

— ვრცელი ლექსის დანერის სურვილი არ გქონიათ?

— არა. იმდენად სუნთქვაშეკრული ვარ და იმდენად სწრაფად ხდება ეს პროცესი, დიდხანს გაგრძელება ვერცეი წარმომიდგენია. რამდენ ხანს გაძლევ ჰაერის გარეშე? ისეთი განცდა მაქვს, სადაც წყლის ფსკერზე ვარ და სწრაფად უნდა ამოვიდე, რომ ამოვისუნთქო. დიდ ტექსტს ემოციურად ვერ გავუძლებ, ძალიან გამიჭირდება.

— რამდენადაც ვიცი, კრებული — „მიკროსკოპი“ ინგლისურად ითარგმნა. თუ გიფიქრიათ, რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს თქვენი ლექსები სხვა კულტურულ სივრცეში მცხოვრები მკითხველისთვის, რა შეიძლება უთხრას მათ?

— ვერ გეტყვით, არ მიფიქრია. რა მოუვა ჩემს ლექსს, სად დაბეჭდავენ, რა პრემიას მისცემენ — ამის მიმართ ძალიან გულგრილი ვარ. „საბას“ ალბათ რაღაც მომენტში შინაგანად მსიამოვნებდა, ახლა კი ვგრძნობ, რომ მსგავსი არაფერი მჭირდება, ძალიან დამხვევს უკან. იქამდეც კი მივდი, რომ ლიტერატურული საიტებიდან ჩემი ლექსების ნაშლა ვითხოვე. მერე მივხვდი, რომ სისულელეა, რადგან ეს უკვე ბევრგან დევს. არ ვიცი, ჩემთვის პრობლემაა, რა ვუყო საკუთარ ლექსებს. ჯერჯერობით აღარც ვწერ. ერთი წელია არაფერი დამინერია.

— ასეთი პერიოდულობა გახასიათებთ?

— კი, დიდ პაუზებს ვაკეთებ, სამაგიეროდ მერე შეიძლება 10-15 ლექსი ერთად დავწერო. ცოტას ვწერ და იქიდანაც ბევრს

კრიტიკოსი

ლევან ბრეგაძე

ლიტერატურის კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი ლევან ბრეგაძე თორმეტი წიგნისა და სამასზე მეტი მეცნიერული და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომის ავტორია. გამოქვეყნებული აქვს თარგმანები რუსული, გერმანული და ფრანგული ენებიდან. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებზე ხელმძღვანელობდა, 2008-2011 წლებში კი ჟურნალ „ქართული მწერლობის“ მთავარი რედაქტორი გახლდათ.

მკითხველი კარგად იცნობს ბოლო დროს გამოცემულ მის წიგნებს — „ქართული ჟანრის ლექსიკონი“, „მოთხრობები ლიტერატურაზე“, „მოგზაურობა“ „კაუკაზიმე პოსტის“ ფურცლებზე“, „მარგინალიები“ და სხვ. მათი ავტორი არაერთი ლიტერატურული ჟილდოს მფლობელია. ორჯერ — 2003 და 2009 წლებში — ლიტერატურული პრემია — „საბას“ — ლაურეატი გახდა. წიგნებზე ახლაც მუშაობს, პედაგოგიურ მოღვაწეობას თავი ამიტომაც დაანება, — ბევრი დრო მიჰყვება.

ბატონ ლევანთან შეხვედრამდეც ლიტერატურის კრიტიკოსობა ძალზე საინტერესო საქმედ მიმაჩნდა. ვფიქრობდი, რომ ეს არის მხატვრული ტექსტისა და ლიტერატურის დიდი მოყვარული, კარგი მკითხველი, შეიძლება ითქვას, პროფესიონალი მკითხველის „ურთიერთობის“ ხელოვნება. შეხვედრის შემდეგ კი, როცა მის მიერ ნაჩუქარ წიგნს „მოთხრობები ლიტერატურაზე“ ჩავეხედე, ავტორის წინააღმდეგობაში — ცხადია, აზრის ფორმულირების თვალსაზრისით ბევრად დახვეწილად — ჩემი ფიქრების „გაგრძელება“ ამოვიკითხე: „ეს არის მცდელობა იმის ამოცნობისა, რაც ზედაპირზე არ ძვეს, რაც მისაგნებია, მისაკვლევი, რასაც მკითხველზე მხატვრული ტექსტის ზემოქმედების საიდუმლო ჰქვია...“

გასაკვირი არ არის, რომ ბატონი ლევანის წიგნებსა და სამეცნიერო-ლიტერატურულ ნაშრომებს გამუდმებით ფურცლავენ, კვლავ და კვლავ უბრუნდებიან, ავტორთან ერთად მოუწყენლად მოგზაურობენ — ისევ მის სიტყვებს მოვიშველიებ — „მხატვრული ტექსტის საიდუმლოებათა შეცნობის გზაზე“, რადგან „მოხვედრათა ოსტატობის შესახებ თხრობა არავის ტოვებს გულგრილს, რისი მიზეზიც ის უნდა იყოს, რომ ყველა ჩვენგანი, მეტად თუ ნაკლებად მთხვევლია“.


— მინდა ვისაუბროთ იმ ურთიერთობაზე, იმ კავშირზე, რაც, ჩემი აზრით, ყველა არსებულ ურთიერთობასა თუ კავშირზე უფრო ღირებულია, უფრო ღრმაა, შინაარსიანია, თუ გნებავთ, ინტიმურია, — ეს არის კავშირი მკითხველსა და მხატვრულ ტექსტს შორის.

— ეს ურთიერთობა მართლაც განსაკუთრებულია.

საუბარს ერთი მოგონებით დავიწყებ. წარწერიანი წიგნები მიყვარს. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ რუბრიკაც კი გვექონდა — „წარწერიანი ეგზემპლარები“. ერთი ასეთი წიგნი მაქვს — რეზო ყარალაშვილის „ჰერმან ჰესეს შემოქმედების პრობლემები“, ავტორის ნაჩუქარი, ავტორისავე წარწერით. 1981 წელს რეზო მკითხველს ჰერმან ჰესეს რომანზე — „მოხილვა დილის ქვეყნისა“

— რეცენზია დაავებედი „ლიტერატურულ საქართველოში“. მისი გამოქვეყნებიდან კარგა ხანი იყო გასული და შემთხვევით ქუჩაში შევხვდით ერთმანეთს. მითხრა, რეცენზიისთვის მადლობელი ვარო, ჩანთიდან თავისი წიგნი ამოიღო და გამომიწოდდა. ტიტულზე შავი ფლომასტერით წაუწერია: „იდეალურ მკითხველს — ლევან ბრეგაძეს“. თავიდან კარგად ვერ გავიგე, რას გულისხმობდა ამით. მაშინ არც რეცეფციული, ანუ აღქმის ესთეტიკის შესახებ მსმენოდა რამე და არც მისი წიგნი, 1977 წელს გამოცემული „წიგნი და მკითხველი“ მქონდა ნაკითხული, თორემ მივხვდებოდი, რომ მისგან ეს უმაღლესი შეფასება ყოფილა ლიტერატორისა. დიხს, რეზო ყარალაშვილი არის ავტორი რეცეფციული, ანუ აღქმის ესთეტიკის შესახებ ქართულ ენაზე შექმნილი პირველი ნაშრომისა. აღქმის ესთეტიკის მიხედვით, მკითხველი თანავტორია მხატვრული ტექსტისა. ხელოვნების არცერთ სხვა დარგში მსგავსი კავშირი ნაწარმოებსა და მის აღმქმელს შორის არ არსებობს. მუსიკა მოვიშველიოთ: წიგნის მკითხველი მუსიკალური ნაწარმოების მსმენელს კი არ უნდა შევადაროთ, არამედ შემსრულებელს — პიანისტს ან მომღერალს. მხატვრული ტექსტის ნამკითხველი აცოცხლებს მწერლის მიერ შეთხზულ ტექსტს, ხორცს ასხამს ჩონჩხს, სქემას, პირობითი ნიშნებით — ასოებით მოწოდებულს, თავის წარმოდგენაში ასრულებს, სრულყოფს მას. ამიტომ არის, რომ ნაკითხული რომანების ეკრანიზაცია თითქმის არასოდეს მოგვწონს — ჩვენ ხომ ნაკითხული ნაწარმოები უკვე „გადაღებული“ გვაქვს „ფილმად“ ჩვენს წარმოდგენაში!

სიტყვა ძალზე უცნაური მასალაა, გამორჩეული თავისი აბსტრაქტულობით. ტექსტს — ქალაქზე გამოსახული გრაფიკული ნიშნების ერთობლიობას — ჯერ თვალის აღიქვამს, შემდეგ ეს ასო-ნიშნები აღმქმელის გონებაში ბეგრებად გარდაიქმნება, ბეგრები — სიტყვებად, სიტყვები — ფრაზებად, ფრაზები — აზრებად ან სახეებად, სურათებად. ეს სასწაუ-



ლებრივი პროცესია! ყოველდღიურად გვინევს რაღაცის ნაკითხვა, წიგნის თუ არა, სარეკლამო აბრებისა მაინც, და იმდენად შევეჩვიეთ ამ პროცესს, რომ მისი გააზრება გვიჭირს, სასწაულად ვეღარ აღვიქვამთ.

რეცეფციული ესთეტიკის თეორიას ხანგრძლივი ისტორია არ აქვს. დასავლეთში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დამკვიდრდა. ჩვენ კი, როგორც გითხარით, ის რეზო ყარალაშვილმა გაგვაცნო.

ამიტომაც, „იდეალურ მკითხველს“, რომ წამინერა თავის წიგნზე, ძალიან მეამაყება.

— თქვენი ფრაზა მახსოვს — „ჯობს ერთი წიგნი წაკითხო ხუთჯერ, ვიდრე ხუთი წიგნი — თითოჯერ“.

— ეს ჩემი აფორიზმია. ბევრის ნაკითხვა დიდს არაფერს ნიშნავს. წიგნი უნდა ისწავლოს, შეისწავლოს. ასეც მოხდება, თუ მას რამდენჯერმე მიუბრუნდები. ლექსს ოთხჯერ-ხუთჯერ რომ წაკითხავდი (ოლონდ არა ზედიზედ, არამედ სხვადასხვა დროს), ზეპირად მამახსოვრდებოდა. პროზაც ასევე შეიძლება გაგიჯდეს გონებაში და ეს ძალიან კარგია. ახლანდელ სკოლაში ბავშვებს ტექსტის დაზეპირებას უშლიან. ლექსების დასწავლასაც კი არ სთხოვენ ზეპირად. მხატვრული ტექსტების ზეპირად ცოდნა ხელს არაფერში შეგიშლის, პირიქით — სადღაც წამოგწევა, გამოგადგება. საერთოდ, ტექსტზე მუშაობის დროს — მუშაობაში კი მხოლოდ ტექსტის შექმნა როდი იგულისხმება, არამედ ნაკითხვაც, ანალიზიც — ჩვენ საკუთარ თავზე ვმუშაობთ, საკუთარი თავის ფორმირებას ვახდენთ.

— რა სახე აქვს თანამედროვე საქართველოში ლიტერატურულ კრიტიკას? ახალ წიგნებზე რეცენზიები იშვიათად იბეჭდება. ხშირად მსმენია, დღეს ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობს.

— მთარულ ფრაზად იქცა, — კრიტიკა არა გვაქვს, კრიტიკოსები არა გვყავს!

როცა ამას ამბობენ, როგორც ჩანს, გულისხმობენ, რომ გამოცემული წიგნების სისტემატური შეფასება არ ხდება, მათი უმეტესობა განუხილავი რჩება. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ რეცენზიაში, კრიტიკულ წერილში ან სულ არაფერს, ან ძალიან ცოტა ჰქონორარს იძლევიან. კრიტიკოსობა კი ძნელი, შრომატევადი პროფესიაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უმნიშვნელო შენიშვნის გამოთქმაც კი დიდ პასუხისმგებლობასთან, სულიერ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. ის კი არა, დარბაზიდან მოსმენილი მცირე რეპლიკაც ისე აღიზიანებს ხოლმე გამომსვლელს, რომ ხშირად პირადი ურთიერთობის შეწყვეტამდეც მიდის საქმე. ასე რომ, მხატვრული ნაწარმოების შეფასება მრავალმხრივ საჭოჭმანო საქმიანობაა და არ მიკვირს, რომ ბევრი, ვისაც, ვიცო, მშვენივრად ხელენიფება ეს, უარს ამბობს ამაზე, — რისთვის ავიტყვი აუტყვივარი თავიო! და რჩება ერთი — თუ გააბრაზებთ ვინმე, მაშინ დანერენ...
მოკლედ, წიგნი ბევრია, მათი შემფასებელი კი — ცოტა. ამიტომ, თუ გაზეთს, ჟურნალს ან გამოცემლობას ამ დარგის ხელშეწყობა სურს, სათანადო ანაზღაურებაც არ უნდა დაიშუროს. კრიტიკოსს

სტრიქონებად, სტროფებად ვანან-ილებდით სიტყვებს (გოეთეს ნათქვამია: „შეზღუდულ ვითარებაში გამოავლენს თავს ოსტატი“). არისტოტელემ ამ განცხადს, თხზვისას და სხვისი შეთხზულის აღქმისას რომ გვიჩნდება, კათარზისი, სულიერი განწმენდა უწოდა. ადამიანებს — უფრო ახალგაზრდობისას, სანამ გამოცდილებას შევიძენდეთ — უამრავი რამ გვიქმნის სულიერ დისკომფორტს, ათასი რამ გვაღიზიანებს, გვაწუხებს. ამ დისკომფორტს თხზვის პროცესიც აქარვებს და კითხვისაც. კათარზისი თერაპიაა.

— დღევანდელ ქართულ მწერლობაზე რას იტყვით?

— ხშირად გაიგონებთ, რომ ხელოვნების დარგებში, მათ შორის მწერლობაშიც, კრიზისია. რა გასაკვირია! მთელი მსოფლიო კრიზისებმა მოიცვა — კრიზისია ეკონომიკაში, პოლიტიკაში, განათლების სისტემაში... რაღა ხელოვნება იქნება გამონაკლისი?! ჩვენს სფეროში, მწერლობაში, კრიზისის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ, მას შემდეგ, რაც ადამიანმა წერა დაიწყო, უამრავი არაჩვეულებრივი ტექსტი დაგროვდა. ათი სიცოცხლეც არ გვეყოფა, რომელიმე ჟანრის თუნდაც მხოლოდ შედევრებს მეტ-ნაკლებად სრულად რომ გავეცნოთ. ამას კიდევ ასობით პირველხარისხოვანი თხზულება ემატება ყოველდღიურად. მითხარით, განა აბსურდული ვითარება არ იქმნება? თანაც, ის ადრინდელი ლიტერატურული ქმნილებები არ ძველდება და შეიძლება უფრო მეტადაც მოქმედებს დღევანდელ მკითხველზე, ვიდრე თანამედროვე ტექსტები. ბევრს ძველი, აპრობირებული ტექსტების კითხვა ურჩევნია, რადგან დანამდვილებით იცის — არ წააგებს. ახლის ნაკითხვა კი სარისკო საქმეა — შეიძლება არჩევანში შეცდე და ძვირფასი დრო სამასგვერდიანი რომანის კითხვაში ტყუულად გაფლანგო.

სწორედ აქ არის საჭირო კრიტიკოსი, რომელსაც ვენდობით, რომელიც კარგ მეგზურობას გაგვინევს წიგნების სამყაროში.

— მოდით, თარგმანის პრობლემებსაც შევეხოთ. ლევანდარულ მთარგმნელობით კოლეგიაშიც გიმუშავიათ, ბატონმა ოთარ ნოდია რომ შექმნა გასული საუკუნის 70-იან წლებში. მაშინ თარგმანის საქმე მნიშვნელოვნად დანაწილდა, გარკვეული საფუძველი შეიქმნა ამ დარგის შემდგომი განვითარებისთვის. თუმცა დღეს, თანამედროვე თარგმანების კითხვისას, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ტრადიცია არ არსებობდეს და დღევანდელ მთარგმნელებს თავად უხდებოდეთ გზის გაკაფვა.

— ასეთი აფორიზმია: „თუ შეგიძლია, რომ არ დაწერო, — არ დაწერო!“ (მხატვრულ ტექსტზეა ნათქვამი). ვისაც მწერლობა უყვარს და აინტერესებს, ვურჩევდი: უკვე დაწერილ უთვალავ რომანს, მოთხრობასა თუ ლექსს ახალს კი ნუ მიუმატებს (თუ შეუძლია, რომ არ მიუმატოს!), არამედ თარგმნოს. ამით უფრო დიდ საქმეს გააკეთებს.

თარგმანის ხარისხით არც ის ხანა გამორჩეოდა. სწორედ ამიტომ შეიქმნა თქვენ მიერ ნახსენები კოლეგია. ამის შედეგად მაშინ გარკვეულ, შეიძლება ითქვას, ასატან დონეს მივაღწიეთ ამ სფეროში. ახლა ისევ დაქანდა ეს დონე დაბლა. მთარგმნელს, იმისთვის, რომ სამუშაო დასასრული მე-14 გვერდზე

როცა ამას ამბობენ, როგორც ჩანს, გულისხმობენ, რომ გამოცემული წიგნების სისტემატური შეფასება არ ხდება, მათი უმეტესობა განუხილავი რჩება. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ რეცენზიაში, კრიტიკულ წერილში ან სულ არაფერს, ან ძალიან ცოტა ჰქონორარს იძლევიან. კრიტიკოსობა კი ძნელი, შრომატევადი პროფესიაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უმნიშვნელო შენიშვნის გამოთქმაც კი დიდ პასუხისმგებლობასთან, სულიერ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. ის კი არა, დარბაზიდან მოსმენილი მცირე რეპლიკაც ისე აღიზიანებს ხოლმე გამომსვლელს, რომ ხშირად პირადი ურთიერთობის შეწყვეტამდეც მიდის საქმე. ასე რომ, მხატვრული ნაწარმოების შეფასება მრავალმხრივ საჭოჭმანო საქმიანობაა და არ მიკვირს, რომ ბევრი, ვისაც, ვიცო, მშვენივრად ხელენიფება ეს, უარს ამბობს ამაზე, — რისთვის ავიტყვი აუტყვივარი თავიო! და რჩება ერთი — თუ გააბრაზებთ ვინმე, მაშინ დანერენ...
მოკლედ, წიგნი ბევრია, მათი შემფასებელი კი — ცოტა. ამიტომ, თუ გაზეთს, ჟურნალს ან გამოცემლობას ამ დარგის ხელშეწყობა სურს, სათანადო ანაზღაურებაც არ უნდა დაიშუროს. კრიტიკოსს

სტრიქონებად, სტროფებად ვანან-ილებდით სიტყვებს (გოეთეს ნათქვამია: „შეზღუდულ ვითარებაში გამოავლენს თავს ოსტატი“). არისტოტელემ ამ განცხადს, თხზვისას და სხვისი შეთხზულის აღქმისას რომ გვიჩნდება, კათარზისი, სულიერი განწმენდა უწოდა. ადამიანებს — უფრო ახალგაზრდობისას, სანამ გამოცდილებას შევიძენდეთ — უამრავი რამ გვიქმნის სულიერ დისკომფორტს, ათასი რამ გვაღიზიანებს, გვაწუხებს. ამ დისკომფორტს თხზვის პროცესიც აქარვებს და კითხვისაც. კათარზისი თერაპიაა.

— დღევანდელ ქართულ მწერლობაზე რას იტყვით?

— ხშირად გაიგონებთ, რომ ხელოვნების დარგებში, მათ შორის მწერლობაშიც, კრიზისია. რა გასაკვირია! მთელი მსოფლიო კრიზისებმა მოიცვა — კრიზისია ეკონომიკაში, პოლიტიკაში, განათლების სისტემაში... რაღა ხელოვნება იქნება გამონაკლისი?! ჩვენს სფეროში, მწერლობაში, კრიზისის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ, მას შემდეგ, რაც ადამიანმა წერა დაიწყო, უამრავი არაჩვეულებრივი ტექსტი დაგროვდა. ათი სიცოცხლეც არ გვეყოფა, რომელიმე ჟანრის თუნდაც მხოლოდ შედევრებს მეტ-ნაკლებად სრულად რომ გავეცნოთ. ამას კიდევ ასობით პირველხარისხოვანი თხზულება ემატება ყოველდღიურად. მითხარით, განა აბსურდული ვითარება არ იქმნება? თანაც, ის ადრინდელი ლიტერატურული ქმნილებები არ ძველდება და შეიძლება უფრო მეტადაც მოქმედებს დღევანდელ მკითხველზე, ვიდრე თანამედროვე ტექსტები. ბევრს ძველი, აპრობირებული ტექსტების კითხვა ურჩევნია, რადგან დანამდვილებით იცის — არ წააგებს. ახლის ნაკითხვა კი სარისკო საქმეა — შეიძლება არჩევანში შეცდე და ძვირფასი დრო სამასგვერდიანი რომანის კითხვაში ტყუულად გაფლანგო.

სწორედ აქ არის საჭირო კრიტიკოსი, რომელსაც ვენდობით, რომელიც კარგ მეგზურობას გაგვინევს წიგნების სამყაროში.

— მოდით, თარგმანის პრობლემებსაც შევეხოთ. ლევანდარულ მთარგმნელობით კოლეგიაშიც გიმუშავიათ, ბატონმა ოთარ ნოდია რომ შექმნა გასული საუკუნის 70-იან წლებში. მაშინ თარგმანის საქმე მნიშვნელოვნად დანაწილდა, გარკვეული საფუძველი შეიქმნა ამ დარგის შემდგომი განვითარებისთვის. თუმცა დღეს, თანამედროვე თარგმანების კითხვისას, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ტრადიცია არ არსებობდეს და დღევანდელ მთარგმნელებს თავად უხდებოდეთ გზის გაკაფვა.

— ასეთი აფორიზმია: „თუ შეგიძლია, რომ არ დაწერო, — არ დაწერო!“ (მხატვრულ ტექსტზეა ნათქვამი). ვისაც მწერლობა უყვარს და აინტერესებს, ვურჩევდი: უკვე დაწერილ უთვალავ რომანს, მოთხრობასა თუ ლექსს ახალს კი ნუ მიუმატებს (თუ შეუძლია, რომ არ მიუმატოს!), არამედ თარგმნოს. ამით უფრო დიდ საქმეს გააკეთებს.

თარგმანის ხარისხით არც ის ხანა გამორჩეოდა. სწორედ ამიტომ შეიქმნა თქვენ მიერ ნახსენები კოლეგია. ამის შედეგად მაშინ გარკვეულ, შეიძლება ითქვას, ასატან დონეს მივაღწიეთ ამ სფეროში. ახლა ისევ დაქანდა ეს დონე დაბლა. მთარგმნელს, იმისთვის, რომ სამუშაო დასასრული მე-14 გვერდზე



მაია სარიშვილი:

„ურითომ ლექსი უფრო ჩემია“

დასასრული

ყვრი. რამდენიმე სავესე პარკი მაქვს გადაყრილი. გული მწყდება ბავშვობისდროინდელ ლექსებზე. ლირებულის ალბათ არაფერი, მაგრამ ჩემთვის იყო საინტერესო. კარგი იქნებოდა, შემომენახა.

— **ორი პოეტური კრებულის ავტორი ბრძანდებით, თუმცა როგორც მივხვდი, მათი გამოცემა მაინცდამაინც არ გიყვართ?**

— არა. პირველი „მერანმა“ გამოსცა, მეორეზე გამომცემლობა „ლინკის“ რედაქტორმა, ინგრიდ დეხრავემ იმუშავა. ახლა დამიგროვდა ერთი კრებულისთვის საკმარისი ლექსები, მაგრამ სურვილი არ მაქვს, წინა ორი გამოცდილებიდან გამომდინარე. გამოქვეყნებისგანაც თავს ვიკავებ, ისე დავფრთხი. პირველის მიმართ დღემდე საშინელი გაუცხოება მომყვება. ეს გრძნობა გამოცემისთანავე გამიჩნდა. როგორც კი მაღაზიაში დავინახე, მივხვდი, რომ ეს ჩემი წიგნი არ არის. მთელი ორი თვე ბესტსელერი ვიყავი, იმიტომ რომ ტირაჟის ნახევარი მამარჩემმა იყიდა დასარიგებლად, დანარჩენი — მე, რომ მკითხველამდე არ მისულიყო. ამ წიგნების დიდი ნაწილი გავანადგურე და დღემდე არ წამიკითხავს. სახლში ჩემი არცერთი კრებული არ მაქვს. თუ სადმე წაკითხვა დამჭირდა, სხვებს ვთხოვ და მერე უკან ვუბრუნებ ხოლმე. მეორეს მიმართ ასეთი გრძნობა მაშინათვე არ გამჩენია, უფრო მეტი სიმპათია და შინაგანი ერთიანობის განცდა მქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აქაც კრიტიკული გავხდი.

— **სხვების შეფასებისას როგორ ხართ?**

— მკითხველის როლშიც ძალიან კრიტიკული ვარ, მაგრამ ეს აგრესიულობას არ ნიშნავს. პირიქით, შემწყნარებლობას ვიჩენ და ხელჩასაჭიდაც ვეძებ, მაგრამ იშვიათია, რამე ძალიან მომეწონოს.

— **ქართველი ავტორებიდან არის ვინმე ასეთი?**

— კი, როგორ არა. უცებ ვინც გამახსენდა, დიმიტრი ნიკლაურია, ნაკლებად ცნობილი და ძალიან ნიჭიერი ავტორი, რომელიც არაჩვეულებრივ პოემებს წერს. პროზასაც. მაგრამ ჩაკეტილი ადამიანია და ლიტერატურულ სივრცეში არ ჩანს.

— **რამდენიმე რადიოპიესა გაქვთ დაწერილი, რომლებიც დაიდგა კიდეც. რატომ ეს ყანრი და არა ვთქვით, მოთხრობა?**

— პირველი ცდიდან გამომდინარე. ძალიან ცუდი პერიოდი იყო, პურის რიგები, უსინათლობა. რადიოში შემთხვევით მოვისმინე, რომ გამოცხადდა რადიოპიესების კონკურსი, იმ ღამითვე საბეჭდ მანქანაზე გაყინული, ხელთათმანიანი თითებით ავკრიფე „სამი ვედრო თოვ-

ლი“. რატომღაც უცებ მომინდა, არ ვიცი რატომ, თან ბოლო დღე იყო. როგორც ჩანს, ამ მძიმე ყოფაში ჩემს თავს გასაქცევი მოვუძებნე და სრულიად მოულოდნელად კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული აღმოვჩნდი. დადგმა რომ მოვისმინე, მივხვდი, სულ სხვა რამ იყო, მაგრამ თავად რადიოპიესის ფორმა მომეწონა — შეიძლება ჩემი ხასიათიდან გამომდინარე — რადიო მაინც სიმყუდროვეს უკავშირდება. მერე კიდევ დავწერე რამდენიმე. სხვათა შორის, ჩემი რადიოპიესები და ლექსები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. პიესები სენტიმენტალურობისკენ იხრება და გულისამაჩუყებელია, ლექსებში კი უფრო მეტი სიმძაფრე იგრძნობა.

— **გაგრძელებაზე არ გიფიქრიათ, ან ზოგადად პროზაზე?**

— ამას ნიჭი სჭირდება, დრო, ნებისყოფა, საკუთარ თავზე უარის თქმა. ამ ეტაპზე ვერცერთ პუნქტს ვერ დავაკმაყოფილებ, თუმცა რაღაც მცდელობა მქონდა — ავტობიოგრაფიული მინიატურები დავწერე. 10-ზე მეტი დამიგროვდა. დავნომრე, სათაური ამასაც ვერ დავარქვი და ვერც დაბეჭდვა გავრისკე. არ ვიცი, გაგრძელება თუ არა. ეს ემოციური ისტორიები ბავშვობიდან მოდის და არ მინდა, ნაჩქარევად დავწერო.

— **ბავშვობაში სატავლით, რამდენადაც ვიცით.**

— ვხატავდი, ვუკრავდი. სხვათა შორის, ჩემი ოცნება ყოველთვის იყო პიანისტობა. ეს სურვილი იმდენად მიუღწეველი მეჩვენებოდა, ხმამაღლა ვერც კი გამოვთქვამდი. საკუთარი სურვილით ჩავაბარე მუსიკალურ ათნელეში, ისე, რომ ჩემმა მშობლებმა არც იცოდნენ, თუმცა შემდეგ კონსერვატორიაში აღარ ჩამიბარებია. ახლა რამის შეცვლა რომ შეიძლებოდა, ამ მიმართულებით ნავიდოდი. მუსიკა ჩემთვის დღემდე შეუცვლელი ფენომენია. ბავშვების გამო ხშირად დაკვრას ვეღარ ვახერხებ, მაგრამ ვერც ვწყდები.

— **მუსიკას თქვენთვის პოეზიის შეცვლა შეეძლო?**

— შესაძლოა, იმიტომ რომ ისეთი მძაფრია! ხატვისადმი ასეთი განწყობა არ მქონია, მუსიკის მიმართ კი სხვა დამოკიდებულება მაქვს. შეიძლება ახლაც კი გამეცვალა ლექსის წერა სერიოზულ მუსიკოსობაზე. შემსრულებლობას ვგულისხმობ. შინაგანად ძალიან მჭირდება დაკვრა. როცა ფორტეპიანოსთან ვზივარ, ისეთი ძლიერი ემოცია მოდის, ვერანაირი სიტყვა ვერ გამოსცემს. ვგრძნობ, რომ ჩემი ადგილი იქ უფრო იყო, ვიდრე პოეზიაში. შესაძლოა, ამიტომაც მაქვს ლექსის მიმართ დაუკმაყოფილებლობის განცდა. მგონია, რომ არ არის ჩემი ადგილი პოეზიაში.

ესაუბრა ნანა კობაიძე

ლევან ბრეგაძე:

„ნიგნის ხალხი პართი“

დასასრული

რიგიანად შეასრულოს, დრო, მშობლიური ენის კარგი ცოდნა და ცოტა გონიერებაც სჭირდება (ჰონორარზე აღარაფერს ვამბობ). არიან მთარგმნელები, რომლებიც უცხო ენას კარგად ვერ ფლობენ, მაგრამ კარგად თარგმნიან, რადგან ჭკუა აქვთ, გემოვნებასთან ერთად, და ეს შველით. დრო ამ საქმეში ყველაზე დიდი პრობლემაა ამჟამად — ხარისხიანი თარგმანი სწრაფად არ კეთდება, გამომცემლები კი მუდამ ჩქარობენ.

ერთხანს თარგმანის კრიტიკამ გამიტაცა. ახლა რომ გადავხედე იმ წერილებს, გამიკვირდა — რამდენი რეცენზია დამინერია, რამდენი თარგმანი შემეფასებია! მომწონდა, მეხალისებოდა ეს საქმე. რაღაც ჟინია იმაში, რომ გაიგო თარგმნილი ტექსტი რამდენადაა ორიგინალის შესატყვისი, თან სტილის ანალიზშიც ინაფები ამ დროს. დიანხ, შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ ასეთი ჟინიც, ანუ ვნება, არსებობს — ფილოლოგი ვარ, სიტყვა მიყვარს, სიტყვების თავდასასვლები მიტაცებს!

— **გარდა იმისა, რომ თარგმანის კრიტიკოსი ბრძანდებით, როგორც ვიცით, თავადაც ვითარგმნიან უცხოენოვანი ტექსტები.**


— ამ დარგში ინტენსიურად არ მიმუშავია. თარგმანი ჩემი მთავარი საქმე არ იყო. რამდენიმე მოთხრობისა და მეცნიერული ტექსტების გარდა რუსული და გერმანული ეპიგრამებიც ვთარგმნე და ნიგნადაც გამოვეცი. ერთ ეპიგრამას წაგიკითხავთ. დიდი ხნის წინ ვთარგმნე, მაგრამ არ დამიბეჭდავს, არ მომწონდა. მერე დამავიწყდა. სამიოდე წლის წინ ვიპოვე და... რა ვიცი, მგონი, არა უშავს. უცნობი უცხოელი ავტორის ეპიგრამაა, მარშაკის რუსულ თარგმანში გავეცანი, „კოცნა“ ჰქვია:

„— რა დავინახე! მან თქვენ გაკოცათ?! როგორ გაბედა! ხედავ იმ ნავავს! ანდა თქვენ როგორ მიეცით ნება?! — რის ნება! რატომ მაკადრებთ მაგას!

იმას ეგონა, რომ მე მეძინა და ვერ ვიგრძნობდი ვერაფერს იმ დროს.

ანდა ეგონა, რომ მე მეგონა, რომ მას ეგონა, მეძინა თითქოს“.

ლირიკული ლექსის თარგმნა კი მიჭირს, უძნელეს საქმედ მიმაჩნია. მათ, ვინც კარგად თარგმნის ლირიკას, დიდ პატივს ვცემ; ამ საქმის დიფილტატი იყვნენ ვახუშტი კოტეტიშვილი, თამაზ ჩხენკელი... ასეთები არიან დავით წერეთლიანი, თამარ ერისთავი, ლანა ლოლობერიძე... ახლებიდან კი გიორგი ლობჯანიძეს და ზვიად რატიანს დავასახელებდი.



თარგმანზე ბევრი დაწერილა. დიდალი ლიტერატურა დაგროვდა, ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილიდან დაწყებული თანამედროვე ნაშრომების ჩათვლით. კარგი იქნება, ამ ლიტერატურას ახალგაზრდა მთარგმნელები გაეცნონ, სხვათა გამოცდილება გაიზიარონ. სამწუხაროდ, ჩანს, ასე არ იქცევიან, რის გამოც ბევრი რამის კეთება თავიდან უნევთ. ძალიან ძნელია, როცა თავიდან იწყებ რამეს და „სხვის მხრებზე“ არ დგახარ, სხვათა გამოცდილებას არ ეყრდნობი. ასეთ დროს შედეგიც ნაკლებ სასურველია. მარტივ მაგალითს მოვიყვან: „კაპიკია მაგის ფასიო“, ვამბობთ ხოლმე რამეზე, რაც არ მოგვწონს. როცა უცხო ენიდან, მაგალითად, ინგლისურიდან თარგმნილ ნიგნში, ამ გამოთქმას შეხვდები (ხშირად შემხვედრია), გეხამუშება, რადგან კაპიკი, მოგეხსენებათ, ფულის რუსული ერთეულია და ინგლისური თხზულების პერსონაჟისგან ამ გამოთქმის მოსმენა ნონსენსია. გამოცდილი მთარგმნელები გეთავაზობენ, ასეთ დროს კაპიკის ნაცვლად გროში დავწეროთ, რადგან ფულის ამ ერთეულს მრავალ ქვეყანაში იცნობენ და მოიხმარენ (ან მოიხმარდნენ), „გროში“ ლამის საერთაშორისო სიტყვაა. თუ ახალგაზრდა მთარგმნელი შესაბამის ლიტერატურას გაეცნობა, ამგვარი შეცდომები აღარ მოუვა, თარგმანზე დაწერილ ნიგნებსა და რეცენზიებში ბევრ სხვა სასარგებლო რამესაც ნააწყლებს.

— **თქვენ ჟურნალ „ქართული მწერლობის“ მთავარი რედაქტორი ბრძანდებით. გამოცემაცვალა თაობის მწერლისა და მკითხველისთვის საინტერესო იყო. სამწუხაროდ, ჟურნალის გამოცემა შეჩერდა. რა გახდა ამის მიზეზი?**

— მოგეხსენებათ, ჟურნალი „ქართული მწერლობა“ პირველად 1926 წელს გამოვიდა. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი ნიკოლოზ მინიშვილი გახლდათ. პოეტის შთამომავლების სურვილი იყო ამ სახელწოდების ჟურნალი კვლავაც გამოსულიყო, რაც მოხერხდა კიდევ. 2008 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ მისი თავკაცის, ბატონ კახიგ კუდავას ინიციატივით, განახლებული „ქართული მწერლობის“ გამოცემა დაიწყო. კარგი ჟურნალი გამოვიდა. მას შემდეგ კი, რაც სარედაქციო ჯგუფს ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელია შეემატა, „ქართულმა მწერლობამ“ მეტი პოპულარობა მოიპოვა, შინაარსობრივად და გარეგნულადაც უფრო ცოცხალ, ახალგაზრდულ გამოცემად იქცა. სამწუხაროა, რომ ჟურნალის გავრცელებასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემების გამო აღდგენიდან ორნახევარი წლის შემდეგ „ქართული მწერლობის“ გამოცემა შეწყდა.

ესაუბრა თამარ ჟურნალი



ფრენსის ბებეი 1929 წლის 15 ივლისს ქაშერუნში დაიბადა. სწავლა სორბონაში დაიწყო და აშშ-ში გააგრძელა. XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ბებეი საფრანგეთში დაფუძნდა და მალე დაიმკვიდრა ადგილი, როგორც მოქანდაკე, მუსიკოსი და მწერალი. ის ერთხანს იუნესკოს კონსულტანტადაც კი მუშაობდა. მისი ყველაზე გახმაურებული რომანია „აგათა მოუდიოს ვაჟი“, პირველი ალბომი კი 1969 წელს გამოუშვა. ფრენსის ბებეი 2001 წლის 28 მაისს საფრანგეთში გარდაიცვალა.

ფრენსის ბებეი

თოვლის ბაბუ ფანტასტიკის

„მსმც ასე, მოსავალი წელს კარგი ავიღეთ და ყავაც კარგ ფასად გავყიდეთ! ვამბობ რამეს? ახლა ავდგე და ეს ფული ფანჯრიდან მოვისროლო? ქარს გავატანო? საჩუქრები!.. საახალწლო საჩუქრები! ხო უნდა მოგაფიქრდეს! მე რო პატარა ბიჭი ვიყავი, არავის უჩუქებია ახალ წელს რამე. როგორც ხედავ, არაფერი დამკვლევია ამის გამო. ახლაც არავინ არაფერს მჩუქნის. ჰოდა, არც არაფერი! ვცოცხლობ როგორღაც საახალწლო საჩუქრების გარეშე. დაცვა, გავიგო, ვინ გამოგიტენა თავი ამ სისულელეებით!..“

კაცმა რომ თქვას, მამაჩემი – მამილო ბომბა (ჩვენში ყველა ასე ეძახის) მართალი იყო. კარგი მოსავლის შემთხვევაშიც კი, სულაც არაა საჭირო, ფული ფანჯრიდან მოისროლო. მით უფრო, თუ სახლს ფანჯრები სულაც არ აქვს – ისე, როგორც, მაგალითად, ჩვენსას. ასევე არაფერი იყო გასაკვირი მის სურვილში – ახლოს გაეცნო ის ხალხი, ვინც თავი „ამ საახალწლო სისულელეებით გამოიტენა“.

ყოველთვის ასე იყო – თუ რამე არ მოეწონებოდა, ერთ-ორს ისეთს იტყობდა, ნამში მომაკვებებდა.

საერთოდ, ჩვენი სოფლები ცოტა უცნაურები არიან – როგორღაც ახერხებენ და საახალწლო საჩუქრების გარეშეც გადაიან იოლას. მამინაც კი, როცა გადასარევედ იციან, რა სიხარულია ეს. მამაჩემი, მაგალითად!

არც უფიქრია დადარდინება, როცა გაიგო, რამდენ ულუფა საახალწლო სიხარულს იყო მოკლებული თავისი ორმოცდაათწლიანი სიცოცხლის განმავლობაში. სიტუაციის დრამატიზმს ვერ სწვდებოდა.

ეგ კი არა, ამ დანაკლისი ულუფების გაზრდასაც აპირებდა მგონი სამოცამდე. მართალია, მას ხუთი ცოლი და თოთხმეტი შვილი ჰყავდა, მაგრამ ეს საახალწლო საჩუქრების კომპენსაცია როგორ იქნება, აბა?!

ჩემი და-ძმების რაოდენობა ყოველთვის საგონებელში მაგდებდა. იმას კი არ ვფიქრობდი, ერთ დღესაც მამაჩემმა სიკვდილი რომ გადაწყვიტოს, ყველა ჩემი სარჩენი იქნება-მეთქი.

სულ სხვა რამ მაფიქრებდა: თავისი ხუთი ცოლისგან, მამაჩემს, არითმეტიკის და ლოგიკის არსებული წესების თანახმად და ჩემი გამოთვლით, 14 კი არა, 15 ბავშვი უნდა ჰყოლოდა.

რას ვიზამ, როგორც ჩანს, სკოლაში გატარებული 3 წელი (ჩემი საშუალო და უმაღლესი განათლება) არ არის საკმარისი 14-ის 5-ზე გასაყოფად.

სამაგიეროდ, ჭკუშმარტივ ცივილიზაციას ვეზიარე და თვალსაჩინო ისეთი უახლესი კონცეფციებით გავიფართოვე, ჩემი სოფლის არცერთ მცხოვრებს რომ არც დაესიზმრება.

ასე, მაგალითად, ოცი წლისამ უკვე ვიცოდი, რომ ქვეყნიერებაზე არსებობს ვინმე თოვლის ბაბუა, 24 დეკემბერს, ღამით საკვამურიდან რომ ძვრება სახლებში და დამჯერი ბავშვების წინდებში საჩუქრებს ტენის.

მინა ამ დროს თეთრი თოვლითაა დაფარული, თოვლის ბაბუს ქურქიც თეთრია და ბევრი ფიქრი არ სჭირდება იმის გამოცხობას, რა ფერისაა თვითონ თოვლის ბაბუა – როგორც ყველაფერი იმ შორეულ ქვეყანაში, ისიც თოვლითი ფითქინა თეთრია.

სიტუაცია მაშინ დაიძაბა, როცა ამ უცნაური კაცის ჩვენს სოფელში შემოტყუება შემინდა გონებაში.

არავითარი დაბრკობა არ მაშინებდა. ადგილობრივ ახალგაზრდებში ყველაზე ნასწავლის და ჭკვიანის რეპუტაცია მოსვენებას არ მაძლევდა.

საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირების სურვილით ფრთაშესხმული, მონდომებით ვცდილობდი თოვლის ბაბუს ადაპტირებას ჩვენს პირობებთან. თოვლის ხსენება, ცხადია, ვერც იქნებოდა.

ახლა, როცა ამ ამბავს ვიგონებ, ვხვდები, როგორ უფრთხილდებოდა ჩვენი მრავალსულიანი ოჯახი გაყიდული ყავის მოსავლისგან მიღებულ მოგებას. ამ ფულით ახალ წლამდე კი არა, ახალ მოსავლამდე უნდა გვესულდგმულა. ახლა კი ვხვდები ამას, მაგრამ მაშინ არაფრის გაგონება არ მსურდა.

რადაც უნდა დამჯდომოდა, ის, რასაც ჩემი ცხოვრების სამი წელი შევალე, პრაქტიკაში უნდა განმეხორციელებინა.

ტყუილად ხომ არ ვინვალე ამდენი. ჰოდა, გადაწყვეტილი მქონდა, არას დიდებით არ დავნებებოდი.

„უნდა გავიკეთო საჩუქრები მამა – ვიმეორებდი ჯიუტად – სკოლაში მითხრეს, რომ ვალდებული ხარ, საჩუქრები გვაჩუქო“.

„აჰ, აი, თურმე რას გასწავლიან სკოლაში! ის არ უთქვამთ იმ შენს სკოლაში, ხვალინდელ დღეზე და ლუკმაპურზე როგორ უნდა იზრუნო?“

მამაჩემი აშკარად რაღაცას ურევდა – ნუთუ ამ ყველაფერზე ერთდროულად ფიქრი შეიძლება?!

— მომიხმინე, მამა. თუ ყველასთვის არ გინდა, პატარა ფანტას მაინც უყიდე, ხომ იცი, როგორ უნდა თოჯინა!

არ ვიცი, ბოროტი იყო თუ კეთილი ის გენია, ეს აზრი რომ შთამაგონა, მაგრამ ათიანში კი მოვარტყი.

ჩემი პატარა დაიკო ფანტა მამაჩემის სისუსტე იყო. ნებისმიერ მის სურვილს იგი უსიტყვოდ ასრულებდა და სულ მიკვირდა კიდევ, დანარჩენი ცამეტი შვილი რაღაში სჭირდებოდა მამას.

როგორც კი ფანტა ვახსენე, მას სახე გაებადრა. კვლავინდებურად მშვიდი და აღურხიანი გაუხდა.

— იცი, ბიჭუნო, – შემორიგებით მითხრა, – ადრე მსგავსიც არაფერი მსმენია, მაგრამ რაღამაც ასე დაიჭინე, კარგი, ვუყიდოთ პატარა ფანტას თოჯინა.

ქალაქში ჩასვლის დღე იმავე წუთს დავთქვით. მამამ გადაწყვიტა, ფანტაც თან წაგვეყვანა – თავად უნდა დახმარებოდა თოვლის ბაბუს საჩუქრის არჩევაში. ნანატრი დღეც დადგა.

სატვირთო მანქანის საბარგულში (გაუმარჯოს ავტოსტოპს) ვჯავჯავებდით. ასეთი სატვირთოები ჩვენს გზებზე რამდენიც გინდა, იმდენია.

მძღოლები გიჟდებოდნენ ამ სატვირთოებზე.


იმის გამო კი არა, ნებისმიერი სიჩქარით რომ შეგეძლო რთულ და ციკაბო გზებზე რიხინი(ტექნიკური ხარისხი ცოტას თუ აინტერესებდა, უმეტესობამ ისიც კი არ იცოდა, ძრავი სად იყო), ფართო და ღია საბარგულის გამო – ეს იყო მანქანის ყველაზე ღირებული ნაწილი მათთვის. საბარგული გზადაგზა იცვებოდა შარაზე გამოფენილი ხალხით. სწორედ ამ გზებზე ჰყვარდა სტუმართმოყვარეობის უძველესი ადათი, ასე რომ გავითქვა სახელი საქვეყნოდ. საკმარისი იყო მგზავრს ხელი აენია და მანქანა ჩერდებოდა ნებისმიერ მოსახვევში, დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და ნებისმიერი რაოდენობის უკვე აკრეფილი მგზავრით საბარგულში.

ერთი ჩემი ნაცნობი ამბობდა – ამ მძარცველ მძღოლებს მონეტა აჩვენე და ეგეც მთელი ავტოსტოპი, მე კი ღრმად მნამდა, რომ ასეთი ცილისმწამებლური საუბრები ნაციონალურ ღირებულებას უთხრიდა ძირს და გულთბილ ადამიანურ ურთიერთობებს უგულვებელყოფდა.

იმ დღეს, არ დღეზეც მოგახსენებთ, იმიტომ კი არ გავჯავრებულვარ მძღოლზე, ათმაგი საფასური რომ გამოგვართვა, უფრო მისმა მცდარმა შეხედულებამ გამაცოცხლა საკუთარი საბარგულის ტყვადობის გამო.

იმდენი ჩვენნაირი შეეტენა საბარგულში, რომ განძრევაც შეუძლებელი იყო. მაღლობა ღმერთს, ღია საბარგული იყო და სუნთქვა შეიძლებოდა, თუმცა, რაღა სუნთქვა – ჰაერი ნითელი მტვრით იყო სავსე.

მოკლედ, როცა ჩავალწიეთ, ძალიან შელანძლულები ვიყავით და მხოლოდ პატარა ფანტა იყო ყოჩაღად – ქალაქში ჩავიდით და სულ მალე მას თოჯინას უყიდდნენ – ეს იყო მთავარი, დანარჩენი – ფეხზე ეკიდა.



ქალაქი ამ წინასახალწლო დღეებში სადღესასწაულოდ კი გამოიყურებოდა, მაგრამ ტამტამების ხმა არ ისმოდა (უმალლესი ცივილიზაცია არ დაუშვებს ტამტამებს დღესასწაულებზე).

ხალხი აქეთ-იქით დაყალიბდა – შავებიც, თეთრებიც (ესენიც ცივილიზებულები, ცივილიზებულების უმაღლესი კლასიდან) და ყველას ერთიანად სწამდა, რომ ყოველ წელიწადს ისევე და ისევე იბადება მხსნელი და რწმენას და იმედს ჩუქნის მათ.

ცივილიზებული შავკანიანი მშობლების შვილებსაც ოცოდ წლის წინ დაეჯერებინათ კეთილი თოვლის ბაბუს არსებობა, რომელიც ამ ღირსშესანიშნავი დაბადების ახალ წელს საჩუქრებს ჩუქნის დამჯერი ბავშვებს. მერედა, რა საჩუქრებს! – ელექტრონულ რკინიგზას (ერთ-მა გამყიდველმა ისიც კი იცოდა, როგორ აემუშავებინა), ვარდისფერ თოჯინას გრძელი, ოქროსფერი კულულებით, დოლიან ჯარისკაცს ზამბარაზე, საბრძოლო ტანკს, ყოვლად ურცხვად რომ უტევდა მფლობელს ყველა ლულიდან, თეთრ გედს, შვეიცარულ თოვლით დაფარულ სახლს – მოკლედ, ზომიერი კლიმატის ქვეყნებში დამზადებულ უამრავ ეშმაკურ ნივთს ტროპიკული ბავშვების გულის გასახარად.

ქუჩა გადაეჭრით და ქალაქის ყველაზე დიდ მაღაზიაში შევედით. რა სანახაობა იყოო!

განსაკუთრებით პატარა ფანტასთვის, რომელიც თავისი რვანლიანი ცხოვრების მანძილზე ქალაქში მეორედ მოხვდა. სათამაშოების დახლისკენ გზა მუჯღუგუნებით გავიკვლიეთ, მაგრამ ნვალება დაგვიფასდა.

ეს იყო ყოვლად ზღაპრული დახლი. ფანტას თვალები გაუბრწყინდა, წარმოუდგენელია, რომ ასეთი სილამაზე არსებობს და რეალურია.

იმდენი რამაა, არც კი იცი, საით გაიხედო!

„რატომ ნამოვიყოლე ფანტა, – ფიქრობდა მამილო ბომბა, – ახლა მთელი მაღაზიის გატანას მომთხოვს“.

მაგრამ ფანტა გასაოცარ კეთილგონიერებას იჩენს და ყველა იმ საცდურადან, რასაც გამყიდველი სთავაზობს, ერთ ლამაზ და პატარა თოჯინას ირჩევს – შოკოლადისფერი სახით და მზზინავი კულულებით.

– ეს ბიბია, – ამბობს ფანტა, – ჯერ ჩავბან, მერე კი დავეარცხნი! მაგრამ მამილო ბომბას ეს უკვე აღარ ესმის. თავდავიწყებით და აღფრთოვანებით შესცქერის პატარა სანადირო თოფუკებს.

აი, ესენი რომ ნამდვილი იყოს და არა სათამაშო, რა სიხარულით ირწმუნებდა საახალწლო საჩუქრების აუცილებლობას... ამასობაში, ფანტას სადღაც შორს გაურბის მზერა, იქით ვიხედვით და ვხედავ... ორ თოვლის ბაბუს – თეთრკანიანს – ნითელ სამოსში ჭაღარა წვერით და შავკანიანს, ჭაღარა წვერით და თეთრ სამოსში (ორი რასის მშვიდობიანი თანარსებო-

ბის ბრწყინვალე ნიმუში, რომელიც ბედნიერების და სიხარულის თანაბარ კუთვნილ წილს ჩუქნის ნებისმიერ გამვლელს, ვინც ვიტრინასთან ნაბიჯს შეუწელებს).

რამხელა დედააზრია ჩაქსოვილი განსხვავებულკანისფერიან თოვლის ბაბუებში.

მაინც საიდან მოვიტანე, რომ ის მაინცდამაინც თეთრი უნდა ყოფილიყო? თუმცა, სამყაროში თანასწორობის შესახებ სრულ სურათს ეს ვიტრინა მაინც ვერ აჩვენებდა.

ადამიანთა მოდგმის ამ კეთილსმყოფელების კოლექციას აშკარად აკლდა ყვითელკანიანი ბაბუ ყვითელივე ან მწვანე სამოსით და ჭაღარა წვერით და ინდოელებით ნითელკანიანი ბაბუ ჭაღარა წვერით. ამას შავებში გამოვანყობდი, წვერი კი უთუოდ ჭაღარა უნდა ჰქონოდა მასაც.

ბევრი მიმოგზაურია ამქვეყნად და ზუსტად ვიცი – ადამიანებს ისე არაფერი აერთიანებს, როგორც ჭაღარა!

– ნახე, აი, ის თოვლის ბაბუები, საჩუქრებს რომ ჩუქნიან დამჯერ ბავშვებს, – ვუბნები ფანტას.

მამილო ბომბა ჩაფიქრდა, ჩაჩუმდა.

– მისმინე ერთი, – ალაპარაკდა მოულოდნელად, – ამ ორიდან შავების ბავშვებს რომელი ასაჩუქრებს?

– შავკანიანი, რა თქმა უნდა, – ვასუსხობ შეცბუნებული, – თეთრკანიანი თეთრებისაა.

საუბარი გამყიდველმა გავგანწყვტივნა.

აინტერესებდა, ვიღებდით თუ არა გოგონას შერჩეულ თოჯინას.

მამილო ბომბამ ცოტა წაიჯუჯღუნა და ფული ჩაუთვალა მოლარეს.

ფანტა იმ წუთიდან ბიბის დედა გახდა. მაღაზიიდან გამოსულები რამე ტრანსპორტის ძებნას შევუდექით – უკან ხომ უნდა დაბრუნებულიყავით და უცბად... მამილო ადგილს მიეყინა.

– უნდა გავიგო, რა ღირს ის შავკანიანი ბაბუ. გავბრუნდები, ვიკითხავ! – ჩაიბურღუნა მან.

– რად გინდა?

– რად გინდა, რად გინდა, – გამომაჯავრა მან, – უნდა ვიყიდო, ეშმაკსაც ნაუღია...

– რისთვის, რას უზამ?

– უხ, რა ჩლუნგი ხარ, შვილო! თვითონ არ იძახდი საჩუქრები მოაქვს ბავშვებისთვის?! მეზობლის ბავშვებმა რა დააშავეს. თუ სოფელში საკუთარი თოვლის ბაბუ გვეყოლება, რამდენ განამანას აცდებოდა. დადგეს და თვითონ იზრუნოს.

ღმერთო მაღალო, ისმინე ჩემი საახალწლო ვედრება.

ისე გააკეთე, რომ სხვა ბავშვების მშობლებსაც წელიწადში ერთხელ მაინც ისევე გაუნათდეთ გონება, როგორც მაშინ მამილო ბომბას.

დასაწყისი № 60-65

ბიჭუტარია — ბუტუტარია

როგორც ბიჭუტერიას არა აქვს არაფერი საერთო ჭეშმარიტად ძვირფას სამკაულთან, ისევე არა აქვს საერთო არაფერი ბუტუტურს ჭკვიანურ საუბართან. ამიტომ მათი - ბიჭუტერიისა და ბუტუტურის გვერდგვერდ გამოჩენა არ უნდა გავვიკვირდეს. სხვა საკითხია: რითმა ან მოგონება, ან არა!

ოჯახი - ო, ჭალი

ჭკვიანი თუ არაა ეს სარიტმო წყვილი, ნათელი ხომალა! - ზომაზე მეტად ნათელიც!..

ლუჯი ტალღები - ზად კატარღები

დამეთანხმებით - ტალღები და კატარღები არც ისე შორებლები არიან!

ყალიბი - ხალიბი

ვფიქრობ, განმარტება აქ უადგილოც კია - ყალიბი, ეს უნდა ყოფილიყო ფორმა, რომელშიც ქართული-ხალხური ფოლადის დნობის უძველესი ოსტატები სახეს აძლევდნენ ცულებს, ხმლებს, ფარებს, თხებს...

ჩამოაყალიბა, ესე იგი - ჩამოახალიბა...

რა თქმა უნდა, გაღიმებაც შეიძლება!

ძიძა - ძუძუ

ძიძას შეიძლება არ ჰქონდეს ცალი ხელი, ცალი თვალი ან ცალი ყური, მაგრამ არ ჰქონდეს ცალი ძუძუ - წარმოუდგენელია...

კიდევ ერთი რითმა-აბსურდი:

ბარია - ბარიო

შარლ ოგიუსტ ბერიო - ბელგიელი მევიოლინე, კომპოზიტორი და პედაგოგი (გარდაიცვ. 1870 წ.).

სად ერეკლეო, იმის არ იყოს, და სად ბერიო და სად ბერია! ამიტომ ვეძახდი ამ ტიპის სარიტმო წყვილებს რითმა-აბსურდს.

ჯონ დონი - ლონდონი

ჯონ დონისთვის ლონდონი მაინც უფრო მახლობელია, ვინემ ჯაკარტა ან ჯიხაიში.

ინანიპილი - ი. ნონეპილი

ორი პოეტი. ორი კახელი. რით არ ჩაითვლება ასეთი სარიტმო წყვილი ჭკვიანად!

საუკუნე დანტასი - სეკუნდანტი

დანტესის სახელმა რომ დუელი და სეკუნდანტი გაახსენოს კაცს, ამაში მოულოდნელი არაფერია.

ჩაპლინი - ჯოპლინი

მაგარი გოგო იყო სანყალი ჯენისი. ამიტომაც გაერთიანდა მაინცა და მაინც ჩაპლინს. მაგრამ მღეროდა, სანამ მღეროდა. სანყენია, რამდენადაც ვიცი, გაიპარა...



ოცხელი - ცოცხალი

მინიშნება უკვდავებაზე! - ბრწყინვალე თეატრალური მხატვრის, ტრაგიკული პიროვნების - პეტრე ოცხელის უკვდავებაზე.

ოცხელი - ოც ხელი - ოც ხელიანი მხატვარი! მართლაც და, ოცი ხელი რომ არა, ისე მოკლე დროში ოცხელი ალბათ ვერ შეძლებდა ამდენის მოსწრებას!

სტალინი - ადრინალინი

თანამედროვეთა მტკიცებით, სტალინი-თან ყოველი შეხვედრა ზრდიდა ადრინალინის გამოყოფას.

ამაში დაუჯერებელი არაფერია. ამდენად სარიტმო წყვილი არ დაინუნება.

სხეზარი - ზღაპარი

სულაც არ მინდა, ეს რითმა ჭკვიანი იყოს, ხოლო ის ყველაფერი, რასაც გაერო



და ევროკავშირი საქართველოს პირდება - ზღაპარი, მაგრამ ეჭვი ეჭვია...

ბადასახალი - გადასახალი

რაში გვახდევინებენ ამდენ გადასახადს, არაა გადასახედი?

ფსალმუნი - სალმუნი

არა მგონია, აქ განმარტება იყოს საჭირო!

ურანიუმი - ირანი, ომი

ფავორიტი - პავაროტი

კონფუცი - კონფუზი

საინტერესოა, რა აზრის იქნებოდა ამ სარიტმო წყვილზე თავად კონფუცი! ან იცოდა კი კონფუციმ, რა არის რითმა?

ჟონკური - გონკური

სერჟ ჟონკური შესანიშნავი თანამედროვე ფრანგი მწერალია. რატომ არ შეიძლება, მისი გვარი გონკურებისას გაერთიანოს! ოღონდ, კონკრეტულად რომელ ძმას, რომელ გონკურს გაურითმავთ, ეს უკვე თქვენი გადასაწყვეტია. მოკლედ, რითმა - ჭკუის კოლოფი!

მე თუ მკითხავთ, ჭ ა ნ ტ უ რ ი ა ს გაურითმავ ა ს ტ უ რ ი ა ს ს: რას გაანჯობ - ეს ოხერი, რითმა ზოგჯერ მაცდურია!

სიფთანს - ლიპთანს

სიფთანს პრობლემა სწორედ ლიპთანს ექმნება.

ნამება - სანება

ჯერ - გოლგოთაა, მერე - ამადლება! - ნმინდა სამება ნამების ნამალია.

რემბო - ბემბო

რემბოს - კარგად ვიცნობთ, ბემბოს - ნაკლებად. პიეტრო ბემბო (1470-1547) - კვატროჩენტოსა და ჩინკვეჩენტოს პერიოდის მოღვაწე, სახელოვანი იტალიელი ჰუმანისტი. ამ ტანდემში ყოფნა ორივესთვის სასიამოვნო იქნებოდა.

პოეტი - პოტია

ის ერთი, ერთადერთი ლექსი პოტიე-სი, რომელიც სულ ცოტა ნახევარმა მსოფლიომ იცის, საკმარისია საიმისოდ, რომ მის ავტორს პოეტის მაღალი წოდება ებოძოს. შესაბამისად, სარიტმო წყვილიც ჭკვიანურის კატეგორიაში ხვდება.

ლუი არაგონ - უიარაღო

რატომაც არა?

მოჯაპალი - ჯოჯონეთი

ეს რითმა ჭკვიანი - ნაწილობრივია: მხოლოდ იმ მოჯაპალებს ეხება, „შეთავსებით“ ფანატიკოსი მკვლელებიც რომ არიან და ათასი ბოროტების ჩადენა შეუძლიათ. მათზე ალალია ჯოჯონეთი!

მნაველი - მკავალი

ვისი ან რისი მძევალია კაცი ან ქალი, ამის მიხედვითაა მნაველი არ უნდა იყოს!

პოჯაბი - პოჯაბი

რა პოზებზეა საუბარი, ვერ გეტყვით - მრცხვენია!

მესხი - მესი

დინამოელი სასწაული - მესხი, და არგენტინელი გენიოსი - მესი! ვფიქრობ, განმარტებები საჭირო არაა. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთის ნაღდ გულშემატკივრებს ჩვენი ახსნა-განმარტება არ უნდა!

ივ სან ლორანი - სოფი ლორანი

არ დაინუნოთ! ვერც დაინუნებთ! - არა მარტო ჭკვიანია ეს რითმა, ლამაზიცაა!



შტორმი - შტური

ნამდვილად გვანან ერთმანეთს რაცადაც შტორმი და შტური.

თომასი - თამასა

მსოფლიოში სახელგანთქმულ სიმალღებზე მხოლოდ ერთი - ჯონ თომასს და თამასას ბევრი რამ აკავშირებთ ერთმანეთთან.

შოპენი - შონ პენი

ერთი - დიდი კომპოზიტორია, მეორე - შესანიშნავი მსახიობი! ამგვარი ტანდემების წყალობით მდიდრდება და მიიწვეს წინ მსოფლიოს კულტურა. და თუმცა ყველა შოპენი ვერ იქნება, საქმე ისაა, რომ ვერც შონ პენი იქნება ყველა.

მალერი - მილერი

გუსტავ მალერი - დიდი კომპოზიტორი, არტურ მილერი - მწერალი და დრამატურგი. ამავ ნარმატებით შეიძლება მალერთან ჰენრი მილერის გართმევა. თქვენ წარმოიდგინეთ, - მოლიერისაც! სამსუხაროდ - მიულერისაც! ნულარ გავყვებით, დავკმაყოფილდეთ პირველი ვარიანტით: მალერი - მილერი.

პროუზი - პროზის

ჩვენი ბრალი არ არის, რომ ქალბატონი ფრანსის პროუზი, ამერიკელი მწერალი, პროზის ოსტატია, ამიტომ გაერთიანდა პროუზი პროზას, მაინც და მაინც პროზას და არა, ვთქვათ, ხობობს ან ჭიაყელას!

ვიზით - ვიზის

ყველამ, ვისაც ვიზიტი ჰქონია უცხო ქვეყანაში, იცის, რომ ამგვარი რამ დაკავშირებულია ვიზასთან.

(ახლა ვხვდები, ზოგჯერ ისეთი რამის განმარტებაც მიხდება, რაც გონიერი მკითხველისთვის სულაც არაა აუცილებელი).

ვერეტი - ვერესტი

პიტერ ვერეტი, კანადელი მთამსვლელი, დაიღუპა შხარაზე. შხარა ვერესტი არაა, ამის მიუხედავად, მთამსვლელისა და ვერესტის დანყვილება ლოგიკურია.

სვასტიკა - ს ვოსტოკა

ფაშიზმის გამოჩენა არც აღმოსავლეთის ქვეყნებშია გამორიცხული. მეტიც: სვასტიკა, როგორც სიმბოლო და ნიშანი, სულაც აღმოსავლური წარმოშობისაა. ფაშიზმის სიმბოლოდ მის ქცევას ერთი ვერსია სულაც გურჯიევის სახელს უკავშირებს.

მოკლედ, ასე: სვასტიკა - ს ვოსტოკა. რითაა ცუდი რითმა, ან ჭკუა რატომ აკლია!

ინტალიგანცია - ინდულგანცია

რამდენი გლეხია, მასწავლებელს ჯობს, რამდენი ყასაბია, პოეტს მასთან ხმა არ ამოვლება! გამოდის, რომ ინტელიგენტის იარლიყი ბევრი ცრუქიმიისა თუ ცრუპოეტისთვის ინდულგენციის ფუნქციას ასრულებს... მოკლედ, ამ რითმას უფრო მოეკითხება ჭკუა, ვინემ ე.წ. ინტელიგენტის უმრავლესობას.

დასასრული იქნება

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com